აკაკის

თვიური

ჟამეული

წელიწადი პირველი

№ VII

მარტი, 1898

თფილისი

Тип. М. Шарадзе и к°. ник. 21. || სტამბა შარაძისა და ამხ., ნიკ. № 21.

1898

შინაარსი.

განყოფილება

I

		33
I	ირაკლის საფლავზე — ლექსი	1
II	უბრალო საუბარი	9
III	ხანის ვეზირი — კომედია ოთხ მოქმედებათ (თარგმანი).	13
IV	პროფესორი მარრის საპასუხოთ	55

განყოფილება

II

V	სცენა საპატიმროში	1
VI	ადვოკატის დილა	25
VII	განთიადი — ლექსი	37

განყოფილება

III

VIII	როსტომი, ზღაპარი, ჩაწერილი კ. გვარამაძისაგან	1
IX	ადამ და ევა, ხალხური ლექსი, მისგანვე ჩაწერილი	8
X	ხალხური ლექსები (შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან).	13 — 34
XI	დ. ხონი (მასალა, შ — სი)	35
XII	ეთერი, ჩაწერილი, გრ. აფშინაშვილისაგან	40
XIII	ხალხური ლექსები, შეკრებილი ივ. გომელაურისაგან.	55
XIV	დამატებითი სია ხელის მოწერთა	58

აკაკის

თვიური



9554

წელიწადი პირველი

№ VII

მარტი, 1898

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. გრიბოედოვის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Грибоедова
Академия наук ГССР

თფილისი

Тип. М. Шарадзе и к°. ник. 21. || სტამბა შარაძისა და ამხ., ნიკ. № 21.

1898

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 февраля 1898 г.

შინაარსი.

განყოფილება

I

		გვ.
I	ირაკლის საფლავზე—ლექსი. . . .	1
II	უბრალო საუბარი	9
III	ხანის ვეზირი—კომედია ოთხ მოქმედებათ (თარგმანი).	13
IV	პროფესორი მარრის საპასუხოთ . .	55

განყოფილება

II

V	სცენა საპატიმროში	1
VI	ადვოკატის დილა	25
VII	განთიადი—ლექსი	37

განყოფილება

III

VIII	როსტომი, ზღაპარი, ჩაწერილი კ. გვარამაძისაგან	1
IX	ადამ და ევა, ხალხური ლექსი, მისგანვე ჩაწერილი	8
X	ხალხური ლექსები (შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან).	13—34
XI	დ. ხოლი (მასალა შ—სი)	35
XII	ეთერი, ჩაწერილი გრ. აფშინაშვილისაგან .	46
XIII	ხალხური ლექსები, შეკრებილი ივ. გომელაურისაგან.	55
XIV	დამატებითი სია ხელის მოამწერთა . .	58
XV	განცხადება	

ირაკლის საფლავზე.

(მესტვირული)

სტვირის გუდა მაქვს ბლიაძის,
ქამანჩა ქებაძისაო, *)
დაბლა ქვეყნის ვარ მღერალი,
შემამკობელი ცისაო;
თან დამაქვს გული გავსილი
და ცარიელი ქისაო.
ჩემი როცა მაქვს, არ ვზოგავ,
არა მინდა რა სხვისაო!
სიმდიდრეთ მოფენის სიტურფეც
ხმელეთისა და ზღვისაო.
ამ ქვეყნის ჭრელა-ჭრულები
ცულმა ვერ შეითვისაო!
არც ბატონი მყავს, არც ყმა ვარ,
მონა ვარ მეუფისაო,
მის ნება-სურვილს ვასრულებ,
მორჩილი გულის თქმისაო.

---

*) ბლიაძე და ქებაძე განთქმული მესტვირეები იყვენ ძველ დროში.

გული სარკეთ მაქვს ქცეული,
ენა საყვირათ ზეცისა,
უნდა, რაც ჩამესასება,
გავიმეორო მეც ისა.
მოკანანახე ცხოვრების,
ფერადათ მრავალ-კეცისა,
ვერ ვაქებ მუნჯის მჭევრობას,
შორ-მჭვრეტელობას ბეცისა.
შეუპოვარი სიმართლე
ნაბრძანები მაქვს მე ცისა,
თვარა ჩემ თავად მე რა ვარ,
მზგავსი მატლის და მხეცისა,
ადვილათ დასაფშვნელი რამ,
როგორც ჭურჭელი კეცისა!...

უკვდავი მხოლოო ღმერთია
და მალაც მისი სრულია,
სხვა ყოლიფერი ნაარსი
მისგანვე გასსნილ-კრულია;
რასაც კი დასაბამი აქვს,
თანვე ჰქმენს დასასრულია;
ხორც-შესსმულ კაცის შეგნება
მოკლე და უმეცრულია!...

რაც გარეგნობით თვალსა ჭრის,
ის შიგნით გამოსრულია;
ნაგვიანები ცხოვრება
ზოგისთვის ნაადრულია
და ვაი, სოფლის მიმეოლსა!
მისი მოუვრობაც მტრულია.

მაშინ შევიგნე ეს ყველა,
ღონე რომ გამომელია...
ავის და კარგის გამრჩევი
გამოცდილება მნელია!
მართალი უთქვამს მგოსანსა:
«რაც ელავს—ყველა ბნელია!»
თურმე შავია ქვეყანა
შიგნით, გარეთ რომ ჭრელია;
გულგრილათ ბრუნავს თავისთვის,
სხვა გვარათ გამძრასველია;
ავიც და კარგიც იმისი,—
ორივე საეჭველია...
და რაც ასალი გვგონია,
ის თურმე ძველის-ძველია!

ერთხანათ მეც ეს სოფელი
ვარდის ფრათ შეჩვენებოდა:
ოცნების ზღვაში მცურავი,
სული ნეტარი ტკბებოდა,
თან სორციც, გაბრიყვებული,
ტკბილ-ჟრუანტელით დნებოდა,
იქ, სადაც სხვები ტიროდენ,
მე მარტოს მეცინებოდა,
სიტკბოში მღვიძარს, ღამ-ღამით
გულ-მშვიდათ მეძინებოდა,
არას ვნაღვლობდი საჩემოს,
არც სხვისი მენანებოდა
და თვით ოცნება-სიზმარიც
იებაზე ამესხნებოდა!...

—

ის დრო წავიდა! ირაოდ
გადაფრენილი ბუდითა!
დამიგდო გამოცდილება
მისი კარგით და ცუდითა;
სულ ჩამაშხამა, რაც მომცა
სწორი გზით, ანუ მრუდითა,
წისლი მკრა, გამაბურთავა,
ქვა მასროლია კუდითა

და მშრალზე დამსვა მარტოკა
ჩემი ქამანჩა-გუდითა!...
მეც მიტომ ვწუნობ ქვეყანას
იერემიას ქუდითა!...

ვინც იყო იერემია,
ან ჭვლოვდა რომელ ერსაო?
ამას ბიბლია მოგვითხრობს
და მველი აღთქმა წერსაო.
გოლგოთის აღმართს შეუდგა,
დადგა მთის მაღალ-წვერსაო:
დაცქერდა იერუსალიმს,
ატეობდა ეოლიფერსაო,
იგლოვდა იმის მომავალს,
იგლეჯდა თმა და წვერსაო:
„იუდიანთა დიდებავ!
ჩაუარდები მტერსაო,
ბევრ რასმეს მოგანატრებენ,
დაგაკვიწუებენ ბევრსაო,
მუსრს გაავლებენ ერთ-გვარათ
ქალს, კაცს, მოუმეს და ბერსაო...
ახალი მველსა შელასავს,
შეუცვლის სორცს და ფერსაო!...

შენც, სოლომონის ტაძარო,
ზურგზე აგადენს მტვერსაო,
მაგრამ ჯერ ბრძა ხარ, ისრაილ,
ვერ ხედავ ვერაფერსაო
და მტერი აღარ გგონია,
ვინც დღეს მოუვრულათ მღერსაო!...»

—

მე რა მრჯის იმის მიბაძვას?
სად წმინდა კვერთხი, სად ჩხირი?
სად ჩემი სტვირი, სად შისი
იერიქონის საყვირი?!
ის მაღალ ჭანგზე ჭგოდებდა,
მე ბლიაძურათ გავჭყვირი,
თუმცა-კი ორივეს საგლოვის
ერთია სარჩულ-საპირი:
ის ჭვლოვდა საფლავს იუდის,
მე—ირაკლისას დავტირი...

—

«პატარა კახო, გმირთ-გმირო,
ქვეყნათ მეუფის სახელო,
სულით მაღალო, მაღალთა
მეფეთა ჰეინახელო!
დიდ ხანს ვერავინ გაგიძლო,

ვისაც კი ხელი ახეო!...
ბოლოს გიმუხთლა სოფელმა,
ქვეშ-ქვეშ დაგიგო მახეო...
მთლათ საქართველოს ალმდგენი
მცხეთაში დაიმარხეო,
თან ჩაიტანე საფლავში,
რაც გულში გაიძრახეო
და ახლაც შენი კურთხევა
მაღლიდან გადმოგვმახეო!...

უბრალო საუბარი

(შენიშვნები)

ბევრი სხვა-და-სხვა წერილები მოგვდის. მათ რიცხვში საყვედურებითა და ლანძღვითაც ბევრია შეკაზმული და ამ ბოლო დროს მუქარასაც გვითვლიან. მადლობა ღმერთს! იმ ხანში აღარა ვართ, რომ ქებამ აგვამჩატოს და გმობამ გული გაგვიტეხოს! და რაც შეეხება მუქარას, იმან სიცილის მეტი რა უნდა გამოიწვიოს ჩვენი მხრით? „სომხებს ემტერებით და სდევნითო“— იწერებიან. აბა ამაზეა ნათქვამი: „შენი მე გითხარი და გული მოგიკალიო!“ იმათი რა მოგახსენოთ და ჩვენ-კი ღმერთმა ნუ დაგვიჩლუნგოს ისე გრძნობა-გონება, რომ რომელიმე ერი შევიძულოთ და მისი მტრობა გულში გავივლოთ. ეტყობათ, ამ წერილების მჯღაბნელ ვაჟბატონებს მტერ-მოყვრობა არ ესმით და სამართლიანი საყვედური მძულვარების ნაყოფი ჰგონიათ. განა მშობლები ნაშობებს, ძმები ძმებს და მეგობრები მეგობრებს არ ესაყვედურებიან ხოლმე, როცა ერთი მეორეში უსაქციელობას რამეს შენიშვნენ და დასაძრახსა ხედავენ? მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს უგულობითა და სიძულვილით მოსდითო? ჩვენ სასომხეთოში არა ვყოფილვართ და ნამდვილ სომხებს არ ვიცნობთ, თუ არ სხვა-და-სხვა მხრებიდან ჩვენში ვაჭრათ მოსულს ბ, მაშასადამე, იმათთან ან მტრობას რათ დავიჭერდით და ან მოყვრობას! რაც შეეხება საქართველოში მყოფ იმ ვაჭარ ხალხს, რომელსაც ჩვენ შემკრებელობითად სომხებათ ვუწოდებთ, ჩვენ რომ იმათ ანგარიშის გაწმენდის დროს ხან ვუალერსოთ, ხან ვუსა-

ყველურთ, ხან შევეტკბოთ და ხან შევუფუცხუნოთ — ვის რა ხელი აქვს? და ან აქ ნაცია რა შუაშია?! მეათე საუკუნემდე ქართველებში ბევრი იყვენ, რომ სომხის სარწმუნოებას აღიარებდენ. დედოფალმა დინარამ ბევრი მათგანი გადმოიყვანა მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, მაგრამ მაინც კიდევ ბლომათ დარჩენ ისევ გრიგორიანელებათ, უმეტესათ კახეთში. ბევრმაც მერე მიიღო სომხის სარწმუნოება ბატონ-ყმობის დროს, მაგალითად, გველესიანმა, მუჩაიძემ, აბაშიძემ, თუშურიანმა, ნაკაშიანმა და სხვებმა. აგრეთვე თათრობის დროს მთელი სოფლები და მაზრები იძულებული გახდენ, რომ სომხის სარწმუნოება მიეღოთ. და ნუ თუ სარწმუნოებასთან ერთად იმათ გვარ-ტომობაც დაჰკარგეს და სომხის ნაციას ცხრა მთას აქიდან შეეხორცენ! სარწმუნოება და ერობა განა ერთი და იგივეა? ასე რომ იყოს, მაშინ ხომ ავსტრიელები, ფრანცუზები, ისპანიელები, პოლონელები და სხვა ყველა, ვინც-კი კათოლიკის სარწმუნოებას აღიარებს, ერთი ნაციის ხალხი იქნებოდენ! მაშინ ბერძნებიც ხომ რუსები იქნებოდენ? და, მაშ, სომხები რაღა არიან, რომ ვინც-კი მათ სარწმუნოებას აღიარებს, ის უთუოდ უნდა მათ ნაციასაც შეესისხლ-ხორცოს, ტერიტორიისა და ისტორიის მიუხედავათ და თავის საკუთარ ძველ გვარ-ტომობაზე ხელი აიღოს?! მართალია, არიან ჩვენში მართლა სომხის ტომის და მოდგმისანიც, მაგრამ ისინი მრავალ-საუკუნოების განმავლობაში ისტორიული კანონის ძალით ისე შესისხლ-ხორცებიან ქართველებს, რომ არაფრით არ განსხვავდებიან, თვინიერ სარწმუნოებისა. და მათი სარწმუნოებაც ჩვენში ყოველთვის შეწყნარებული ყოფილა: არა თუ არ უდევნიათ, პირ-იქით ჩვენი ეკკლესიები და ტაძრებიც-კი დაუთმიათ მათთვის.

ეს დღევანდელი „იანცები“, მაგრამ მრავალ საუკუნოების განმავლობაში კი „შვილები“ და „ძეები“, მაგალითად: არღუთაშვილები, ბებუთაშვილები, თუმანიშვილები, სურგუნაძეები, ამატუნები, შანშეშვილები და სხვანი რომ მდიდარ ადგილ მამულებს აწევან თავზე და ყმებ-მამულით თავი მოჰქონდათ, ვისგან იყვენ დაჯოლდოებული, თუ არ ჩვენი ქვეყნისა და მეფეებისაგან? ვინ მიანიჭა მათ ფავად-აზნაურობის ხარისხი? ვისგან და რა ენაზე აქვთ და წერილი საბუთები და გუჯრები—სომხურზე თუ ქართულზე? იმათ შეუძლიან თქვან, რომ ჩვენ სომხის სარწმუნოებისა ვართო, მაგრამ ქართველები არა ვართო კი—ვერ იტყვიან. აქა და ერთხელ, ოდესმე, ჩვენი წინა-პარი სხვა ქვეყნიდან გადმოსულაო, ყოლიფრის მიუხედავათ, დღეს, ათასი წლის შემდეგ, ისევ იმ ერს უნდა მივუბრუნდეთო! ეს რომ ასე იყოს და საზოგადო კანონათ დაიდვას, მაშინ ხომ ყველას გზა ბ კვალი არეული ექნებოდა! ქართველი ვინმე რომ ამ ათასი წლის წინეთ გადასულიყოს სასომხეთოში და მის ნაშიერს, გარდა მართლმადიდებლობისა, აღარა შერჩენოდეს რა, ნუ თუ სომხები იტყვიან იმაზე, რომ ეს ქართველია, რადგანაც მართლმადიდებელიაო! სომხების პატრიოტობას რომ ცოტა გადაჭარბება და ნაძალადობა ეტყობა—ცხადია. ამას საქართველოს სომხებიც კარგათ გრძნობენ, მაგრამ რაღაი კი ერთხელვე შორიდან მოსულებმა გადაიტყუეს, სიმართლის კალაპოტში ველარ ჩამჯდარან. მტკვარის „იორდანეთ“ დასახვა ბ საქართველოს „აღთქმითი ქვეყნათ“ წარმოდგენა—ისეთი უნაყოფო ოცნებაა, რომელიც ვნების მეტს ვერას მოუტანს ვერც ერთ მხარეს! იმათ, რაც არ ჰქონიათ, რას დაჰკარგვენ?! მაგრამ ჩვენ-კი გავიჭყლიტებით უსამართლოთ

და ამიტომაც გვმართებს თვალის გახელა! „აგიკლო, გდევნო, შენ ნაოხარზე მე გამოვიჭიმო, შენ სიცოცხლე წაგართვა და მე მით მივიმატო“—ეს სამართლიანი სიტყვა-პასუხი არ არის! ამას არც ერთი ნაციის კანონიერი ინტერესი არ მოითხოვს! ეს მხოლოთ ველური, მხეცური ინსტიკტია და ჩვენ არ გვინდა, რომ ამ გვარი რამ სომხის ნაციას შევწამოთ! პირ იქით ჩვენ იმას ვამტკიცებთ, რომ ის ბრბო, რომელიც დღეს ჩვენში მოქმედობს, მხოლოთ პირადი ინტერესებით არის გამსჭვალული და ნაციონალურ მისწრაფებას პირბადეთ ხმარობს და ზედ კალთად იფარებს. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ესენი სომხობის წარმომადგენლები იყონ. ეს მცარცველები, სადაც უნდა იყვენ, არც ერთ რომელსამე ხალხში არ იქნებიან შეწყნარებული! და ჩვენც ვალდებული ვართ, სანამ სწორ გზაზე არ გადავლენ, თვალ-ყური გვეჭიროს მათკენ და ფარი ხელიდან არ გავაგდოთ. ჩვენთან ერთად ამავე აზრზე უნდა იდგეს თვით სომხების ახალ-თაობაც და თვითონვე უნდა უარჰყოფდეს ამ კარაპეტ-პოღოსების სომხობას, მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! ისინი მხოლოთ ესარჩლებიან და მით ჩირქსა სდებენ მთელ სომხის ნაციას! ახლა, ჩვენ ვიკითხავთ: ვინ არის მტერი სომხის ნაციის და ვისა სძულს ის: ჩვენ, რომელთაც ბრბო, ჩვენზე მომდგარი და ჩვენში შემოსეული, სომხობის წარმომადგენლათ არ მიგვაჩნია, თუ ისინი, ვინც იმათ ეჭომაგებიან?

ხანის ვეზირი

კომედია ოთხ მოქმედებათ

(თარგმანი)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს დრამა მირზა-ფეტ-ალი ახუნდოვის დაწერილია. ეს ახუნდოვი იყო ვარანცოვის დროის მწერალი. ერთ დროს გამოვიდა სამწერლო სარბიელზე ჩვენს თ. გიორგი ერისთავთან და დიდი ნიჭიც გამოიჩინა. მის ნაწერებში ისე ნათლად მოჩანს თათრების ცხოვრება, როგორც სარკეში.

მ ო მ ძ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

სერაბის ხანი.
მირზა-ჰაბიბ, მისი ვეზირი.
ზიბა-ხანუმ, ვეზირის პირველი ცოლი.
შოლე-ხანუმ, მეორე—საყვარელი ცოლი.
ნისა-ხანუმ, შოლე-ხანუმის და, გაუთხოვარი.
ფარი-ხანუმ, ვეზირის დედა.
ჭაჯი-სალახ, ვაჭარი.
თემურ-აღა, ხანის ძმისწული.
რიზა, თემურ-აღას ძიძის შვილი.
ჭაჯი-მასუდ, არაბი, ვეზირის მეორე ცოლის [საჭურისი.
სელიმ-ბეგ, **ყადირ-ბეგ** } ხანის მოსამსახურები.
ამად-ბეგ, ფარეშების უფროსი.

ხანის ვეზირი

მოქმედება პირველი

სცენა პირველი

მირზა ჰაბიბის სახლი: ვეზირი ზის პირველი ცოლის ოთახში, მუთაქაზე გადაწოლილია და მის წინ მოწიწებით გულ-ხელ დაკრეფილი სალახი დგა.

გამოსვლა პირველი

ვეზირი

ჰაჯი სალახ! გავიგონე, რომ რეშთაში მიდიხარო... მართალია?

ჰაჯი

მართალი მოგხსენებიათ, ჩემო ბატონო.

ვეზირი

კეთილი! ჰაჯი სალახ, მაშ მიტომ გიხმე, რომ ერთი საქმე მაქვს მოსანდობი!

ჰაჯი

მიბძანე, შენი ჭირიმე! თქვენი ყურ-მოჭრილი ყმა არ გახლავარ?

ვეზირი

ერთი კარგი ძვირფასი ქათიბი უნდა შემიკერვინო რეშთაში. მაგრამ იმისთანა-კი უნდა იქნეს, რომ მისი ცალი ალარსად მოიპოებოდეს!... ზარბაფთი ცისფერი უნდა იყოს და თვითონ ქათიბსაც ნაკერი არსად ეტყობოდეს, ისე რომ თვითქოს ერთიანათ ჩამოსხმულიაო; ორივე მხრით ოქროს ღილები უნდა ექნეს ჩამოყოლებული, მაგრამ იცი, რა ღილები? მტრედის კვერცხზე თუ არ მეტი, ნაკლები არც ერთი არ უნდა იყოს და ირგვლივაც მარგალიტებით უნდა იყოს შემოჭედილი!... აჰა, ეს ასი თუმანი და, თუ არ გეყოს, შენი ფული დაამატე ⅆ რომ დაბრუნდები გაგისწორდები. ხომ მალე დაბრუნდები?

ჭაჯი

ბევრი, ბევრი ერთი თვე დამაგვიანდეს, მაგდენი საქმე მაინც და მაინცა არ მაქვს რა, შენი ჭირიმე. აბრეშუმის საყიდლათ გიახლებით და რომ მოვრჩები, იქ რაღას დავუდგები? ნუ გამიწყრებით, შენი ჭირიმე, და უნდა მოგახსენოთ: ზომას რომ აქვე მიბოძებდეთ, კარგი იქნება, თორემ, ვაი, თუ ის ქათიბი ან მოკლე მოვიდეს, ან გძელი, ან სრული, ან ვიწრო და ჩემი ბრალი ალარ იქნება.

ვეზირი

არა უშავს რა, ალალ ბედზე შეჰკერონ, მაგრამ კარგი ნახელავი კი უნდა იყოს და თუ ტანზე ვერ მოუვიდა, არ არგო, ვისიც არის, მერეც გადააკეთებს.

ბაჯი

თუ მაგრეა, ბატონო, უკეთესი არ იქნება, რომ საქათიბე, ოქროს ღილები და მარგალიტები აქ მოვიტანოთ და აქვე შევაკერვინოთ, პირდაპირ მის ტანზე გამოჭრილი, ვისთვისაც გნებავთ?

ვეზირი

ეჰ, ახირებული კაცი ხარ! ლაქლაქი რომ გიყვარს, აბა ეგ არის! აქ რომ მოვატანიო, იცი მერე, რა ალიაქოთი ატყდება?

ბაჯი

მაგისი კი რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე!

ვეზირი

ჰო და, საქმეც ეგ არის! მე ვიცი, თუ არ გაგაფრთხილე, წაგცდება სადმე და მოსვენებას აღარ მომცემენ. იცი, საქმე როგორ არის? ამ ორი თვის შემდეგ ჩვენი ახალ-წელიწადია: ნავრუზობა გვექნება და მე მინდა, რომ იმ დღისთვის საჩუქარი მოვუმზადო ჩემ შოლეხანუმს. და აქ რომ ის ქათიბი მისთვის გამოვაწყებინო, მაშინ ზიბა-ხანუმიც ამიტყდება: მეც შემიკერეო და, სწორე გითხრა, მისთვის ხარჯის გაწევა ფულის გადაყრა იქნება! აბა რაღა ქათიბი მოუხდება ბებრუხას, მაგრამ ვინ დააჯერებს იმ დალოცვილს!... აიჩემებს, მეც შემიკერეთო და, თუ უარი უთხარით,—საყვედურებით გამომაყრუებს...მუდამ წუწუნითა ლ ჩივილით თავს გამილაყებს!...

ბაჯი

ეგ კარგი, ბატონო, მაგრამ, ვითომ შორიდან მოტანილს რომ ნახავს, მაშინ-კი მოისვენებს? რატომ ჩემთვისაც არ მოატანიეთო—არ იტყვის?

ვეზირი

აჰა, ღმერთო, რა ჭირს გადავეკიდე!... რა ენა წასული ყოფილა ეს კაცი!... კაცო! ადამიანო! შენ რა გინდა?! რა შენი საქმეა ეგეები?! შენ მხოლოთ ის აასრულე, რასაც გიბძანებენ! განა მაგდენსაც ვეღარ მოვახერხებ, რომ ზიბა-ხანუმი მოვატყუო როგორმე?! ვეტყვი, რომ ის ქათიბი ჩემმა დამ, გიდარ-ხანის ცოლმა, საჩუქრათ გამოუგზავნა შოლე-ხანუმსა-მეთქი ტ მაშინ რაღა მიზეზი ექნება, რომ მე დამიწყოს საყვედურები? ხომ გაიგე ახლა? მაგრამ ვაი შენს დღეს, თუ ეს სადმე წაგცდენია!...

ჰაჯი

აბა, რასა ბრძანებ, შენი ჭირიმე?! მე როგორ გავბედავ, რომ თქვენი ოჯახის საიდუმლოება რამ გამოვამჟღავნო?

ვეზირი

მაშ ახლა-კი შეგიძლია წახვიდე. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს!... (ჰაჯი სალახი სიმდაბლით თავს უკრას და მიდის).

გამოსვლა მეოთხე

(ზიბა-ხანუმი შემოახეთქებს კარებს და შემოვარდება გააფთრებული. ვეზირი შეკრთება)

ზიბა-ხანუმ

ჰაი გიდი!... ქათიბს აკერვინებ შენი საყვარელი ცოლისთვის? სწორეთ, რომ კარგი ქმარი ხარ! არც გემართლება შენი ცოლი საყვედურებს!... რაო?! რაო?! მერე მე როგორ მიპირობ მოტყუებას?! ჩემმა დამ გამოუგზავნაო? მერე და ვინ გინდა მაგითი მოატყუო?! განა

მე არ ვიცნობ შენს დას? ნამეტანი სიძუნწით ის დოქში რომ თაფლს ასხამს, ჭურჭელს გარედან ლოკავს და სხვისთვის ას-ას თუმნიან ქათიბებს გაიმეტებს?! ვიჲ! ვიჲ! ვიჲ!... თქვენმა მზემ კარგი მოგონებაა!...

ვეზირი

ქალო, რას ამბობ?! ხომ არ გაგიჟებულხარ?! რისი ქაფიბი? ვისი საჩუქარი? ხომ არა გეზმანა რა?!...

ზიბა-ხანუმ

არა, ბატონო, სიტყვას ბანზე ნუ აგდებ, თავს ნუღა იკატუნებ! გავიგონე ყოლიფერი, შევიტყვე: ჰაჯი-სალახს რომ ელაპარაკებოდი, მე მაშინ კარებზე ვიყავი წამოყურებული და მესმოდა ყოლიფერი!... ხა! ხა! ხა! ხა!... მშვიდობაში, ბედნიერებაში მოახმაროს შენს ცოლს ღმერთმა ის ქათიბი!... მაგრამ თემურ-აღას-კი უნდა მიულოცოთ, რომ მისი საყვარელი, ახალ ქათიბში გამოჭიმული, მოხდენილათ ჩაიკრავს გულში!...

ვეზირი

ჰეი! ჰეი! დედაკაცო! როგორ ბედავ მაგაებს?! ან მე როგორ მარცხვენ ? ან ჩემ საყვარელ ცოლს როგორ სწამებ ცილს, შე ურცხვო, შენა!...

ზიბა-ხანუმ

შენი შერცხვენა თუ მდომებოდა, ერთ საყვარელს მეც ავიჩენდი სადმე, მაგრამ შენი შემრცხვენიც და ლაფის დამსხმელიც შენი ცოლი, შენი საყვარელი შალე-ხანუმია, რომ დღე და ღამე გულში ეკვრება თემურ-აღას... ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩემი მოახლე თავზე წასწრებია იმათ?

ᲕᲔᲖᲘᲠᲘ (გაფითრებული)

მიჰქარავ! არც შენ დაგეჯერება და არც შენს მოახლეს!...

ᲖᲘᲑᲐ-ᲮᲐᲜᲣᲛ

მარტო ჩვენ ხომ არ ვამბობთ, მთელმა ქვეყანამ იცის! შენ აგიბა თვალები და მოგაჯადოვა იმ უნამუსომ, თორემ სხვები განა ვერა ხედვენ? თავსა გჭრის ქვეყანაში და წვერ-ულვაშს გირცხვენს!...

ᲕᲔᲖᲘᲠᲘ

შოლე-ხანუმი საიდან იცნობს თუმურ-აღას, რომ არსად უნახავს?

ᲖᲘᲑᲐ-ᲮᲐᲜᲣᲛ

შე უბედურო! თვითონ შენ არ გააცანი?

ᲕᲔᲖᲘᲠᲘ

მე?! რას მიჰქარავ! რას მიედ-მოედები! ნუ სჭამ, რაც არ გეკადრება!...

ᲖᲘᲑᲐ-ᲮᲐᲜᲣᲛ

შენ არ ურჩიე შოლე-ხანუმს, რომ ის მისი დითა, მოახლითა და საჭურისით მაღლა ბანზე ასულიყო და იქიდან ეცქირა ჭიდაობისათვის? ხანმა რომ მოჭიდავეები გამოიყვანა, იქ მაშინ თემურ-აღაც იყო და ისეთი ფალავნობაც გამოიჩინა, რომ ვეღარც ერთმა ბეგის შვილმა ვეღარ გაუძლო, სუყველას მოერია! ყმაწვილი ქალია, უყურებდა შვენიერ თვალ-ტანად ფალავანს და რასაკვირველია გული გადუბრუნდებოდა! შეუყვარდა, მერე იმდენიც ეცადა, რომ ხელში ჩაიგდო შვენიერი ახალგაზდა ფალავანი და უმისოთ ვეღარ

ბუნთქავს. და ვისი ბრალია, თუ არ შენი? ახია შენზე! აკი გეუბნებოდი, რომ ბებერი ხარ და ყმაწვილი ცოლი შენი საქმე აღარ არის-მეთქი? რატომ არ დამიჯერე? წადი და ირიკავე!...

ვეზირი (ყურებში თითს იცობს)

ოჰ! ოჰ! ოჰ! კარგია, ნუ აჭიჭინდი, ნუ წაიღე ყურთა სმენა!... შენთვის არა მცალიან: წერილი უნდა დავუმზადო ავარის ხანს, მომშორდი, დამეკარგე აქედან!... (ზიბა ხანუმი მიდის, ვეზირი დაღონებულია). არა, შოლე-ხანუმი ამას ვერ გაბედავდა!... შეიძლება, რომ თემურ-აღის ვაშკაცობა და ძალ-ღონე გაუკვირდა და თავის ტოლებში სადმე აქო, როგორც ახალგაზდამ და გულ-წრფელმა... ამას იმ ბებრუხანა ზიბა-ზანუმმა ყური მოჰკრა, თავისებურათ გადააკეთა და შურითა და მტრობით უნდა, რომ ორმო გაუთხაროს... კი, მაგრამ, რომ მართალი იყოს? ჰეი! ჰეი! რა ხუმრობაა! ეჰ, ასეა თუ ისე, მე მაინც უნდა როგორმე დავარწმუნო შოლე-ხანუმი, რომ თემურ-აღა არც ისე ღონიერია, როგორც იმასა ჰგონია. ვინც წააქცია, არც ერთი მოჭიდავე არა ყოფილა-მეთქი; ბეგის შვილები ბოვშები იყვენ-მეთქი ვეტყვი. ახლა კი დრო არის, რომ ხანს ვიახლო. მის დარიგებას მერეც მოვასწრებ (წასვლას აპირებს).

გამოსვლა მესამე

(ისინივე და ზიბა-ხანუმი—შემოდის)

ზიბა-ხანუმ

რას მიბრძანებთ, რომ მოგიმზადოთ სადილათ ან ვახშმათ?

ვეზირი

გველის შხამსა და ჯოჯოხეთის ქარ-ცეცხლს! სხვა რაღა უნდა მომიმზადო? არ მეყო, რაც ნაღველი შემასვი?! მე მგონია ერთ თვესაც აღარ მომივიდეს მადა!... (დადის აღელვებული. უცბათ ცხრილს დაჰკრავს ფეხს, ცხრილი აირეკლებს და წვივზე მოხვდება, დაიღრიალებს) ეს რა ამბავია! რა უნდა აქ ამ ცხრილს?!

ზიბა-ხანუმ (გაკვირვებით)

არ ვიცი სწორეთ, ვის მოუტანია!

ვეზირი

ფარეშო!

გამოსვლა მეოთხე

(ფარეში შემოიკრება და გულ-ხელ დაკრეფით თაყვანსა სცემს ვეზირს. ზიბა-ხანუმი უცბათ ჩადრით პირს დაიფარებს და კუთხეში მიიმალება).

ვეზირი (მრისხანეთ)

ამას რა უნდა აქ ჩემ ოთახში?!

ფარეში

ბატონო! დღეს დილას ადრე ოთახსა ვგვიდი, ჩვენი მეჯინიბე—ქერიმი—შემოვიდა, ცხრილი ეჭირა ხელში... ცოტა ვილაპარაკეთ და წავიდა... ეტყობა, რომ ცხრილი აქ დარჩენია!...

ვეზირი

მაშ დაუძახეთ მეჯინიბეს! (ფარეში გარბის) არა, ჩემ ოთახში რა უნდა მეჯინიბეს?! დღეს უსიამოვნობის მეტი არა მესმის-რა!... ამ დასაქცევ ოთახში შემოვალ თუ არა, ყოველთვის რომ არა ამიტყდეს რა—არ შეიძლება!...

ზიბა-ხანუმ

რასაკვირველია, ეგ იმიტომ, რომ ამ ოთახში შენი შოლე-ხანუმი არ არის!... თუ მაგრეა და რაღათ მოდიხარ, სულ იქ დარჩი მის ოთახში!...

გამოსვლა მეხუთე.

(ისინივე, ფარეში და მეჯინიბე—შემოდიან)

ვეზირი (მრისხანეთ)

ქერიმ! არ იცი, რომ შენი ბინა საჯინიბოშია? რა ხელი გაქვს, რომ ამ ჩემ ოთახში შემოდიხარ?!

მეჯინიბე

ერთი წამით შემოვედი, შენი ჭირიმე, რომ მეკითხა ფარეშისათვის: წაბძანდებოდით სადმე დღეს თუ არა?

ვეზირი

კი მაგრამ, ცხრილი რაღათ დატოვე?

მეჯინიბე

ხელში მეჭირა, ქერის გაცხრილვა მინდოდა და აქ დამრჩა, შენი ჭირიმე.

ვეზირი

მერე რატომ აღარ მობრუნდი და არ წაიღე?

მეჯინიბე

რა მომაფიქრებინებდა, შენი ჭირიმე, რომ აქ დამრჩებოდა!... მე კი იქ ვეძებდი და იქაურობა დავანგრიე.

ვეზირი

ან ფიქრი ვინ მოგცა და ან ჭკუა, შე არამზადავ, შენა!... ფარეშო! წადი ახლავე მოურავს დამიძახე და თანაც ჯოხები და ფოლაქა წამოიღე. ერთი სამიოდე ბიჭიც მომგვარე. (ფარეში გადის).

მეჯინიბე (ათრთოლდება და ტირის).

შენი ჭირიმე, ბატონო, ხანის თავის მზეს, მაპატივე...

ვეზირი (მრისხანეთ).

ჩუმათ, შე ძაღლო ლ ძაღლის შვილო!

მეჯინიბე

შენი ჭირიმე, ჩემო ხელმწიფევ! შენი დედ-მამის სულის საოხებლათ ნუ მომკლავ, მაპატივე!...

ვეზირი

გაჩუმდი-მეთქი, შე ვირო და ვირის ჯიშისავ!

გამოსვლა მეექვსე

(ისინივე, მოურავი, ფარეში ჯოხებით და ფალაქით და მასთან სამი ბიჭი შემოდიან).

ვეზირი (ფარეშებს).

აბა, წამოაქციეთ მოურავი და ჩაუყავით ფეხები ფალაქაში! (ფარეშები ასრულებენ ბრძანებას: ორს ფალაქა უჭირავს და ორს ჯოხი).

ვეზირი

დაჰკარით! (სცემენ).

მოურავი (ღრიალით)

ბატონო!... შენი ჭირიმე, რას მერჩით?... რა დამიშავებია?...

ვეზირი (მრისხანეთ).

ამ ცხრილს რა უნდოდა, შე ვირო, აქ, ჩემ ოთახში?!...

მოურავი

რა ცხრილია, შენი ჭირიმე?

ვეზირი

რა ცხრილია?—ჯოხები გეტყვიან! მოურთეთ!

მოურავი

ვაიმე! ვაიმე! შენი ჭირიმე... შემატყობინეთ, რა დანაშაული მაქვს და მერე, თუ გინდათ, მომკალით!...

ვეზირი

შეაჩერეთ!—მოურავო! შენი დანაშაულობა ის არის, რომ მოსამსახურეებს კარგათ ვერ არიგებ. რატომ არ შეაგონებ თვითეულ მათგანს მათ-მათ მოვალეობას? როგორ ბედავს მეჯინიბე ჩემს ოთახში შემოსვლას?! რა უნდა აქ საცერს?! თუ კი მე, როგორც ვეზირი, ამოდენა სახანოსა ვმართავ და ვუვლი, შენ როგორ ვერ მოგივლია თავი ჩემი პატარა ოჯახისათვის?

მოურავი

შე დილოცვილო, მე რა შენი მისატოლებელი ვარ? შენ თავიც დიდი გაქვს და ჭკუაც. მაპატიე, შენი ჭირიმე, ეს ერთი და დღეიდან ვეცდები...

ვეზირი

კარგი, აუშვით! მოურავო, ეს ერთი მიპატიებია და მეორეთ რომ კიდევ ვნახო ჩემ ოთახში ცხრილი, ვაი შენი ბრალი, გამოეთხოვე შენს თავს!...

მოურავი (ფეხზე დგება)

კი შენი ჭირიმე! კი ჩემო ხელმწიფევ!

ვეზირი

წადი ახლა.

მეჯინიბე (თავისთვის)

მადლობა ღმერთსა, გადავრჩი! (გარპის საჩქაროთ და სხვებიც მიჰყვებიან).

ფარდა.

მოქმედება მეოთხე

სცენა პირველი

შოლე-ხანუმის ოთახი

გამოსვლა პირველი

(თემურ-აღა და ნისა-ხანუმი ზეზე დგანან და აღელვებული ელაპარაკებიან ერთმანეთს)

თემურ

მითხარ რა ვქნა? ეს რა უცნაური რამ გაუძრახავს ვეზირს? შენ უნდა ხანს მიგათხოვოს და მე კი ამ ჩემი თავით ცოცხალი ვიყო?! რაო! რა მინდაო, მაინცა და მაინც რომ ხანი ამოუჩემებია?!

ნისა

ღმერთმა ნუ იცის მისი თავი და ტანი!... პატივის მოყვარეობა არ ასვენებს.

თემურ

მაგისთვის განა ვეზირობა კი არა კმარა?

ნისა

კმარა, მაგრამ ვეზირობა ხომ სამუდამო არ არის? დღეს არის, შეიძლება ხვალ აღარ იქნეს და ამიტომაც უნდა, რომ ხანის მოყვრობით საქმე მარჯვეთ დაიჭიროს.

თემურ

აი ტუტუცი! ვერა ხედავს, რომ ხანს ჯერ მოყვრობით და ნათესაობით არავინ გაუტანია? მაგრამ, ეჰ, ეს სულ ტყუილი ყბედობაა ჩემი მხრით... უნდა ვეცა-

დოთ, რომ ეგ საქმე როგორმე მოვშალოთ! ნეტაი გამოვტეხოდი და მეთქვა მისთვის, რომ შენ მიყვარხარ!... შენი ბრალია: დამიშალე და არ მათქმევინე...

ნასა

ღმერთი არ გაგიწყრეს, ეგ არა ჰქნა! ხომ იცი, რომ ხანი მიზეზში გიდგია და ვეზირი, გაიგებს თუ არა ჩვენს სიყვარულს, მაშინვე მივა და ჩაგაბეზღებს ხანს, რომ თემური არაფრათ გაგდებს, მეტოქობას გიწევს, რაყიფათ გამოდის და საცოლოს გართმევსო! ამას ვეზირი მიტომ იზამს, რომ ხანის გული მოიგოს და მასაც მეტი არა ეჭირვება!... ხომ იცი, რომ კვალში გიდგება?

თემურ

იმ დალოცვილს, ის კი არ ეყოფა, რომ ცხოვრება ჩამომართვა?! ახლა დაღუპვასაც მიპირობს?!...

ნასა

აბა არ იცი?... იმან კარგათ იცის, რომ სანამდი ცოცხალი ხარ, მისი უსამართლობა გულზე მახვილათ გესობა. დრომდი გექალაჩუნება, გემელაკუდავება და, თუ მოგასწრო სადმე,—გიჩვენებს შენ სეირს! შენი სიკვდილი მისთვის სიცოცხლე იქნება!...

თემურ

მაგის კი რა მოგახსენო!... მამა უცხონდა, რაც მე იმან ვერ მომკლას! ერთი, რომ ხალხი ჩემკენ არის, მამი ჩემის ერთგულება ჯერ კიდევ არ გადავარდნიათ გულზე და მეორეც ის კიდევ, რომ არც მე ვახლავარ ლაჩარი! ჩემი ხორცი იმას ყელზე დაადგება, ვერ მოინელებს! ეჰ, რას ამბობ? განა ღირს მაგაზე ფიქრი და ლაპარაკი! შენ ეს მითხარი: ე ვეზირი რათ გადამკიდებია?

ნასა

ნავეზირალის შვილი—ნირზა-ლატიფი—რომ მდივნათ აიყვანე შენთან—მიტომ. იმასა ჰგონია, რომ, თუ ვინიცობაა, ბედი დაგიბრუნდა და ისევ ხანობა ჩაიგდე ხელში როგორმე, ამას გააგდებ ბ ვეზირობას შენს მდივანს მისცემ. აი, ამიტომ ცდილობს ვეზირი, რომ ის საბრალო ყმაწვილი როგორმე პირშავათ გამოიყვანოს ხანთან და ამ ქვეყნიდან გააგდოს!...

თემურ

ვერ მოახერხებს!... ვერ შეიძლებს!... ჰაი, ჰაი, როგორ მიხდის მამი ჩემის ამაგს!... მართალი ხარ, შენი რჩევა დამიჯდა! ვეზირთან საქმის დაჭერა არ ღირებულა... შოლე-ხანუმ სად არის? მინდა მოველაპარაკო.

ნასა

დედის ოთახშია

თემურ

ვერ გამოიხმობ?

ნასა

დედა შინ არ არის, თუ გინდა, იქ წავიდეთ.

თემურ

კაი დაგემაროს!... (მიდიან და მერე ზიბა-ხანუმი შემოდის).

ზიბა-ხანუმ

ჰაი, შე ურცხვო, შენა! ვის ეკადრება შენგან შეურაცხყოფა!... ვეზირი რომ გასათუთებს, განა მიტომ შეიქენი თავ-გასული? (აქეთ-იქით იხედება და რომ ვერავის ხედავს) ა, სად წასულა ის უნამუსო, ის ფრახი! აი დაიქცეს ეს ოჯახი და ამოვარდეს ვეზირი, რომ აქამდი მიმიყვანა!...

(აპირობს დაბრუნებას, მაგრამ კაცის ხმა მოესმის და შეკრთება). ვაიმე! ვაშკაცის ხმაა!... აგერ, სადაც არის, კარს შემოაღებს! რაღა ვქნა?! როგორ-ღა გავიდე ამ საით, რომ არ მომასწროს?! (გარბი-გამორბის აქეთ-იქით ბოლოს ფარდას ეფარება. თემურ-აღა და შოლე-ხანუმი შემოდიან).

თემურ

ოჰ, როგორ მალე დაბრუნდა დედაშენი აბანოდან! უმისოთ შეგვეძლო შენს ოთახში დავრჩენილიყავით ამ გველაპარაკნა... აქ ვეზირი ხომ არ მოვა?

შოლე-ხანუმ

ხათრი ნუ გაქვს! დღეს ის ჩემთან ვერ შემოვა.

თემურ

რატომ?

შოლე

დღეს რიგი ზიბა-ხანუმს ერგო და აქ რომ შემოვიდეს, სიცოცხლე დაუმწარდება.

თემურ

კი, მაგრამ ვინ იცის, რა შემთხვევა ეწვიოს?

შოლე

შენ ნუ გეშინიან, თავდარიგი დაჭერილი მაქვს! ნისა-ხანუმ მეთვალ-ყურეთ დავაყენე და, თუ დაინახა, შეგვატყობინებს. განა გეშინია?

თემურ

შიშით არავისი მეშინია, მაგრამ მაინც არ მინდა, რომ მნახოს ვეზირმა და ხანს დამაბეზღოს.

ნისა-ხანუმ (შემოიჭრება).

ვაიმე!... ჩქარა! ჩქარა თავს უშველეთ! ვეზირი მობძანდება!...

ბოლე (გაიხედავს კარებში)

მართლა, რომ მოდის და ახლოსაც არის!... თემურ, შენ ველარ გაასწრობ კარებში, წინ შეეფეთები!...

თემურ

მაშ რა ვქნა? ხომ არავინ შეატყობია, რომ აქა ვარ? გულს გავუპობ ხანჯლით, რომ ვინმემ გამცეს!...

ბოლე

აბა რა დროს ეგ არის! ჯერ მაგ ფარდას ამოეფარე და მერე როგორმე მე გავიტყუებ ვეზირს აქედან... (თემური ეფარება).

გამოსვლა მეოთხე

(ვეზირი და ჰაჯი-მასუდი შემოდიან)

ვეზირი

რასა იქ, ჩემო ბოლე-ხანუმ? როგორ გუნებაზე ხარ?

ბოლე

მადლობა ღმერთს! ღვთისა და შენი წყალობით მხიარულათა ვარ და ნურც შენ მოგიშალოს ყოვლის შემძლებელმა მხიარულება... მაგრამ რატომ მაგრე მოჭ-მუხვნილხარ?

ვეზირი

ისეთი მოულოდნელი რამ შემემთხვა, რომ სულ ამრივ-დამრია!... ჰაჯი-მასუდ, წადი, ყავა გააკეთე და მომართვი. (ჰაჯი თავს დაუკრავს და გადის).

შოლე

აბა მითხარი, რა მოგივიდა? რა დაგემართა? მაგრამ არა, არა! არ მინდა, რომ თავი შეგაწყინო, ეგება გძელი ამბავია!...

ვეზირი

მაგდენადაც არაფერი. აი, რა მოხდა: დღეს მე და რამდენიმე ბეგი ბატონ-ხანს ვახლდით. ვიღაცამ ჩამოაგდო ლაპარაკი თემურ-აღას ღონეზე და ყველამ ერთ ხმათ გაიმეორა, რომ იმისთანა ფალავანი ახლა მთელ სახანოში არ მოიპოებაო. ხანიც ამ აზრის იყო, მაგრამ მე კი შორს დავიჭირე და მოვახსენე: ეგება მაგას მიტომ ბრძანებთ, რომ იმ დღეს იმან იმდენი მოჭიდავე გალახა-მეთქი და ისინი ხომ არც ერთი ფალავნები არ ყოფილან, ახალგაზდა ბავშვები იყვენ-მეთქი! ხანმა არ დაიჯერა და მაშინ, რასაკვირველია, მე მოვახსენე: ვაი დედასა, რომ მე არ შემფერის ღლაბუცობა, თორემ მის სეირს გაყურებიებდი-მეთქი! ხანმა რომ ამ სიტყვებს ყური მოჰკრა—ხომ იცი რომ სეირი უყვარს—აღარ მომეშვა: თუ გიყვარდე, აბა დაეჭიდეო. მეც, რაღა გზა მქონდა, ვტაცე ხელი, მაგრამ მისთანა შენს მტერს, იმას საქმე მოუვიდა!... ერთბაშათ მოვსხლიტე დედამიწას, ავიყვანე ჰაერში, გადავატრიალე და ერთი მისთანა ვდრიკე მიწაზე, რომ სული განაბა!...

შოლე (ღიმილით)

ოხ, ღმერთო ჩემო, რა გიქნია ეგა? რომ მოგეკლა მერე?... არ გებრალებოდა? დედა მისი მაინც აღარ შეგეცოდა?

ვეზირი

მერე მეც ბევრი ვიწუხე, მაგრამ რაღა დროსი იყო!... იმ უბედურმა სული ველარ მოიბრუნა...

შოლე

უი, დამიდგა თვალი! ეგება ახლა იქ აგდია!...

ვეზირი

არა, აქამდი წაიღებდენ ფარეშები და დედასთან მიიტანდენ. (თემურ-აღა გაიცინებს, ვეზირი შეკრთება, მივა და ფარდას ახდის, იქ თემური და ზიბა-ხანუმი დაუხვდება და გაშტერდება. შოლე-ხანუმსაც გაუკვირდება ზიბა-ხანუმის აქ ყოფნა).

ვეზირი

ღმერთო ძლიერო, ამას რას ვხედავ!... (მოუბრუნდება თემურს) აქ შენ ვინ მოგიყვანა?! რა გინდა?! (თემური წასვლას აპირებს, მაგრამ ვეზირი ხელსა სტაცებს). არა, სად მიდიხარ, რომ მიდიხარ? არ მეტყვი, აქ რა გინდოდა?!

თემურ (ხელს გააშვებიებს)

გამიშვი!

ვეზირა (ორივე ხელებით ეპიდება)

რას ჰქვიან გაგიშვა?!

(თემური, მოთმინებიდან გამოსული, ერთ ხელს კისერში მოჰკიდებს, მეორეს ფეხში წაავლებს, დაარტყამს დედამიწაზე და თვითონ გადის სახლიდან).

ვეზირი (მივარდება ზიბა-ხანუმს).

შე ღვთისაგან წყეულო, რა გინდოდათ მანდ და რას აკეთებდი?!

ზიბა

რა უნდა გაგვეკეთებია? ჰაი, შე უბედურო, გამოიღვიძე და გამოახილე თვალები, რომ ვერასა ხედავ!

ვეზირი

ფიე! როგორ თუ ვერასა ვხედავ?! მაშ რა არის ეს? ვგონებ შენ გინდა, რომ თვალები ამიხვიო, მაგრამ

გვიან-ღა არის... დაგიჭირე, ქალბატონო, და აწ მე გაჩვენებ შენ სეირს!...

ზიბა

აი, დაგიჭგა ეგ თვალები, ხომ ხედავ და ვერას გეგულობ!... არა, შე გამოყრუებულო, მე რას მერჩი?!

ვეზირი.

როგორ თუ რას გერჩი? რა გინდოდა უცხო კაცთან?!.., მალულობიას თამაშობდით? ჰმ... კარგი ადგილი გიშოვნიათ ფარდას იქით... არა შე უნამუსო, რა უნდოდა იმ უცხო კაცს აქა?

ზიბა

ეგ შოლე-ხანუმს უნდა ჰკითხო: რა უნდოდა უცხო კაცს მის ოთახში?

ვეზირა

რას მიედ-მოედები, შე ბებერო კატავ, შენა! შენი არამზადობა შენვე უკეთ არ იცი? ამან რა უნდა თქვას? სთქვი, რა უნდოდა აქ?...

ზიბა

მაშ კარგი, გეტყვი: წეღან ჩემმა მოახლემ შემომჩივლა: შოლე-ხანუმმა გამლანძღაო, მეც ველარ მოვითმინე და შემოვეჭერი ოთახში, რომ გამელანძღა, მაგრამ ოთახში კი არავინ დამხვდა. ერთიც ვნახოთ, გარედან ხმა შემომესმა... შოლეს ვიღაც უცხო კაცი მოჰყავდა და ელაპარაკებოდა. მე რომ ველარ მოვასწარი წასვლა, აქ მივიმალე. ერთი, რომ იმ კაცს მოვერიდე ტ მეორეც ისა, რომ გამეგო, თუ რას ეტყოდა იმ უცხო კაცს შენი საყვარელი ცოლი. სწორეთ იმ დროს შენი ფოსტლების შლაპა-შლუპის ხმა გაიგონა იმ კაცმა და ისიც აქ შემოძვრა დასამალავათ.

ვეზარა

თუ მაგრე იყო, რატომ მაშინვე არ დაიყვირე და არ გამოვარდი?

ზიბა

რალას გამოვიდოდი, რომ ცალი ხელით ვეჭირე და მეორე პირზე მომაფარა!

ვეზარა (ფიქრის შემდეგ)

შოლე-ხანუმ! მართალი მითხარი: ეგ ქურდი, ავაზაკი შენთან იყო თუ არა?

შოლე

შენი გამოყრუებული ცოლი, რომ თუთიყუშების ჯიშისაა—განა არ იცი? ეგ სულ ბაგრე ყბედობს ლ რას ამბობს,—თვითონაც არ იცის, თორემ მე რა ვიცი ვინ ოხერია ის კაცი და ან ჩემთან რა უნდოდა?

ვეზარა

როგორ თუ არ იცი?! განა თემურ-აღას ვერ იცნობ?

შოლე

ვინ თუმურ-აღაა? თემურ-აღა შენ არ წააქციე და ცოცხალ-მკვდარი მიუტანეს დედა მისს ფარეშებმა? ის აქ როგორ-ღა მოვიდოდა?!

ვეზარა

შენ ეი, დედაკაცო, ნუ ცბიერობ! მითხარი, შენთან იყო თუ არა? შენთან მოვიდა?

შოლე

ჩემთან რომ მოსულიყო, ჩემთანაც იქნებოდა ლ ერთად გვნახავდი. ზიბა-ხანუმმა იცოდა, რომ მე ჩემ დედით და დით აბანოში უნდა წავსულიყავ. მაგასაც უფიქრია, რომ სახლი მარტო იქნება, ხელს აღარავინ შეგვიშლისო და საყვარელი აქ მოუყვანია. თავის ოთახშ

ხომ ვერ შეიყვანდა, რადგანაც იცოდა, დღეს შენ უნდა რიგით მაგასთან ყოფილიყავ. მაგრამ მაგის საუბედუროთ აბანო ველარ ვიშოვეთ და ადრე დავბრუნდით სახლში. ეგ საწყალიც საღლა წავიდოდა? მოემწყვდა სახლში და თავის საყვარლით კი მიმალულან!...

ზიბა

ჰაი, შე აშარო და უნამუსო, რატომ ეგ ენა არ დაგიდუნდება, რომ მაგრე მოხერხებულათ სტყუი!... გინდა, რომ შენი დანაშაულობა მე გადმომაბრალო? ჰაი! ჰაი! რატომ მიწა არ გამისკდება, რომ ეს მესმის ამ უნამუსოსაგან!...

ბოლო

თვითონ აშარო და უნამუსოვ! გაგისკდეს მართლა დედამიწა და თან ჩაგიტანოს!... მთელი სერაბი გიცნობს, რაცა ხარ! მაგითი გინდა, რომ თავი გაიმართლო? განა შენ ქმარს თვალები არა აქვს: მე მომასწრო უცხო კაცთან, თუ შენ? ეს კარგია!... ესენიაქ იმალებოდენ და ჩემი ბრალია!...

ზიბა

უიმე! უიმე!... რალათ მინდა თავი ცოცხალი! (ვეზირს) რატომ არ ჩაამტვრევ ცხვირ-პირს, რომ შენთან მაგაებს მეუბნება ეგ ურცხვი და ცილსა მწამებს?

ვეზირი (ზიბას)

გაჩუმდი შე ასო-ასოთ ასაჭრელო! კიდევ ხმას იღებ? ჯერ შენთვის არა მცალიან! უნდა შენი საყვარელი ხანს დავაბეზღო და მერე კი ვიცი, რასაც გიზამ, შენ სეირს გაყურებიებ! შენ სიცოცხლეში, რომ სიცრუე და ეშმაკობა ვერ მოიშალე!...

ზიბა

მე ვარ ცრუ და შენ-კი სიმართლის მოყვარე? კაცო, შენ არ ტრაბახობდი, რომ თემურ-ალა დასცი და უსულოთ აგდიაო?

ვეზირი (გარისხებული).

დაიკარგე, შე მოღალატე, შენ!... (მიდის). ღმერთო ძლიერო! რომელ ერთს უნდა დაუჯეროს კაცმა?... ასე შეუპოვრათ ერთი მეორეს პირში უდგიან!... მოდი და გაარჩიე მტყუან-მართალი!...

გამოსვლა მესამე

(ისინივე, ჰაჯი-მასუდს ყავა მოაქვს)

ჰაჯი-მასუდ

ბატონო, ინებეთ ყავა.

ვეზირი (ხელსა ჰკრავს)

ჯანაბას შენ და შენი ყავაც! რალა ყავისა მცხელა, ხანს უნდა ვიახლო. (ჰაჯი-მასუდი ჩოხას იწმენდს და გადის, ვეზირი მიჰყვირის:) წამომასხი წითელი ცხენი და ლურჯი ქურქი შემიკაზმეთ, გესმის?...

ჰაჯი

მესმის, ბატონო! ახლავე. (გადის და ვეზირიც მიჰყვება).

შოლე (მარტო)

მადლობა ღმერთს, კარგათ არ გამოვიძვრინე თავი!... ღმერთმა უშველოს ზიბა-ხანუმს, რომ უნებურათ ჭირს გადამარჩინა. წავიდე ერთი და ჩემს დას ვუამბო ყოლიფერი.

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მესამე

სცენა წარმოადგენს ზღვის პირათ ხანის სასახლეს. ჰაივანი დაბალია, სულ ერთი საქენიც არ იქნება. ტანტზე ზის ხანი, სერაბელი ბეგები გვერდში უდგანან. თავზე სელიმ-ბეგი ადგია და ხელში დიდ კეტი უჭირავს, მისი თანამდებობის ნიშნათ. კარებთან დგას სამად-ბეგი, ფარეშო-უხუცესი, იქვე შორი ახლოს არიან მსახურთ-უხუცესი აზიზ-აღა და ორი ახალგაზდა მსახური. დაბლა ჰაივნის წინ მთხოვნელები იცდიან. კარის იქით ფარეშები არიან თავმოყრილი, ზოგი წევს და ზოგი ზეზეა.

ხანი

დღეს კარგი ტაროსია... მთხოვნელებს რომ გავისტუმრებ,—მინდა ნავით გავისეირო ზღვაზე. აზიზ-აღა! უბრძანე, რომ ნავი დამიმზადონ.

აზიზ

ბატონი ბრძანდებით.

ხანი

სელიმ-ბეგ! უბრძანე, წარმომიდგინონ მთხოვნელები.

სელიმ-ბეგ

ყადირ-ბეგ! აბა, წარმოადგინე! (ყადირ-ბეგს შემოჰყავს ორი მთხოვნელთაგანი. ხანს თაყვანსა სცემენ.)

პირველი მოამჩაკარი

ბატონო ხანო! თქვენს თავს შემოვევლე და თქვენის ჭირის სანაცვლოც ვიყო! სათხოვარი მაქვს.

ხანი

რასა მთხოვ?

მოამჩაკარი

დღეს ცხენი გამექცა, წყალზე რომ მიმყავდა. ეს კაცი (უთითებს მეორეზე) პირდაპირ მოდიოდა. შევყვირე: ღვთის გულისათვის ცხენი გამოიბრუნე როგორმე-მეთქი. ამანაც, უცბათ, წამოავლო ქვას ხელი, ესროლა ჩემ ცხენს და მარჯვენა თვალი წამოაგდებია.

დაშავებული ცხენი ვის რალათ უნდა? ვეხვეწები გადა-
მიხადე-მეთქი და ეს კი აყალ-მაყალს მიწევს.

ხანი

მართალია?

მოპასუხე

თქვენ თავს შემოვევლე, — მართალია, მაგრამ მე რა
ბრალი მაქვს, უცაბედი საქმე მოხდა. მე ხომ არ მდო-
მებია?

ხანი

რას მიჰქარავ! უცაბედათ ქვის აღება და გასროლა
განა შეიძლება?! გყავს ცხენი თუ არა?

მოპასუხე

გახლავსთ.

ხანი (პირველს)

მაშ წადი და ახლა შენ გამოთხარე ცალ-
თვალი მაგის ცხენს და ბარი-ბარში გამოხვალთ. სამად-
ბეგ! გააყოლე ამათ ერთი ფარეში, რომ ჩემი განჩინება
უთუოდ მოაყვანინოს სისრულეში. (გააყენებენ განზე) სელიმ-
ბეგ! ახლა სხვებს დაუძახონ.

სელიმ-ბეგ

ყადირ-ბეგ! სხვებიც შემოვიდენ. (შემოჰყავთ კიდევ ორი)

ხანი

ოხ, რა ძნელია ხანობა!... ნეტავ თუ კიდევ რამე
იყოს ამაზე უძნელესი?!... ყველა მარტო თავის ოჯახზე,
ცოლ-შვილზე ზრუნავს და მე-კი ათასს ვინმეებზე უნდა
ვიზრუნო და მოსვენება არა მქონდეს!... რალაი-კი ხა-
ნათ დავმჯდარვარ, მას უკან სულ ასე ვარჩევ თხოვნასა
და საჩივარს!... დაუკმაყოფილებელი არავინ გამიშვია....

სელიმ-ბეგ

ნაცვლათ მთელი ქვეყნის ლოცვა-კურთხევა წინ გიძღვისთ! თუ არ თქვენი ეგ მართლ-მსაჯულობა და მზრუნველობა სხვა რა გააბედნიერებდა და ააყვავებდა მთელ თქვენს სახანოს? (მთხოვნელები თაყვანსა სცემენ).

მომჩავარი

ბატონო ხანო, თქვენს თავს შემოვევლე!.. აქლემი გამიხდა ავათ, მიმასწავლეს ამასთან (ხელს აშვერს მეორეზე), პირუტყვების ექიმიაო; მეც გავბრიყვდი, ერთი თუმანი ხელფასი მივეცი. ამან ნახა თუ არა ჩემი აქლემი, მაშინვე სისხლი გაართვა და ისე დაწრიტა სისხლით, რომ ჩემმა აქლემმა ფეხები გაფშიკა... ძალის-ძალათ მოჰკლა!... ვეუბნები: კაცო, მაჰმადიანო, რა ღვთის რისხვა რამ ყოფილხარ?! თუ არა შეგეძლო რა, ამ ჩემ საქონელს ხელს რათა ჰკიდებდი, რათა ჰკლავდი? და თუ მოკალი, ფულს მაინც რაღათ მახდევინებ-მეთქი? ეს-კი პირ-აქეთ მამადლის: რომ მე სისხლი არ გამომეშვა, უარესიც მოგვიდოდაო, და სიკვდილზე უარესი რაღა მოუვიდოდა, შენი ჭირიმე? სამართალს ვითხოვ, ჩემო ხელმწიფევ!

ხანი (მეორ, მოპასუხეს)

ექიმო, შენ რომ სისხლი არ გამოგეშვა აქლემისათვის, უარესი ვითომ რაღა მოუვიდოდა?

მოპასუხე

ბატონო ხანო, თქვენს თავს შემოვევლე!... მაგის აქლემის მორჩენა შეუძლებელი იყო, უკურნებელი რამ სჭირდა. სისხლ-გაუღებლათ ბევრი, ბევრი ეცოცხლა ექვსი დღე, მეტს ველარ გაატანდა; პატრონი უბრალო ხარჯისა და შრომის მეტს მოვლით რას გამორჩებოდა? მე-კი ერთბაშათ ორივეს გადავარჩინე.

ხანი

მაშ შენი აზრით, ამისგან შენ საჩუქარიც გერგება კიდევ?

მოპასუხე

მერგება, შენი ჭირიმე, თუ თავის ღმერთს შეხედავს!

ხანი (მიუბრუნდება ბეგებს)

არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ უნდა გადავჭრა სამართალი! ჯერ მე ამისთანა დახლართული საქმე არ შეხვედრია!...

ერთი ბეგთაგანი

დიდებულო ხანო, შენი კვნესა მე! ექიმები საზოგადოთ სასარგებლო არიან ქვეყნისათვის. ამ ექიმსაც მე კარგათ ვიცნობ: ყოვლად ღირსი კაცია და ტყუილს არ იტყვის. უბრძანეთ მომჩივარს, რომ შრომის ფასი რამ მისცეს.

ხანი

თუ იცნობ, მაშ მაგრე იყოს! მომჩივარო, წადი ბ მაგ ექიმს ერთი ჩოხა ჩააცვი, ერგება და რას ერჩი!... სამად-ბეგ! ერთი ფარეშიც იმათ დაასწარი, რომ ჩემი განჩინება აასრულონ. (მიდიან. ამ დროს შემოიჭრება გააფთრებული ვეზირი და ხანის წინ დებს საწარულს).

ვეზირი

შენი ჭირიც წამიღია!... დრო არის, რომ ვეზიროობიდან გადავდგე!... შენი წყალობა ჩემს თავზე გადუვალია... ახლა ჩემზე უფრო ღირსეულს უბოძეთ ვეზიროობა. მე უნდა დავაგდო ეს ჩვენი მხარე, გავშორდე აქაურობას და ყარიბათ ვიწანწალო უცხოეთში სადმე...

ხანი (გაოცებული)

ვეზირო, რა დაგმართნია?! რა მდგომარეობაში ხარ? ეს რას ნიშნავს?!

ვეზირი

ჩემო ხელმწიფევ! თქვენი მართლ-მსაჯულობის ხმა მთელ ქვეყანაში გავარდნილია; შენი შიშით სხვისას ვერაფერს ხელსაც ვერავინ ახლებს; უკანასკნელ მონასაც შენი წყალობით ვერავინ შეურაცხყოფს და მე-კი შენმა ძმის წულმა თემურ-აღამ, რომელიც შენს სამართალ რისხვას ჩალათაც არ აგდებს, ოჯახი შემირცხვინა... შემომივარდა დღისით, საჯაროთ, სახლში, ჩემი ცოლის სანახავათ!...

ხანი (მრისხანებით)

რას ამბობ, ვეზირო?! თემურ მაგას როგორ გაბედავდა?!...

ვეზირი

შენი პურ-მარილი ყელზე დამადგეს, თუ ვტყუოდე! ჩემი თვალითა ვნახე თემურ ჩემ ჰარემში... მივასწარი, მინდოდა დამეჭირა, მაგრამ გამასწრო.

ხანი

სამად-ბეგ! წადი და ახლათ-ახლავე თემური მომგვარე! მიზეზს კი ნუ ეტყვი. (სამ-დ თავს უკრავს და მიდის) ვეზირო, დამშვიდდი! ნახავ, თუ როგორ გადავახდეინებ და რა ნაირათ დავსჯი იმ საძაგელს, რომ მთელი ქვეყნისათვის სამაგალითო იქნეს!...

ვეზირი

თავს შემოგევლე!... დიდებული ხალიფები სამართლის გულისათვის, თავის საკუთარ შვილებსაც არ ჰზოგავდენ, როცა კი გაიგებდენ, რომ იმათ რომელიმე

ქვეშევრდომის ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენეს და ნამუსი ახადეს. ამ გვარივე დანაშაულისათვის მაჰმუდ სულთანმა ერთ თავის მახლობელს თავის ხელით გააგდებია თავი. და მიტომაც მათი სახელი ქვეყნათ დაუვიწყარია ჯ ერთი საუკუნიდან მეორეში გადადის გადიდებულათ!...

ხანი

ვეზირო, ეხლავ გიჩვენებ, რომ იმათ არც მე ჩამოუვარდები! (შემოჰყავს თემური ფარეშთ-უხუცესს. პირველი ცოტა მედიდურათ და მეორე მდაბლათ თავს უკრავენ ხანს). რამდენჯერ მიბძანებია, რომ შენ ჩემთან ხანჯლით არ შემოხვიდე ხოლმე?

თემურ-ადა

და სად გახლავსთ ხანჯალი?

ხანი

თითქოს თვალი მოვჰკარი! რა გინდოდა ვეზირის ჰარემში? (თემური თავს ჩაღუნავს და ხმას არ იღებს) გინდა, რომ შენისთანა სალახანას გულისთვის მე ქვეყანაში თავი გავიკიცხო და სახელი გავიტეხო?! არ მინდა, რომ მყავდეს შენისთანა ძმისწული! თოკი! (შემოცვივდებიან ფარეშები, ქიშმირის შალები უჭირავსთ ხელში). გადააფარეთ თავზე შალი, წააქციეთ და დაალრჩეთ! (ფარეშები შეიშმუშნებიან).

ბეგები

თქვენი ჭირიმე! ნუ ინებებთ მაგას!... აპატივეთ ეს ერთი... ჯერ ყმაწვილია!

ხანი

არა, ვფიცავ მამა-პაპის საფლავს, რომ არ ვაპატივებ! (ფარეშებს) წააქციეთ! (ფარეშნი მიუახლოვდებიან).

ბეგები

ხანო, გევედრებით!... შეიბრალეთ! დედის ერთაა!

ხანი

არ შეიძლება! არა და არა! (მიუბრუნდება ფარეშებს) არ გესმით, თქვენ ძაღლის შვილებო, რომ გიბძანებთ?! წააქციეთ და დაახრჩეთ. (ფარეშები მიუახლოვდებიან შალებით. თემური უკან დაიხევს, უცბათ გამოიღებს კალთის ქვეშიდან დამბაჩას და მიაშვერს ფარეშებს. ისინი დაფრთხებიან და გაიფანტებიან აქეთ-იქით. თემური მშვიდობიანათ მიდის).

ხანი (მიაყვირებს)

დაიჭირეთ! ნუ გაუშვებთ! (ყველანი გარბი-გამორბიან, მაგრამ გამოკიდებას კი ვერავინ ბედავს. ხანი მრისხანეთ:) არც ერთი ჩემი წყალობის ღირსი არა ხართ! რათ გაუშვით ეგ საძაგელი? (ხმას არ იღებენ). საბად-ბეგ! (მოუახლოვდება) ახლათ-ახლავე წაიყვანე თან ორმოცდაათი ჩაფარი, მონახე, სადაც იყოს, დაიჭირე და სასახლეში მომგვარე!...

საბად-ბეგ

ბატონი ბრძანდებით. (მიდის)

ხანი

სანამდი არ მოვაკვლევინებ ეს მხარე არ დამშვიდდება!... (ბეგებს) წადით, დამეკარგეთ აქედან! (მიდიან) აზიზ-აღა! (მიუახლოვდება) ნავი მზათ ყრის?

აზიზ-აღა

მზათ გახლავსთ, ჩემო ხელმწიფევ!

ხანი (წამოდგება ზეზე და მიუბრუნდება ვეზირს)

წადი და დამშვიდდი! შენ მაგიერათ მე გადავუხდი! ეს ბეჭედიც წაიღე და მიუტანე ნისა-ხანუმს ნიშნათ. დროა, რომ შენც ქორწილის სამზადისს შეუდგე. უნდა უთუოდ გათავდეს.

ვეზირი

მზათ გახლავარ ავასრულო თქვენი სურვილი, ჩემო ხელმწიფევ! (თაყვანსა სცემს და მიდის. ხანიც ეპირება წასვლას).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

სცენა პირველი

შოლე-ხანუმის ოთახი

გამოსვლა პირველი

(შოლე-ხანუმ და მისი და ნისა-ხანუმი დაფიქრებული სხედან)

ნისა-ხანუმ

არ ვიცი, რა ამბავია, რომ ჰაჯი მასუდი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა!... გული როგორღაც ცუდათ მეუბნება!...

შოლე

რათა? ცუდათ რათ უნდა გეუბნებოდეს? განა დარწმუნებული არა ხარ, რომ თემურ-აღას ხანი ცუდს ვერას გაუბედავს?

ნისა

ეგ კი, მაგრამ, რომ გაგვაშოროს ერთმანეთს? ეს ხომ სიკვდილზედაც უარესი იქნება!...

გამოსვლა მეორე

(ისინივე და ჰაჯი-მასუდ)

შოლე

ჰაჯი-მასუდ! ერთი გვითხარი, რა მოხდა?

ჰაჯი

ვა! მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, რომ ვეზირის დაბეზღებული თემური ხანმა დაიბარა და ფარეშებს უბრძანა, რომ დაეღრჩოთ, მაგრამ იმან დამბაჩას გაიკრა ხელი, ფარეშები მიფანტ-მოფანტა და გავიდა სასახლი-

დან. ხანმა ორმოცდაათი ჩაფარი გამოუყენა, რომ დაიჭირონ და ხელ-ფეხ შეკრული მიჰგვაროს. დაფიცებულია, რომ უსიკვდილოთ არ გადაარჩინოს. (ნისა-ხანუმი შეიცოდებს და დაიკივლებს. ამ დროს კარს შემოაღებს თემურ-აღაც).

შოლე

ვაი, ვერა ხედავთ?! ღმერთო ჩემო, როგორ გაბედე აქ შემოსვლა? ლომის გული ხომ არ ჩაგიყლაპავს? ნუ თუ არ გეშინია და შენს სიცოცხლეს არად აგდებ?

თემურ-ადა (ღიმილით)

რა ვქნა, რისა უნდა შეშინოდეს?

შოლე

როგორ თუ რისა? ხანს შენი მოკვლა უნდა და მისი ბრძანებით ყველგან დაგეძებენ და შენ კი ისე მოდიხარ აქ, ვითომც არაფერი ამბავიაო!... თითქოს ბუზის აფრენასაც არავინ გპირდებოდეს!... ჰაჯი-მასუდ! გადი ერთი, დაათვალიერე, აქ არავინ მოდიოდეს. (ჰაჯი-მასუდი მიდ-ს)

ოემურ

შენ გგონია, რომ სიკვდილის შიში ხელს ამაღებინებს ნისა-ხანუმის ნახვაზე, გინდ ერთი დღით? ვერა!... ჩემი სიცოცხლე მთლად იმას ეკუთვნის და მასთანაც არც უსაქმურათ მოვსულვარ: ამაღამვე მინდა, რომ მოვიტაცო ნისა-ხანუმი და მოვაშორო ამ ქალაქს. აქ მაგის დატოვება აღარ შეიძლება. შენი ქმარიც ურიგოთ მექცევა!...

შოლე

ვიცი და მეც თანახმა ვარ მაგისი, მაგრამ შენ მაინც არ უნდა მოსულიყავ. განა არ იცი, რომ ზიბა-ხანუმს მზვერავები ჰყავს აქეთ-იქით დაყენებული, რომ როგორმე შენ მოგკლან და მეც სახელი გამიტეხონ?

გირჩევ, რომ ახლავე წახვიდე აქედან და ღამე-კი ცხენებით უცბათ მოგვადგე კარზე. მაშინ ჩვენც მზათ ვიქნებით და გადმოგცემთ ნისა-ხანუმს.

თემურ

ნისა-ხანუმ! შენ რალას იტყვი? თანახმა ხარ?

ნისა

მეტი რა გზაა?

ჭაჯი (შემოჰყობს კარებში თავს)

ვაი, დავიღუპეთ, ვეზირი მობრძანდება!...

შოლე და ნისა (გააფთრდებიან)

აჰა, ღმერთო!... ვაი დედასა!... თემურ-აღა, ღვთის გულისათვის დაიმალე!... ფარდას ამოეფარე... სანამ ჩვენც მოვიგონებთ რასმე, რომ ან ის მტარვალი გავიტყუოთ როგორმე აქედან და ან შენ გაგაპაროთ...

თემურ

არაფრის გულისათვის არ დავიმალები! მოვიდეს და შნახოს.

შოლე და ნისა

(დაიჩოქებენ მის წინ, მუხლზე უხვევიან და ეხვეწებიან)

ღვთის გულისათვის, თავს ნუ იფუჭებ! თუ შენი დედ-მამის საფლავი გრწამს, მოეფარე ფარდას!

ჭაჯი-მასუდ (კიდევ შემოჰყობს თავს კარებში)

ახა, ღმერთო! რას შვრებით, ბატონი მოდის, მოახლოვდა!

შოლე და ნისა

შენი ჭირიც წაგვილია, მაგრამ ჩვენ რალათ გვიმეტებ, ახლაც რომ კიდევ აქ გნახოს, ხომ დავიღუპებით!...

თემურ

რა გაეწყობა!... თქვენი გულისათვის ყველაფერი უნდა ვიკისრო. (იმალება ფარდას უკან. ვეზირიც შემოდის).

ვეზირი

კარგია, რომ ორივეს ერთადა გხედავთ... ერთ ძალიან დიდ საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ. გამიგონე, შოლე-ხანუმ! შენს დას რომ ხანი შეირთავს, ხომ იცი მერე, თუ რა პატივი და დიდება მოგენიჭება და როგორ ამაღლდები სხვა ქალებზე? შენც უნდა შენი პატივი შეიგნო და ისე დაიჭირო თავი, რომ არავის ათქმევინო: ხანის ცოლის და ვიღაც ვიღაც ვინგინდარა გარეშე კაცებს იცნობსო.

შოლე (გულ გრილათ)

მიბრძანეთ ერთი, ვინ უცხოებს ვიცნობ?

ვეზირი

აი, თუ გინდა,- თემურ-აღას, შენ ოთახში რომ მოვასწარი.

შოლე

ნუ დაივიწყებ, რომ შენ ცოლთან ერთად, ფარდას უკან!...

ვეზირი

ეგ მართალია! შენზე ეჭვი არა მაქვს!... შეიძლება, რომ მართლა ზიბა-ხანუმიც იყოს დამნაშავე, მაგრამ შენ კი მაინც შენდა თავათ ფრთხილათ უნდა იყო, რომ არავინ აალაპარაკო, თორემ, ხომ იცი, ხანი, რომელიც დღეს ნისა-ხანუმისათვის გაგიჟებულია, ადვილათ აიყრის გულს შენს დაზედაც. ჯერ-კი გატაცებულია და კიდეც დამავალა, რომ ქორწილი დავაჩქაროთო. ამ ერთ კვი-

რაში უნდა გათავდეს და საცოლეს ბეჭედიც გამოუგზავნა. აჰა, ნისა-ხანუმ! წამოიცვი თითზე. (ხელში უდებს ბეჭედს).

ნისა-ხანუმ

ნაძრახი დის პატრონი ხანის ცოლობის ღირსი არ არის! სხვა მოუძებნე ხანს, უფრო შესაფერი და ბეჭედიც იმას გადაეცი... (დააგდებს ბეჭედს და მიდის).

ვეზირი (მიაძახებს)

ქალო, განა მე ეჭვიანობა მალაპარაკებს? ვერ გაგიგია ჩემი სიტყვა! მე მხოლოთ დარიგებას ვაძლევდი ცოლს.

შოლე

ეგ დარიგება შენი ცოლი ზიბა-ხანუმისათვის შეინახე!

ვეზირი

ეგ ხომ ეგრე იქნება... იმას ხვალ მოველაპარაკები.

შოლე

ხვალ რაღა არის? წადი ეხლავე და მოელაპარაკე!

ვეზირი

რა საჩქაროა? მის მოტრფიალე თემურ-აღას სასჯელი გადაუწყვიტეს. თუ ჩაიგდეს ხელში, მოჰკვლენ ტ თუ არა, უნდა აქედან დაიკარგოს, ამაზე ლაპარაკიც აღარ ღირს, გათავებული საქმეა. უკეთესია, რომ ჩვენ ახლა ქორწილის სამზადისს შევუდგეთ.

შოლე

ეგ ჩემი საქმე არ არის! წადი დედი შენის ოთახში და იქ ელაპარაკე.

ვეზირი

არა, შენ წადი და აქ მოიმგვარე. მაგრამ, აი თვითონაც მობძანდება. (შემოდიან ფერი-ხანუმ და ნისა-ხანუმ). ოოო! დედი, სწორეთ დროზე შემოხვედი... დაბძანდი.

ფერი-ხანუმ

ჰა, ვეზირო, შენი ჭირი კი შემეყაროს, ეს მესამე დღეა დაგეძებ და ხელში ვერ ჩამიგდიხარ, რომ მოგელაპარაკო.

ვეზარი

დაბძანდი, დაბძანდი! რა ამბავია?

ფერი-ხანუმ

უი, შენ კი გენაცვალე, რაღა დროს დაჯდომაა!... რომ დავჯდე, სადა გცალია დიდ ხანს სამუსაიფოთ, ათასი საქმე გაქვს!... ხელათ გეტყვი ტ გავათავებ, არ მოგაცდენ.

ვეზარი

მართლა, დედი, ერთი წამი მოცალება არ მქონია ამ დღეებში!.. აბა რა გინდოდა, გეთაყვა?

ფერი-ხანუმ

სულ უბრალო რამ, შენი ჭირი შემეყაროს! ყურბანა მკითხავთან ვიყავი, შენთვის შევალოცვინე და ლოცვა, დაწერილი, თან წამოვიღე, რომ ღმერთმა ამ შოლეხანუმის ხელში ერთი კარგი ვაჟი მოგცეს. თუ ბეჯითად გინდათ, რომ შელოცვამ გაჭრას, თქვენი მხრით ხელი შეუწყვეთო: ღარიბებს პური დაურიგეთ ვეზირის შვილი თავის წონაკ. ახლა საჭიროა შევიტყო მხოლოთ შენი თავის სიმძიმე, შვილო, და ნუღა დავაგვიანებთ მაგ საქმეს, გადასადები არ არის!

ვეზირი

დედი, რა ახირებული ხარ!... თავი ჯერ ისევ კისერზე მაბია, შენ-კი წონა გინდა გაიგო?

ფერა-ხანუმ

ადვილია, შენი ჭირიმე! მკითხავმა მასწავლა: თავზე ერთი ჭურჭელი რამ ჩამოაცვი ისე, რომ ყელამდე დაფაროს, მერე ის კასრი აავსეთ პურით და ის იქნება მისი თავის ერთი წონაო..

ნისა-ხანუმ, წადი, შვილო, მომიტანე კასრი და ქილა! (ნისა ხანუმი გარბის და შემოაქვს საყველე კასრი).

ვეზირი

ეგრე იყოს, დედა!... ნეტავი-კი ღმერთი იმედს აუსრულებდეს ჩემ შოლე-ხანუმს და რაც გინდა, მიყავით.

ფერა-ხანუმ (ქუდს მოხდის ვეზირს და ნისას უბრძანებს:)

აბა, შვილო, ჩამოაცვი თავზე! (ნისა აცვამს, მაგრამ მარტო წარბებამდე ჩამოდის. ნისა ძალას ატანს და ვეზირი ყვირის)

ვეზირი

ეი! ეი! რას მიშვრები!... ცხვირი მომტეხეთ... (მოავლებს ორივე ხელებს და ძირს დააგდებს ქილას).

ფერა-ხანუმ (ნისას)

უფრო დიდი მონახე, შვილო! (ნისას შემოაქვს უფრო მოზდილი).

ვეზირი

არ შეიძლება!... დედი, ეგ საქმე სამერმისოთ გადავდვათ და ჯერ უფრო საჭირო საქმეზე ვილაპარაკოთ.

ფერა-ხანუმ (წუწუნებს)

ნუ! ნუ! შვილო! ერთი წამის საქმეა, რაღა გადასადებია? ჩვენ შენი გულისათვის ჩავდივართ ამ საქმეს და შენ-კი უარზე დგეხარ! ღმერთმა ნუ მომკლას ისე, რომ შოლე-ხანუმის ხელში შვილის-შვილი არა ვნახო!...

ჩამოაცვი, შვილო, თავზე. (ჩამოაცმევენ მხრებამდი დიდ კასრს. ფერი-ხანუმი ანიშნებს შოლე-ხანუმს, ისიც ახდის ფარდას და თემურ-აღა ჩუმათ გავა სახლიდან).

ვეზირი

მორჩა? გათავდა? აბა, ახლა მაინც შევუდგეთ საქმეს, მოვილაპარაკოთ... დაბძანდი, დედი!

ფერი-ხანუმ

დიალ, შვილო! (ჯდება. გარეთ ალიაქოთი ატყდება: შეშოიჭრება სახლში თემურ-აღა ხელში დამბაჩით. ვეზირი რომ დაინახავს, აცახცახდება).

თემურ

შე უმადურო და გაუტანელო! მაგრე მიხდი მამი ჩემის სიკეთეს, რომ სასიკვდილოთ დამდევენ?! მაშ ჯერ შენ უნდა გაგისტუმრო საიქიოს წინ-და-წინ! (მიაშვერს დამბაჩას. შოლე ფეხებზე მოეხვევა).

შოლე-ხანუმ

ღვთის გულისათვის შეიბრალე, ნუ მოჰკლავ! გეყედრები... (თემური ხელს ჩამოუშვებს. კარებზე მოადგება სამადბეგ ჩაფრებით).

თემურ (თამამად).

სამად-ბეგ! რისთვის მოსულხარ?

სამად-ბეგ

აღა!... ჩვენ ყველა მამი თქვენის ნამსახური გახლავართ და როგორ გაგიბედავთ, რომ ცუდი რამ გაკეთოთ, მაგრამ რა ვქნა, რომ ხანი გვიბრძანებს, მომგვანეთო!...

თემურ

ცოცხალი არ დაგნებდებით! თავი კი შეგიძლიათ მოუტანოთ, მაგრამ ძვირათ კი დაგიჯდებათ!... აბა სინჯეთ ხეხის გადმოდგმა!... (მიაშვერს დამბაჩას).

სამად-ბეგ

აღა, აბა რას აპირობთ?! ამ დამბაჩით ერთის მეტს ხომ ვერ მოჰკლავთ და ორმოც და ერთი კიდევ სხვა დარჩება, ყველას ხომ ვერ გასწყვეტ? მაგას ნუ ნებულობთ, მით უფრო, რომ ხანმა სიტყვა მოგვცა, არ დავსჯიო.

თემურ

არა მჯერა! როდის იყო, რომ ხანი თავის სიტყვას ასრულებდა? მე მაინც ჩემსას ვერ მოვიშლი. (ამ დროს კიდევ ატყდება ხმაურობა გარეთ: სახლში შემოცვივდებიან სელიმ-ბეკი, ეგმეკ-აღასი და რიზაი—თემურის ძიძის შვილი)

სელიმ-ბეგ

შეჩერდი, სამად-ბეგ! გაუმარჯოს თემურ-აღას! ბიძა თქვენი გადაიცვალა!... დღეს ერთად დავდიოდით ნავით ზღვაში, უცბათ ნავი გადაბრუნდა ⸗ ისიც ზღვამ ჩაჰყლაპა. ახლა ხალხი სასახლეს მოატყდა და თხოულობს, რომ თქვენ აბძანდეთ ბიძა თქვენის ტახტზე! წამობძანდით სასახლეში.

თემურ

მართალს ამბობ, რიზა?!

რიზა

თქვენი ჭირი წამიღია, ტყუილს როგორ გაგიბედავთ!..

ვეზირი და სამად-ბეგი (დაიჩოქებენ)

აღა! ნუ შეგვრისხავთ, შეგვიბრალეთ!...

თემურ

სამად-ბეგ! შენ ადექი და კარში გადი (მიდის). ახლა კი შემიძლია გამოგიტყდე (ვეზირს), თუ რათ მოვდიოდი შენს სახლში: ნისა-ხანუმი მიყვარს და შერთვა მინდოდა, მაგრამ შენ შენი ანგარიშები გქონდა, რომ ხანისთვის მიგეცა. ჩემი სურვილი უნდა დამეფარა და შენ-კი ცუდი ეჭვები აიღე ჩემზე. ღმერთი სამართლიანია: რაც უფრო მდევნიდი და მახეს მიგებდი, ისე ისიც უფრო ძლიერათ მფარავდა და აი, ხომ ხედავ, ახლა როგორ ამამაღლა? ახლა რაღას უნდა მოელოდე ჩემგან სამაგიეროს? როგორ უნდა გადაგიხადო? მიპატივებია ყველაფერი! შენი ხასიათის კაცი ვეზირათ ვერ გამოდგება, მაგრამ ხარჯი და პატივი კი ყოველთვის ვეზირისა გექნება ჩემ ხელში. ახლა შეუდექი ქორწილის მზადებას, ამ ერთ კვირაზე უნდა დავქორწინდე ნისა-ხანუმზე. ჯერ კი მშვიდობით, დედი, ფარი-ხანუმ და შენც, ჩემო დაო, შოლე-ხანუმ... მიმელიან.

ფერა-ხანუმ და შოლე-ხანუმ

ღმერთმა ნუ მოგიშალოს ბედნიერება, აღა! (თემურ გადის, სხვები მისდევენ. ვეზირი გაშტერებულია. გარეთ ხმაურობაა:) გაუმარჯოს თემურ-ხანს!...

ფ ა რ დ ა

1898, N VII

პროფესორი მარრის საპასუხოთ.

თურქები რომ კოსტანტინეპოლს შემოადგენ და ვიზანტიას ამხობდენ, იმ დროს ბერძნების სწავლულ-მეცნიერები, ორ სხვა და სხვა გუნდათ დაყოფილი, დოგმატიური ბაასით იყვენ გატაცებული და ერთმანეთს აკვდებოდენ. აგრეკვე, რომაელებმა რომ სირაკუზი აიღეს და იმ დროის გამოჩენილ მეცნიერ მათემატიკოსს არქიმედესაც სახლში შეეჭრენ, ის, ფანატიკოს-მეცნიერი, იატაკზე იყო გაშხლართული, წინ სილა ეყარა, ზედ რაღაც სამეცნიერო ფიგურები გამოჰყავდა და მტრებს არხეინათ ეუბნებოდა: „ხაზი არ შემიშალოთო!“ არც მისი სამშობლოს აოხრება და არც თვით მისივე სიკვდილი იმ დროს ფიქრადაც არ მოსვლია! ამ გვარი ახირებულობა საზოგადოთ სჭირთ მეცნიერებს. ხშირათ რომელიმე მეცნიერი არხეოლოგ-ისტორიკოსი, სადმე მიყრუებულ ოთახში ჩამჯდარი, სადაც ძველი ტყავების გასინჯვის დროს მტვერსა ჰყლაპავს და ობობას ქსლებში ეხვევა, მთელი დღე იმას იკვლევს, თუ როდის დაიბადა ესა და ეს ისტორიული პირიო? ან და მაშინ ღამე იყო თუ დღე? და თუ ღამე იყო, მთვარიანი თუ უმთვაროო? და იმავე დროს ის კი აღარ იცის, გარეთ დღეა თუ ღამე, დარია თუ ავდარი? ამ გვარი რამ შეჰყრია ჩვენს ახალგაზდა მეცნიერს, სომხური ენის პროფესორს—ბ-ნ მარრსაც და ამიტომაც გამოსულა სომხებსა და ქართველებს შუა დღევანდელ მსაჯულათ,

ანუ, უფრო ნამდვილი რომ ვთქვათ, მოსარჩლეთ. დიდათ გულ დაწყვეტილი და უფრო მეტათ მრისხანე, მთელი მისი, როგორც სამეცნიერო, ისე საადვოკატო ბარგით მოგვადგა კარზე მოულოდნელათ და მასთანაც კიდევ უცხო გზით! რასაკვირველია, მის სამეცნიერო ბარგხანას უყურადღებოთ არ დავაგდებთ შემდეგში და ახლა კი ხელთ მარტო საადვოკატოს მივმართავთ. მიზეზი მისი აშფოთებისა და ამხედრების ჩვენს „კრებულში“ სომხების საპასუხოთ დაბეჭდილი სტატია გამოდგა. უკვირს და გვისაყვედურებს მის ავტორობას! ცდილობს იქ აღნიშნული საბუთების დარღვევას და ჭეშმარიტების აღდგენას. კეთილი და პატიოსანი. ამას რაღა ეჯობინება, მაგრამ, ვაი, რომ მის საბუთს, გარდა სურვილისა, სარჩულათ არა უდევს რა! მხოლოთ ცარიელი საპირეა, ნაძალადევათ გადაჭიმული და ვერ რას გვიმტკიცებს, რომ დაგვითანხმოს! ჩვენი სტატიის დედა აზრი იყო—დაგვემტკიცებია, რომ სომხები იქ ეძებენ, სადაც არა დაჰკარგვიათ რა; ის უნდათ დაისაკუთრონ, რაც მათ არასოდეს არა ჰქონიათ! ეს არც ახალი მოვლენაა მათი მხრით. ძველათაც, იმ თავითვე ასე ჩადიოდენ: აუკუღმართებდენ თვით ისტორიასაც კი, ასე რომ მათი ისტორიული წყაროები ქართველებისა და საქართველოს შესახებ სარწმუნო არ არიან. ამ აზრის დასამტკიცებლათ სამაგალითოდ, სხვათა შორის, ის ფაქტიც მოვიტანეთ, რომ მათმა ისტორიამ ქართველთა მეფე—ტაოსელი დავით კურატ-პალატი, ზემო ქართლის მპყრობელი, მიისაკუთრა და, როგორც თვით ის, ისე მისი სამფლობელოც სასომხეთოდ აღიარა. დღესეც კიდევ მთლად საქართველო სასომხეთოთ აქვთ ნაჩვენები და ცდილობენ ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ქართველობის ნიშან-

წყალი მოსპონ, ქართული კვალიც კი მოშალონ და ზედ თვისი დასდვან წინააღმდეგ ყოველ-გვარი სიმართლისა!... და ამიტომაც ჩვენი მხრით მათდამი ძმობა-სიყვარულს ყურადღებასაც არ აქცევენ და მათი მტრობა და გაუტანლობა ჩვენდამი ძველი დროიდანვე მომდინარეობს. ამას ვამტკიცებდით ჩვენ. ეს სწყენია ბ-ნ მარრის და ცდილობს ეს აზრი დაარღვიოს და რწმენა გაგვიქარწყლოს. ვნახოთ! რაც შეეხება მის პირად გრძნობას და უსაბუთო მსჯელობას ან სომხებისა და ან ქართველების შესახებ იმას ჩვენ დიდ ყურადღებას არ მივაქცევთ. ნათქვამია: „კაცია და გუნებაო“. მაგრამ იმ საბუთებს-კი, რომლებსაც ის ეპოტინება, ავწონ-გვზომავთ და შევუმოწმებთ.

1) „უძველეს დროიდანვე სომხებს დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველებზე და საღმრთო წერილიც ქართველებმა სომხებისაგან მიიღესო, დაბადებაც მათგან უთარგმნიათ და მწერლობაც მათი მოწაფეებსაო“ და სხვანი—ბრძანებს ბ-ნი ბარრი. ნათქვამია: „ურია, ღმერთს ნუ ფიცულობ და არა ღმერთმანიო“—ამისი არ იყოს, ჩვენ უარსა ვჰყოფთ სომხურ წყაროებს და ის კიდევ მაინც იქითკენ გვითითებს! მაგრამ ჩვენი მწერლობის შესახებ უცხოელების მოწმობა რა საჭიროა? ჩვენ თვითონ უკეთ არ უნდა ვიცოდეთ?

ჩვენა გვაქვს: ერთი ათონის დაბადება, მთაწმიდელების ნათარგმნი, და მეორეც ვახტანგისაგან სლოვიანურთან შესწორებული. ამათ გარდა გვქონია კიდევ ნაწყვეტ-ნაწყვეტები დაბადებისა, სარიულიდან ნათარგმნი, მაგრამ განა სარიელები სომხები იყვენ? თუ უფალი მარრიც ერთად დღევანდელ სომხის პატრიოტებთან იმ აზრზე დგას, რომ, რადგანაც აისორები ანუ კრუე-

ბი დღეს გრიგორიანელები არიან, გვარ-ტომობითაც სომხებად უნდა ჩაითვალონო და არა თუ დღეს, ძველათაც-კი, ე. ი. მაშინაც-კი, როდესაც სულ სხვა სჯული სჭერიათო—კარგი ვაჭრობაა!... ვინ არ იცის, რომ ჩვენი სასულიერო ლიტერატურა მდიდარია და ორიგინალს გარდა, რაცა გვაქვს ნათარგმნი, ის სულ ბერძულიდან გვაქვს და რამოდენიმეც ლსოვიანურიდან, ანტონ ქათალიკოსის მეოხებით. სომხურიდან-კი არა მოგვეძევება რა, გარდა ერთი „მხიტარის რიტორებისა", რომლის არსებობა არც-კი იციან ჩვენში. აბა ერთი გვიჩვენოს ბ-ნმა მარრმა, რა წიგნები გვითარგმნია სომხურიდან? სანამ ამას არ აასრულებს, ჩვენც სრული უფლება გვექნება ვთქვათ, რომ ბ-ნ მარრს სომხურ ენასა და ისტორიასთან ერთად მათი ხასიათიც შეუთვისებია, ე. ი. სხვისას შეუპოვრათ, უსაბუთოდ ისაკუთრებს და ჩვენიაო—ბრძანებს.

2) სომხებისაგან ჩვენი სიძულილის საბუთად მოვიტანეთ ჩვენ ჩვენს სტატიაში „დვინის კრების განჩინება 596 წ., რომლითაც სომხებს ეკრძალებოდათ ყოველ გვარი დამოკიდებულობა ქართველებთან, გარდა მტრულისა, და თანვე ურჩევდა: ისე მოპყრობოდენ ქართველებს სომხები, როგორც ურიებს. ეი თვით ის ტექსტი, სომხის ისტორიკოსის კალანკატავაცის ისტორიაში მოხსენებული მეცხრე საუკუნის გასულს: „ქართველებზე ჩვენ ვბძანეთ—ამბობს სომხის კათალიკოსი აბრაამი,—რომ სომხებმა ამას შემდეგ არ იქონიონ იმათთან არავითარი კავშირი არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში; არ გაბედონ მგზავრობა სალოცავად, როგორათაც სახელ-განთქმული მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა; არ მისცენ მათ ნება

სიარულისა ჩვენს ეკკლესიებშიც ერიდნენ იმათთან დამოკიდებულობას ცოდ ქრმობისას. ნება ეძლევათ მხოლოთ ადებ-მიტემობისა იმათთან, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბრძანებას უარჰყოფს, წეეულიმცა არს იგი სულით და ხორცით და ყოველის ცხოვრებით". აბ, ამ ცხადი საბუთის დასარღვევათ ამბობს ბატონი მარრი, რომ ეს განჩინება-კი არ იყო კრებისო, აბრაამ პატრიარქის საერო ეპისტოლე იყოო. მერე და ეს კიდევ უარესი არ არის? განჩინება შეიძლებოდა სისრულეში არ მოეყვანათ როგორმე და პატრიარქის ეპისტოლე მთელი ერისადმი კი სავალდებულო გამხდარა. ეს კარგათ ესმის ბ-ნ მარრსაც და, მეტს რომ ველარას ახერხებს, მერე ის ახირებული დასკვნა გამოჰყავს, რომ „მაშინდელი სომხობა როდი მიაქცევდა ყურადღებას მაგას და ეგ ფაქტი უმნიშვნელოთ დარჩებოდაო." რა-თაო ნეტავ? თუ იმ პირველ საუკუნოებში, როდესაც სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა უმაღლეს წერტილამდე იყო მიწეული, არ მაქცევდენ ყურადღებას კრების განაჩენს და არც თავის პატრიარქს დაუჯერებდენ, მაშ როდისღა?! ეს განა წარმოსადგენია და დასაჯერებელი?! ამას საბუთი ეჭირვება და, სხვა რომ ველარა უშოვნია რა, ბ-ნ თ. ჟორდანიას ეჭიდება: „ადბათ ბაქრაძის წიგნიდან იცის აკაკიმ ეს ამბავი და ჟორდანიას ქრონიკები არ წაუკითხავს, სადაც ის ამოწმებს, რომ ამ განჩინებას და ეპისტოლეს მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდესო". თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც თვით მარრის, ისე თ. ჟორდანიას „მგონიაობა" საბუთი არ არის, მაგრამ მაინც ვნახოთ რას წერს, მოწმედ მოყვანილი ბ-ნი ჟორდანია. „მართალია, დვინის კრებაზე 596 წ. დადგენილი იყო: ყოველი კავშირი მოისპოს ქართველებთან, გარდა ადებ-მიტემობის კავშირისა, მაგრამ ამ განჩინებისათვის ურადღება

ალბათ არავის მიუქცევია, რომ ამაზედ არსენი არას ამბობს.“ აი, რას ჰფიქრობს დღეს ბ. ჟორდანია, მაგრამ ამ გვარი უსაფუძვლო მოსაზრება, თვით მარრის მოსაზრებისა არ იყოს, საკმაო საბუთია? მართალია, არსენი არც, „ჰოს“ ამბობს ამის შესახებ და არც „არას“, მაგრამ განა უთუოდ უნდა ეთქვა? რამდენიც ვიცით, არც ბ-ნ მარრს და არც ბ-ნ ჟორდანიას არ უთქვამთ რა ზეციერი მთიების შესახებ. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ერთმა ვინმე ახირებულმა მეცნიერმა რომ დაიჯინოს: მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს არც მზე ყოფილა, არც მთვარე და არც ვარსკვლავებიო და საბუთად ის მოიტანოს, რომ მარრისა და ჟორდანიას არ უთქვათ რაო— ეს მისი მოსაზრება შესაწყნარებელი იქნება?! ასეა სწორეთ ამ ზემოხსენებული არსენის საქმეც. „ეს განჩინება დღეს ისე მივიწყებული და მიმალულია, რომ თუ არ ბიბლიოგრაფებმა, სხვამ ალარავინ იცისო“—დასმატებს ბ-ნი მარრი თავის მხრით. შეიძლება, რომ იქ, სადაც ქართველები არ არიან, სადმე სასომხეთოში ეს განჩინება, როგორც გამოუსადეგარი რამ, ალარავის ახსოვდეს და ან კი რათ უნდა ახსოვდეს? მაგრამ ერთი აქაც მოიკითხოს, საქართველოში, ბ-ნმა მარრმა: იცის თუ არა ეს საბუთი აქაურმა სომხის სამღვდელოებამ და მრევლის დამწყვსის დროს ხელ-მძღვანელობს მითი თუ არა? დიდი პატივის მცემელი ვართ ბ-ნი მარრის, მაგრამ დაჯერებით-კი უფრო ჩვენს თვალსა და ყურს ვუჯერით, ვიდრე მარრის და ჟორდანიას „მგონიაობას“, მით უმეტეს, რომ ჩვენ დღევანდელ დღესთან გვაქვს საქმე და არა გადასულ საუკუნოებთან, რომელთაც სხვათა შორის ვიხსენიებთ. ბ-ნი მარრი თვითონაც ჰგრძნობს მის მიერ მოყვანილ ფაქტების სისუსტეს და, რომ ველარ არღვევს ჩვენგან

მოყვანილ ფაქტს, მერე კიდევ სხვა გზას ადგება: „მართალია, რომ განჩინება დვინის კრებისაა და აბრაამ პატრიარქის ეპისტოლეც იყოო, მაგრამ მაგ გვარი რამ განა ქართველებს-კი არ ჩაუდენიათო?“ და უთითებს ერთ მისთანა რამეზე, რომლის გამოთქმაც ვითომ კიდეც ეძნელება და ერცხვინება! რომ მკითხველს მართლა უცნაური არა ეგონოს-რა, იმას, რასაც მეცნიერის უმანკოება ვერ იმეორებს, ჩვენი პოეტური თავხედობა გამოააშკარავებს. აი, რა იყო, ის საიდუმლო: ერთი ზღაპრული ლეგენდაა, რომელიც გაკვრით ისტორიასაც მოუხსენებია, მაგრამ სახალხოთ-კი ბევრს არც კი გაუგონია, რომ ერთხელ ქართველებისა და სომხების სამღვდელოებას ბაასი ჰქონდათ: ვისი სარწმუნოება უკეთესიაო — სომხების თუ ქართველებისო? რომ ველარ მოერიგდენ, მიიყვანეს მშიერი ძაღლი და მის წინ დადვეს ორი სებისკვერი: ერთი ქართველების და მეორე სომხების. ძაღლმა ვერ მიბედა ქართველებისას და სომხებისკი ჩასანსლაო, აი ეს გახლავთ ის უცნაური ამბავი, რომელსაც ბ-ნი მარრი იგონებს. მაგრამ აქ რა არის საერთო ამ ზღაპრულ ოხუნჯობისა და ისტორიული ფაქტების შორის? სად ლეგენდა, რომელიც ბევრს არც კი გაუგონია და სად მთელი კრების განჩინება და პატრიარქის ეპისტოლე? აბა გვიჩვენოს ერთი რამ მისთანა ბ-ნმა მარრმა, რომ ან ქართველ ერს, ან მის საასულიერო წოდებას სადმე დაედგინოს სომხების სამტრო რამ? პირ-იქით უტყუარი და სარწმუნო ისტორიული ფაქტები ამტკიცებენ, რომ ქართველებს მათი სარწმუნოებისა და ეროვნობის დასაცველათ ბევრჯელ გარეთ სისხლი დაუთხევიათ და შიგნით-კი მზა-მზარეულათ თავის

საკუთარი ტაძრები და სამლოცველოები დაუთმია სომხებისათვის. ნუ თუ ესეები-კი ავიწყდება ბ-ნ მარრს?

3) „ცამეტი წელიწადია, რაც მე სომხურს ვკითხულობ, ათიც შესრულდა, რაც მეცნიერულათ ვიკვლევ და ჯერ არსად შევხვედრივარ, რომ სომხების მწერლებს უარ ეყოს და სიმართლით არ მოუხსენებიან ქართველებიო“ — ამბობს ბ-ნი მარრი. მართლა, ხან-და-ხან ზოგიერთი სომხის მწერლებიც იძულებული არიან ხოლმე, რომ ქართველები სიმართლით მოიხსენიონ, მაგრამ მათი უმეტესობა-კი განძრახ ამახიანჯებს ყოველიფერს ქართველების შესახებ და, თუ კი მოახერხა, უარსაცა ჰყოფს. საკვირველია, ამდენი ხნის განმავლობაში, რათ სულ იმ მცირე მოკეთეებსა ხვდება ბ-ნი მარრი და იმ მეორე უმეტესობის გუნდისას-კი ვერავის?! მართალია, დიდი სურვილი აქვს ხელი დააფაროს, მაგრამ თვითონაც გრძნობს ამის მოუხერხებლობას და, ზემო მოყვანილ ფაქტებისა არ იყოს, ჯერ სულ უარზე დგება, „არაო“ — იძახის, მერე რბილათ „ჰოზედაც“ გადადის და ამბობს: „მართალია ხან-და-ხან სომხის მწერლები ისე არა სწერენ, როგორც ქართველებიო: სიდებავს ასქელებენ და ფერს უცვლიანო (ე. ი. შავათ), მაგრამ იმათ მეტი არ მოეთხოვებათ და ეს კრიტიკამ უნდა გაარჩიოსო“. ჰო და, ჩვენც ამას მოგახსენებთ, რომ ხშირათ საღებავს ასქელებენ, ფერსაც უცვლიან და სხვანი. მაშ ვიღას ეს ესარჩლება და რაღაზე ბ-ნი მარრი?!

ენის შესახებაც, რომ ვითომც ენა იმათ მოეცეს ჩვენთვის, არსად არა თქმულა რაო, — ამტკიცებს მარრი. მხოლოთ ერთი სომხური წყარო (რაც ქართულიდან ნათარგმნია) კი ამბობს, რომ ადრე ქართველების ენაც სომხური იყოო. კიდეც ეგ გახლავთ დამახინ-

ჯება. ქართულ დედანში სწერია: „ეოვვლთვის ქართულად ლაპარაკობდენო“ და სომეხს კი გადუკეთებია: „სომხურადო“ და მარრსაც სჯერა!

4) ყველაზე უფრო ის აწუხებს ბ-ნ მარრს, რომ ჩვენ ჩვენს წერილებში მოწიწებით ვერ მოვიხსენიეთ მისი სასიქადულო მოძღვარი პროფესორი პატკანოვი და ვითომ ცილიც შევწამეთ. ბ-ნმა პატკანოვმა ერთ თავისს თხზულებაში გადაჭრით ბრძანა, რომ ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ და მე XVIII საუკუნეში, მეფე ვახტანგმა შეთხზა და ესეც სომხური ზღაპრიდან, რომელიც ერთმა უმეცარმა ბერმა დასწერა მეთერთმეტე საუკუნეშიო. ამაზე განსვენებულმა დ. ბაქრაძემ ღირსეული პასუხი მისცა და მიუთითა უეჭველ საფუძველზე თავის წიგნაკით: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“. ამ ნათელმა საქმემ დაგვანახვა ჩვენ, რომ პატკანოვს ან უმეცრებით მოსვლია ეს ცხადი და სათვალდათვალო შეცდომა და ან განგებ ჩაუდენია. ორ ცეცხლ შუა გამომწყვდეულმა პროფესორმა პატკანოვმა ჩაყლაპა დ. ბაქრაძის შენიშვნები და გაჩუმდა. მაგრამ მარრი კი არა დუმდება და მაინც კიდევ გაიძახის: არაო! არც ერთი და არც მეორეო! ის სხვებსავით პატრიოტულ მეთოდით არ სწერდაო, რადგანაც ის მხოლოთ სარწმუნოებით იყო სომეხი, თორემ რუსის მეცნიერი იყოო და მისმა გამოკვლევამ მაინც ნათელი მოჰფინა ისტორიასო და სხვანი. ერთი ის, რომ სიცრუე ვერაფერს მოჰფენს ნათელს და მეორე კიდევ ისიც, რომ გაგვიგია, რისთვის ბრძანებს ბ-ნი მარრი პატკანოვზე, რომ რუსის მეცნიერი იყოო? აგრეც რომ იყოს, განა რუსის მეცნიერები კი არ ცდებიან და მიუდგომელი არიან? პატკანოვმა სომხების სასიქა-

დულო ისტორიკოსი — მოსე ხორენელიც არ დაზოგა და ეჭვის თვალით შეხედაო — ამბობს მარრი. მართალია, მაგრამ ეს მაშინ ინება მხოლოთ, როდესაც სხვებმა, გარეშეებმა, მიუთითეს და სულ გადათქმა იმასაც აღარ შეეძლო. კაცი რომ მის დამნაშაობაზე იძულებით გამოტყდეს და სხვებისას კი უსამართლოთ აზვიადებდეს და ცილს სწამებდეს, განა ამას მიუდვომლობა ეთქმის? ბევრს ამისთანეებს ბრძანებს ბ-ნი მარრი, როგორც მოსარჩლე მისი მოძღვრის ბ-ნი პატკანოვის და, სხვა საბუთი რომ აღარა აქვს რა — ამბობს: „1858 წ. თვით ბაქრაძემაც აკი ეჭვი შემოიტანა ქართლის ცხოვრების სიძველის სინამდვილეზეო?“ ბაქრაძეს ეჭვი არასოდეს არ შემოუტანია. ის მხოლოთ ჩიოდა, რომ ისტორიული წყაროები დაკარგულა და საკმაო საბუთი ჩვენი ქართლის ცხოვრების სიძველისა ხელთ აღარა გვაქვსო. აი, რას ამბობდა, მაგრამ ეს მაშინ იყო, როდესაც განსვენებული დ. ბაქრაძე ახალგაზდა იყო და პირველათ გამოდიოდა სარბიელზე. შემდეგში-კი, როდესაც ნახა საბუთები და მათ-შორის მარიამ დედოფლის ვარიანტიცა, სულ წინააღმდეგს ამტკიცებდა. საკვირველია, რომ ბ-ნ მარრს ის 1858 წ. დაწერილი სტატია ახსოვს და სხვები, ახლები კი, არ სცოდნია!...

დასასრულ, როდესაც საკუთარი გრძნობა-მოფიქრებით გულს იჯერებს ბ-ნი პატკანოვის ქება-დიდებით და მასთან ერთად საზოგადოთ სომეხთა მეცნიერთ კეთილად მოხსენებით, ბ-ნი მარრი ამას კი ამბობს: „რაც რამ პატკანოვის შრომისა და ღვაწლის მნიშვნელობაზე ვთქვით, აქედან მკითხველი მაინცა და მაინც იმას-კი ნუ იგულისხმებს, რომ ვითომც ის, პატკანოვი, უცოდველი და შეუცდომელი ყოფილიყოს წვრილმანებშიო, რადგანაც ქართულში სპეცია-

ლისტი არ იყო, რასაკვირველია, რომ შეცდომებს თავიდან ვერ აიცდენდაო“ და სხვა. მაშ, ჩვენც ამის მეტი რალა დავაშავეთ, რომ გვირისხდება?! ახირებულია თქვენმა მზემ!... ჯერ ცივ უარზე დგას და მერე-კი „მართალია“ თვითონაც იმას გვიჩურჩულებს!...

5) „გრენს სიმხები რათ შეაცდენდენო და რათ დააწერიებდენ ქართველების გასაკიცხ რასმეო?“—ბრძანებს მარრი. სწორეთ იმავე მიზეზით და განძრახვით, რითაც კუტულსა და ხვოლსონს დააწერიეს, რომ ხბილისჩ ყოველთვის სასიმხეთოში ყოფილა და ქართველობა აქ არასოდეს არ ყოფილაო. სადაც ათასი სხვა არის, იქ რატომ ეს ერთიც არ იქნება შესაძლებელი?

6) „სიმხურ ჟურნალ-გაზეთებს არასოდეს არ უთქვამთ, რომ ქართველებს ენა არა აქვთ თავისი საკუთარი, რომ რთული აზრი გამოთქვანო“—ამტკიცებს ბ-ნი მარრი. „ფიცი მრწამს და ბოლო მაკვირვებსო“—ეს არის სწორეთ! იმ უტყუარ დღევანდელ საბუთებს, რომლებიც ჩვენ ხელში გვიჭირავს, განძრახ მხარს უქცევს და იძახის: „ეგ არასოდეს არ ეოფილაო!“ და ბოლოს-კი ჩვეულებრივათ თანხმდება და ამბობს: „იმას მხოლოთ უმეცრები სწერენ და მეცნიერები-კი არასოდესო.“ კი მაგრამ ჩვენ ამ უმეცრების მეტს ვერსად ვხედავთ სხვას და თუ ბ-ნმა მარრმა იცის, აბა გვიჩვენოს: ვინ არის და ვინ იყო ის მეცნიერი სომეხი, რომელიც ჩვენ სასარგებლოთ ამბობდა და ამბობს რასმე? დღესაც ეს უმეცრები სწერენ და რატომ ის მეცნიერები არ უმტყუნებენ მათ და წინააღმდეგს არა სწერენ?! რათ არ ურღვევენ იმ უმეცრებს, რომელთაც საზოგადოთ სომხობა საბუთად ხელზე აქვთ დაბ ხვეული? და ან თვითონ ბ-ნმა მარრმა რატომ არ ამოიღო ხმა მათ საწინააღმდეგოთ, მაშინ, როდესაც ჩვენ-

კი უბრალო თავის გამართლების ნებასაც არ გვაძლევს?! აქ რაღაც სხვა ამბავია!...

7) „ქართველებზე რომ გავლენა ჰქონდა სომხურს და სიტყვებიც სომხურიდან მიიღეს, ამას ქართველებიც აღიარებენო, მაგალითად, საბა-სულხან ორბელიანი და დ. ჩუბინოვიო“ — ამბობს ბ-ნი მარრი„ მაგრამ ცდება. საბა ამბობს, რომ, რადგანაც ჩვენი ძველი ლექსიკონი დაკარგული იყო და ქართული ენა გარყვნა სხვა-და-სხვა ხალხის ენებიდან შემოპარულმა სიტყვებმა, ამისათვის მე შევუდექი ქართული ლექსიკონის შედგენასო. აქ, ვგონებ, სომხების სასარგებლოთ არაა რა ნათქვამი. რაც შეეხება ჩუბინაშვილს, განსვენებულს ყოველი სიტყვა, რომელიც-კი ან „ლ“-ზე დაბოლოვდებოდა და ან „კ“-ზე ქართულში, — სომხური ეგონა. მაგალითად: „მგა“ ანუ „მკა“ ქართულია და ნიშნავს შემოსული პურის მოჭრას. „მამგალი“ ანუ „ნამგალი“ იმ იარაღს ნიშნავს, რითაც მკიან. ეს სიტყვა სომხებს ჩვენგან მიუთვისებიათ და „მანგალს“ ეძახიან. „ბოლოკი“ ქართულია, რადგანაც დიდი კუდი და ბოლო აქვს ამ მცენარეს. სომხებს მიუღიათ და „ბლოკს“ ეძახიან. „ბინა“ ნიშნავს სამუდამო ადგილს ⁄ „ბინაკი“ ანუ „ბანაკი“ კი კნინობითად — დროებითი სადგომს. სომხებიც „ბანაკს“ ეძახიან. ამ გვარი რამ ბევრია სომხურში და ქართული ვის რათ ჰგონია?! თუ მართლა იმ აზრის არის ბ-ნი მარრი, რომ ქართული სომხურ სიტყვებიდან არის შემდგარი, მაშინ აიღოს ლექსიკონი, მაგრამ ჩუბინოვის-კი არა, — ივანე ჭირჭელის, პეტრიწათ წოდებულის, რომელიც X საუკუნეში ცხოვრებდა, ამოწეროს სიტყვები და მაშინ დაინახავს, რა მიგვიღია ჩვენ სომხებისაგან, ან იმათ ჩვენგან და მაშინ გაიგებს, ვის როგორი გავლენა ჰქონია და რა

მხრით? მეზობელი ხალხი მეზობლისაგან იმას მიიღებს, რაც იმას აკლია თვითონ და ჩვენც, ისე, როგორც სხვებისაგან, სომხებისაგანაც გვაქვს მიღებული სიტყვები: „ძუნწი“, „მაჯანკალი“, „ავაზაკი“, „სასტიკი“ და სხვა, მაგრამ ამითი უპირატესობა არ მტკიცდება.

8) ჩვენ გვქონდა „კრებულის“ სტატიაში ნათქვამი, რომ „ქართული ენის სომხურზე ზეგ-გავლენას უცხო ქვეყნის მეცნიერები ბირ-იქით ამტკიცებენ და ამას ამოწმებს მეცნიერი ორიენტალისტი გატტერიასიც“. ამას ძალიან თამამათ უკიჟინებს ბ-ნი მარრი და ფიცავს: ეგ არ შეიძლებოდაო და არც გატტერიას უთქვამს არაფერიო. მაგრამ აი, რას ამბობს გატტერიასი: „ქართულის შესწავლით მე ვცან დიდი მნიშვნელობა ამ ენისა სომხური ენის გამოსაკვლევათ და ვიდრე სომხურ ენის გრამატიკას გამოვტემდი, შეგუდექი, თვით ედ. დიულორიეს რჩევით, ქართულის შესწავლას იმ განძრახვით, რომ გამომეკვლია: რა ეკუთვნის სომხურში ქართულ ენას? უამისოთ სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა მეცნიერულ საძირკველსა და მეთოდს.“

ამას შემდეგ დიდი გამბედაობაა ბ-ნი მარრის მხრით, უარზე დგომა და ჩვენი სიმართლის გატრიზავება, მით უფრო, რომ ჩვეულებრივათ, ისე, როგორც ზემოთაც ვნახეთ ამის მინუშები სხვა საკითხების შესახებ, თვითონვე თანხმდება და ამბობს: „ქართულის შესწავლამ ბევრი ვერა შემატა რა გატტერიასს და არ ვიცით, რათ ჭკონია, რომ ქართული საჭირო იყოს სომხურის შესასწავლადო. ეს საიდუმლო იმან საფლავში თან ჩაიტანაო“ და სხვა. შემდეგ კი აქვე თვითონვე ამბობს: „მე თვითონ უგატტერიასოთ, ჩემდა თავათ, მივედ იმ გამოკვლევამდე: რომ ქართული ენის გავლენა სომხურზე ეჭვს გარეშეაო“ და სხვა. დიდება შენს

სახელს, ღმერთო! აბა, ან ჩვენ რაღას გვერჩოდა და ან გატტერიასს?!...

9) „ეოგლად შეუძლებელია, რომ ძველ-ნანგრევებზე სომხები ქართულ ზედწარწერას ფხეკდენ და სამაგიეროთ სომხურს აწერდენო. იმათ ეს ჩვეულება არა აქვთო: მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე, რომ ალექსანდროპოლის მაზრის ერთ სომეხს ეპოვნა ქვის ჯვარი ქართული ზედწარწერით და შეენახაო.“ საკვირველი გაკერპება სწორეთ ამასა ჰქვიან!... ჩვენ აქ ჩვენი თვალით ვხედავთ და ის კი იქიდან გვარწმუნებს და რაღაც უაზრო საბუთზე გვითითებს, თვითქოს არ ესმოდეს ჩვენი ნაწერის აზრი ან მნიშვნელობა!... იქ, ალექსანდროპოლში, სულ სხვა არის და აქ, ჩვენში, კიდევ სულ სხვა. იქ, ვინც ის ჯვარი იპოვნა, რათ უნდა გადაეფხიკა ზედ წანაწერი ქართული, მაშინ, როდესაც კარგათ იცოდა, რომ ის ნივთი ღირებული რამე იყო და შეეძლო გაეყიდა? აქ კი, როდესაც ტაძრებზე და ციხეებზე ქართულ ნაწერებსა შლიან და ბაგრატის, დავითის, თამარის და გიორგის ნაცვლათ არშაკ-მარშაკებს აწერენ, ამით ისა ჰსურთ დაამტკიცონ, რომ აქ ადრეც სასომხეთო ყოფილა და იმათი გავლენა არ მოშლილაო. ნუ თუ ეს არ ესმის ბ-ნ პროფესორს და ჰგონია, ჩვენ მხოლოთ იმას ვამტკიცებდეთ, რომ სომხებს ისე სძულდეთ ქართული ნაწერები, რომ სადაც უნდა ნახონ, უმიზეზოთ მოშლიან?! არა, ეს კარგათ ესმის ბ-ნ მარრსაც და მიტომაც ბოდიშსა ჰხდის სომხობას: „ამას უმეტარი ნასწავლები შეურებიან და ხალხის რა ბრალიაო?“ საუცხოვოა თქვენმა მზემ!... როცა უმეცრები ჩვენ წინააღმდეგ ცუდს ჩადიან, მაშინ იძახის ბ-ნი მარრი: „ეგ რა მეცნიერების ბრალიაო?“ როცა მეცნიერები — „უმეტრებმა რა ქნანო?“ როცა ხალხი — „ინტელიგენციის ბრალი არა

ექვსო“ ბ როცა ინტელიგენცია — „ხალხს რა მოეთხოვებაო?“ ამ გვარი რამეებით არის გაჭედილი მისი სტატია და, სწორე მოგახსენოთ, თუ არ პირადი ჩვენი პატივის ცემა ბ. მარრისადმი, პასუხის ღირსათ არასოდეს არ გავხდიდით ამ აბლაკატურ მრავალ-მეტყველებას. ამიერიდან-კი ამ გვარ რამეებზე ჩვენგან პასუხს ნუ ელის და, თუ სამეცნიერო რამ გამოკვლევით, ისე, როგორც შეშვენის და ეკადრება მეცნიერს, რომელიმე სიმართლისა და ჭეშმარიტების დასამტკიცებლათ ინებებს მობრძანებას ჩვენს დაჩაგრულ უბანში, მაშინ კი დიდი სიყვარულითა და პატივის-ცემით მივეგებებით, რომ უპასუხოთ არ დავაგდოთ და მანამდის კი მშვიდობით!

სცენა საპატიმროში

(სცენა წარმოადგენს საპატიმროში ბნელსა და მეტათ მყრალ ოთახს, სადაც ტუსაღები სხედან იატაკზე და დაბალი ხმით „ჩაირამას“ მღერიან; ერთი სათვალავს ამბობს და სხვები ბანს აძლევენ).

„აქედან და ციმბირამდე
დიდი ბიჯი იქნება,
ვინც იმას გადმოაბიჯებს, —
მარჯვე ბიჭი იქნება!...

—

მაგრამ იქით წასულები
ადარვინ დაგვბრუნებია...
ეტყობა, რომ იმერეთი
უველას დაუწუნებია!...

—

ტუსაღს რომ მოიკითხავენ,
წაუკითხვენ დავთარსაო,
ეტუვიან: „სიცხე გახურვებს,
აქ? იქ ნახავ ზამთარსაო!

—

ცოტა დაუდგრომელი ხარ,
ჩქარი ხარ და ფეხ მალიო,
მაგრამ მაგაზე ნუ ფიქრობ, —
ვიცით მაგის წამალიო“.

—

რკინის საცმელს მოართმევენ,
რბილათ ფეხებში უერიან,
ზურგზე საგზალს მოჭიდებენ,
თავსაც მძიმეთ დაუხრიან.

—

მოახსენებენ: „გავწმინდეთ
ჩვენ ჩვენი ანგარიშიო!
ჩვენ შენი ხათრი ადარ გვაქვს,
და ნუღარც შენ გაქვს შიშიო!

—

სიცილით დაადექ გზასა!
რაღა გაქვს მოსაწყენიო?
ქვეითათ მისთვის გისტუმრებთ,
რომ არ დაღალო ცხენიო.

—

თოფიან ჯარსაც გაახლებთ,
სარდლობა დაგშვენდებაო!
გზაზე სად დაგიღამდება,
იქ არ გაგითენდებაო.

—

„ახლა გვიბოძე სალამი,
გამოგვეთხოვე უვლასო!
ნურც შენს მსაჯულებს დაწყევლი,
თორემ აუტეხ ხვლასო!

—

„გამოეთხოვე ტოლ-შვილსა,
გამოეთხოვე მოუვრებსო!
ესალმე ადვოკატებსაც,
თქვენსა ვერაფერათ მომხრებსო!“

—

(ათავებენ სიმღერას ბ დიდ ხანს ყველა ჩაფიქრებულია, ხმას არავინ იღებს. ერთი ტუსაღი, რომ ლიც აქა-დე ფანჯარასთან იდგა და არაფერ მონაწილეობას არ იღებდა სხვების სიმღერაში, ამოიოხვრებს და იტყვის:)

— მაგაზე უტკბესი და უსიამოვნესი არაფერი გამღერათ ჩემმა გამჩენმა!... რაღა თქვენი გულის

ხეთქა მეჭირვება? მაგრამ ეს სულ შენი ბრალია, იაკობაშვილო! გარეთაც ჩემი მტერი იყავი და აქაც ალარ მასვენებ! არ იცი, რომ ხვალ ჩემი განკითხვის დღეა?

იაკობაშვილი

რომ ვიცით, ჩემო ხარიაშვილო, კიდეც მიტომ გიმღერით გამოსათხოვარს. რაც წესათ გვაქვს დადებული—შენთვის ხომ ვეღარ მოვშლით? ზასედანიის წინა დღეს ყველას ვუმღერით ხოლმე ამ ძილის პირებს. მეც მიმღერეს, მაგრამ შენსავით კი არ მიკვინტავს!

მოხუცი ტუსადი

შენ ეგება არა გწყინდა, ჩემო ძმაო! ყველა ხომ ერთი არ არის? ხომ გაგიგონია—„კაცია და გუნებაო, თორემ სამოცი წლის ბებერს რაღა ეხრაგუნებაო?“

იაკობაშვილი

ეჰ, ჩემო ძმაო, ბევრს არ ეხრაგუნება, მარამ ძალათი ახრაგუნებიებენ! შენ, ჰეი, ხარაიშვილო, დამიჯერე, ჭკუას მოეგე! ჯავრმა თავი არ წაგართვას, თორემ ცუდათ მოგივა საქმე! მოდი აქ, ჩვენ ვიმღერებთ და შენ მოგვბანე.

ხარაიშვილი

შენს ყველაყას მობანე შენ!

იაკობაშვილი

რა გულზე ხარ, შე ოხერო! გეუბნები: ბანი გვითხარითქო! მეტი ხომ არა მითქვამს რა? მოიცა, შვილო, და ხვალ ნახავ შენ სეირს: ბანსაც გათქმევინებენ და მოძახილსაც! მაგრე ალარ გადიდგულებენ!

მოხუცი

დაანებე, ბიჭო, თავი! ხომ ხედავ, რომ შენი ხუნტ-
რუცის გუნებაზე არ არის? (წამოდგება და მივა ხარაია-
შვილთან) რა გემართება, ბიჭო? მე მეგონა, თუ კაცი
იყავი და ქუდი გეხურა, მაგრამ დედაბერი ყოფილხარ
და თავზედაც ლეჩაქი გხურებია!—მანგრე როგორ წავ-
ხდე?! შენი საქმე ჯერ კიდევ ღმერთზე ჰკიდია. მე
მაშ უნდა ვირეოდე, რომ ოცი წლის კარტეჟში
მაკვრევიეს თავი?

ხარაიშვილი

შენი საქმე, ჩემო ძმაო, სულ სხვა არის! შენი საქმე
გათავებულია და იმედიც დაწმენდილი გაქვს. საბრალო
მაშინ არის კაცი, როდესაც მის გულში უიმედობა და
იმედი ერთმანეთს ეჭიდებიან! მაშინ შფოთავს კაცის გუ-
ლი, თორემ რა კი იმედი გადაუწყდება, მაშინ რაღა აქვს
საშფოთავი?

მოხუცი

ეგ კი მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ
ფიქრი არ არის, ღმერთი მოწყალეა!

ხარაიშვილი

ხედავ ამ ქაღალდს პროკუროვისას, რავა კიბესავით
გაუგძელებია?

მოხუცი

მაგის ფიქრი ნუ გაქვს. ბარე ორი მინახავს პრო-
კუროვის ქაღალდი, რომ იმ ერთ რამესავით ძალიან გა-
გძელებული ყოფილიყოს, მაგრამ მალე დამოკლებული-

ყოს ისევე! ადვოკატი ვინა გყავს? ზეპირი ადვოკატი ხომ არა? ის კარგია, ბიჭო, ყველა კანონი თურმე ზეპირათ იცის!

ხარაიშვილი

ვთხოვე, მაგრამ ჯერ კი არსადა ჩანს! ვაი, თუ უარი მითხრას! მადლობა ღმერთს! არ გამიკვირდება ჩემი ბედისაგან! ერთი ეს მითხარი, ძამიაშვილობას, შენ გამოცდილი ხარ და მინდა შენგან მეც ვისწავლო და ხამათ არ წარვდგე სუდში, შენ რომ მოგიყვანეს, როგორ მოგექცენ და რაები გკითხეს?

მოხუცი

მომიყვანეს თუ არა, შემაგდეს ხარიხებიან გალიაში და მიბძანეს: აქ დაჯექიო! ზალა სულ მაყურებლებით გაივსო. ცოტა ხნის შემდეგ გამობძანდენ მსაჯულები და სამივე წითელი სტოლის უკან დაბძანდენ. ერთი, რომელიც უფრო მოყვანილი იყო და საშიში შესახედავი, შუაში დასვეს. პროკუროვი ცალკე დაბძანდა, მარჯვნივ, საკუთარ სტოლზე, და თავის საკუთარი კანონებიც წინ დაიწყო. ჩემი ატუნკატი კი შუაში გამოიჯგიმა ფალავანივით და ხან მე მანიშნებდა თვალით: „ნუ გეშინია, აქა ვარო!“ და ხან პროკუროვს უყვრიალებდა თვალებს: „მაცა მე შენო!“ ემუქრებოდა. ბოლოს, შუაში რომ მსაჯული იჯდა, იმან მკითხა ჩემი ვინაობა, გაცნობა მოინდომა, მამის სახელიც მკითხა, და ყველა რომ მოვახსენე, ისიც მკითხა, დამნაშავე ხარ თუ არაო? რასაკვირველია, იმას არავინ იტყვის, რომ დედაჩემი კუდიანიაო! რათ ვეტყოდი დანაშაული მაქვს-მეთქი?! მაშინ წამიკითხეს პროკუროვის განჩინება, კითხეს მოწმეებს და

რომ გაათავეს, წამოდგა ის ჩემი ცოდვით სავსე პროკურორი და მოახსენა მსაჯულებს: „ამ ჩემს მოჭედილს საყელოს ხომ ხედავთ, ნამსახური კაცი ვარ, პატივსაცემიო, — და ახლა ეს ერთი თხოვნა ამისრულეთ და ეგ კაცი მე მაჩუქეთო! აქ ხალხი მაინც ბევრია და მაგას იქ გავგზავნი, სადაც ხალხი ცოტაა და მიწა კი ბევრიო“. ამაზე ჩემმა ატუნკატმა მიაძახა: „ვერ მოგვართვიო!» და მერე მიუბრუნდა მსაჯულებს ამ სიტყვებით: „მართალია, მე არ მაქვს მოჭედილი საყელო, მაგრამ ცოტაოდენი პატივი მეც დამდევით და ეგ კაცი აქ დატოვეთ, ნუ გაგზავნით ნურსად, მე მაჩუქეთო!“ ამაზე მსაჯულებმა გამოაცხადეს მოლაპარაკების შემდეგ, რომ, რა ვქნათ, ორივე საპატივო კაცები ხართო და გულს ვერც ერთს ვერ დაგწყვეტთო! თქვენ ერთმანეთს შეებასეთ და რომელიც აჯობებთ კანონებით, ღმერთმა იმას მოგახმაროსთ ეგ ტუსაღიო! აბა სეირი მათი ბრძოლა იყო, ბიჭო! პროკურორმა ჩემი გასამტყუნი ორი სტატია ათიანი მოიყვანა, ატუნკატმა კი პასუხათ ასიანი უთხრა! ცოტა შერცხვა პროკურორს და იმდენი გაიჭიმა, რომ ძლივს გაჭირვებით მოიგონა, როგორც იქნა, და ათასიანი უთხრა. მაშინ ჩემმა ატუნკატმა ათი ათასიანი სტატია მიახალა გულზე! სადღა წოუვიდოდა? პროკურორი ისე შეწუხდა, რომ სირცხვილით ხმა ველარ ამოიღო და გაჩუმდა! მაშინ მსაჯულებმა ჩახედეს კანონის წიგნში და ნახეს, რომ თურმე ფთიქ ათასიანი სტატია როდი წერებულა მათს წიგნში და ეს განჩინება შეადგინეს: რადგანაც აქაურ კანონის წიგნებში ამისთანა სტატია არ წერია, ეს ტუსაღი გაიგზავნოს იქ, სადაც ის ათი ათასიანი სტატიის წიგნი იყოსო და იქიდან გამოუშვან გამართლებუ-

ლიო. ახლა გაგზავნით კი გამგზავნიან, ვიცი, მაგრამ იქიდან კი დამაბრუნებენ? ატუნკატიც ასე მეუბნება... (ამ დროს შემოდის ადვოკატი და ყველა იმას ეხვევა გარს).

ადვოკატი

გამარჯობა თქვენი! ხარაიშვილი რომელია თქვენში?

ხარაიშვილი

მე გახლავარ, შენი ჭირიმე, ღმერთსავით თქვენი მომლოდინე!

ადვოკატი.

შენა ხარ? ჰო!... აქამდის მოვიდოდი, მაგრამ სუ-ლში ზასედანია მქონდა. ერთი ქურდის ადვოკატი ვიყა-ვი და იმან დამაგვიანა. იმას კი ვუშველე, როგორც იქ-ნა, მაგრამ მისი უხეირობით კინალამ თავიც გაიუბე-დურა და მეც შემარცხვინა! კიდევ კარგი, რომ მოხერ-ხებული ვარ, თორემ სხვა ადვოკატი რომ ყოფილიყო, ველარას გაარიგებდა.

ტუსაღები

როგორ შენი ჭირიმე?

ადვოკატი

როგორა და უხეირო რომ გამოვა. ზოგიერთი კა-ცი: ცხენის მოპარვას ეწამებოდენ და იმან არ დამი-ჯერა, გამოტყდა! ჯერ კი შევჩერდი, მაგრამ მერე კი მაინც მოვუხერხე გამართლება.

ტუსაღები

იმე! რასა ბრძანებთ!... როგორ-და მოუხერხდებოდა გამართლება?! როგორც გამოტეხილა, გაწყრომია ღმერთი და ის არი! გათავებულა მისი ალიან-ჩალიანი! ადვოკატმა რაღა ქნას!

ადვოკატი

როგორ თუ რა ჰქნას? ადვოკატი მიტომ ჰქვიან ადვოკატს, რომ ყოლიფერი უნდა მოახერხოს. დამნაშავე უნდა გაამართლოს, თორემ მართალი თავისითაც გამართლდება.

ტუსაღები

ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, ჩემო ბატონო! ეგ ბეჯითი ბძანებაა!

ადვოკატი

რასაკვირველია. აი, ეხლა ის ქურდი რომ გამოტყდა, გამოძიებას თავი დაანებეს და განჩინების წერა დაიწყეს. ჰკარგავდენ ციმბირში, მაგრამ მე ალარ ვქენი: ვამტკიცებდი, რომ ეს არ არის ქურდი-მეთქი. როგორ არ არის, თვითონ ვამოტყდაო? არა-მეთქი, ვუთხარი, ჯერ ეს მიბრანეთ: ცხენი აიკიდა ამ კაცმა ზურგზე და ისე მოჰქონდა, თუ ცხენს აჯდა ზურგზე-მეთქი? ცხენს მოჰყავდა-მეთქი?—ვკითხე მსაჯულებს. რა თქმა უნდა, რომ ცხენს მიჰყავდაო?—მიპასუხეს. მაშ ცხენს მოუპარავს ეგ და არა მაგას ცხენი-მეთქი და გასაჯეთ და გაასამართლეთ ცხენი და ამ კაცს კი თავი დაანებე-მეთქი. ამ სიტყვაზე მსაჯულებმა ერთმანეთს გიკვირვებით შეხედეს, პროკურორმა ხმა ველარ ამოიღო. შევიდენ მსაჯულები მეორე ოთახში, მოილაპარაკეს და გაამართლეს ჩემი კლიენტი.

ტუსაღები

ქრისტემ დიდი დღე მოგცესთ! ჰოი, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი! სხვისგან შველას შენს ხელში გაფუჭება გვირჩევნია! შენს იქით გზა არც ერთს არა გვაქვს! მოისმინეთ თქვენ ჩვენი გაჭირვება და, თუ ხელ-მოსაკიდებელი ვიყოთ, ნუ დაგვანებებთ თავს! სხვის ხელში ნუ ჩაგვყრით! და, თუ აღარა გაგვეწყობოდეს რა, წინდაწინვე მაინც გვიბძანეთ, რომ თავი მაინც აღარ შევიწუხოთ, ტყუილი ხარჯი აღარა ვქნათ!

ადვოკატი

კარგი! მაშ მოდით, დასხედით ყველანი და თვითოთვითოთ გამოგკითხავთ ყველას და გადაწყვეტილს გეტყვით. მაგრამ მოძღვარსავით კი უნდა მითხრათ: ისე, როგორც ყოფილა თქვენი საქმე.

ტუსაღები

კი, ჩემო ბატონო! რაღა დღისთვის ღავფაროთ?

ადვოკატი

მაშ კარგი. აბა შენიდან დავიწყოთ. ვინა ხარ შენ?

ქართველი

თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, ვინც გახლავართ, შენი ჭიიმე!

ადვოკატი

მე რა ვიცი! თუ მომეხსენებოდეს, აღარც კი გკითხავდი!

ქართველი

მე, შენი ჭიიმე, მეურმე გახლავარ, გოგიტა ბასილიძე.

ად.

რათა ხარ დაჭერილი?

ქარ.

მაგას კი ნულარ მკითხავთ, ღმერთი გადღეგრძელებსთ! ნულა მომაგონებთ მაგ საქმესა!...

ად.

აბა როგორ-ღა გავიგოთ, თუ შენ არ გვეტყვი, რათ დაგიჭირეს?

ქარ.

რაზედ დამიჭირეს, ა შენ ხარ ჩემი ბატონი, და იმაზედა, ი ჩემი ცოდვით სამსე, ი ბიჭი რომ შამომაკ-ვდა! აი, იმას კითხოს ჩემმა ცოდვამ!

ად.

მადედამ კიდევ ვერა გამიგია რა! ვინ ბიჭი?

ქარ.

ვინა და ი ბიჭი—ნინიკაზე მოგახსენებ, შენი ჭიიმე.

ად.

გარკვევით მითხარი: ვინ იყო ის ნინიკა ?! რათ მოჰკალი?

ქარ.

ნინიკაი?

ად.

ჰო, ნინიკა! ის ნინიკა, შენ რომ მოგიკლავს, ვინ იყო?

ქარ.

აკი მოგახსენეთ, ჩვენი ნინიკა გახდა-თქო!

ად.

ახა, ღმერთო! არ ვიცი და მითხარი, ვინ იყო და ან რა იყო შენი? დაგიჯინია ჩვენი, ჩვენი! ვინ თქვენი?!

ქარ.

ჰო, მიხვდი, შენი ჭიიმე! ნინიკა ძმა გახლდათ ჩემი!

ად.

მერე რათ მოჰკალი? მტრობა გქონდათ ერთმანეთში?

ქარ.

არა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მტერობა კი არა და ჩვენითანა მოყვარული ერთმანეთის ძმანი სულაც არა გხლებიათ ჩვენს კუთხეში.

ად.

აბა რათ მოჰკალი?

ქარ.

ღმერთმა ნუ იცის დედა-კაცის თავი და ტანი! ჩემი დედა-კაცის ბრალია, იმასა ჰკითხეთ! ჰოიპე, ჰოიპე, რა მახეში მე იმან ჩამაგდო!

ად.

შენ, ჰეი, ჩემო ძმაო, თუ გინდა თქმა, მალე მითხარი და გაათავე! სხვებსაც აცდენ ლ მეცდროს მაკარგვინებ, თორემ მე სად უნდა ვძებნო შენი დედაკაცი! შენ უნდა მითხრა: რათ მოჰკალი და როგორ?

ქარ.

მოგახსენებთ დალაგებით, შეი ჭიიმე. ხუთშაბათი დღე იყო. არა, არა, ხუთშაბათი კი არ გახდათ, პარასკევი იყო... მგონია ხუთშაბათი იყო და აღარ მახსოვს კარგათ. ტფუ, დალახვროს ღმერთმა!

ადვოკატი

ეგ სულ ერთია, რა დღეც უნდა ყოფილიყო. შენ ის მიამბე, რა იყო?

ქართველი

კარგი, შეი ჭიიმე. ერთ დღეს პურის ჭამათ დავსხედით მე და ნინიკაი. ვუთხარით დედა-კაცს: დედა-კაცო, ცოტა შეჭამადი გექნება და პირი გაგვისველეთქო! წავიდა, ი ღვთისაგან შეჩვენებული, და ერთი ჯამი მახოხი მოგვიტანა ორთავ ზიარათ. მართალი ნათქვამია, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ დედაკაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევია, ეშმაკმა გააჩინაო, თორემ, რა ენაღვლებოდა ი ჩემი ცოდვით სავსეს ორ ჯამზე დაესხა და ისე მოეტანა ორივესთვის? თითო ორ-ორი ტაქანი რომ დავლიეთ, ი ბიჭს გავუხუმრე: ნინიკა, ჩემზე მეტს ნუ სჭამ მახოხსთქო! იმან იწყინა და გინება დამიწყო, მეც შევაგინე; იმან აიღო და არკი ზე ცხვირ პირზე შამამასხა ი მახოხი. მეც, ვერ დავფიცავ, ცოტა ავგული გახლავარ და ამოვიღე ხანჯალი და ერთი წაუქნიე წვერით ნელა... ი ჩემი ცოდვით სავსე ისე წამოეგო ზე, როგორც გოჭი შანფურზე... ზიარებაც ველარ მოვასწარით, იმ ჩემის ცოდვით სავსეს! მერე მეც ბევრი ვიყვირე, მარამ ვინღა გააცოცხლებდა, შენი ჭიიმე? კაცის სიცოცხლე ერთი წამისაა, მოგეხსენებათ.

ადვოკატი

ოხ, ეგ დიდი დანაშაულობა არის, ეგ არის კაენის ცოდვა!

ქართლელი.

რა ვიცი, შენი ჭიიმე, ყეენის ცოდვაა, თუ ხვანთქრისა? მე კი ამ უბედურებაში ჩამაგდო ი ცოდვი შვილმა და თითონაც გაფუჭდა და მეც მაფუჭებს... ორივეს ცოლ-შვილი ოხრად გვირჩება! ამ საქმიდან რომ ვინმე მიხსნიდეს, ხუთი თუმანი მიბარია ამ ჩვენს მოტრიტელს და იმას მივართმევ.

ადვოკატი

რას ამბობ, ჩემო ძმაო? ხუთ თუმნათ ხელის მოკიდება ძნელია მაგ საქმისა!

ქართლელი

ათი იყოს, შენ ჭიიმე, რა გაეწყობა! რაღა ღღისთვის მინდა ფული?

ადვოკატი

მაგ ფულით მოჰკიდებს საქმეს ხელს გლახა ადვოკატი და კარგი კი....

ქართლელი

ოლონდა თქვენ-კი იკისრეთ, და მეტსაც მოგართმევთ, შეი ჭიიმე! გუთნეულს გავყიდი და შეგისრულებთ ოცათა!

ადვოკატი

კარგი, კარგი, რაღა გაეწყობა! მე ფულის სიხარბე არა მაქვს, მაგრამ კარგ კაცს გევხარ, უნდა მოგიწყო ხელი. შეგიძლია ამირჩიო ადვოკატათ! ახლა შენ მითხარი შენი ვინაობა! (მიუბრუნდა მეორე ტუსაღს).

რაჭველი.

მე რაჭველი გახლავარ, არჩუაძე, ქვე ჭირი მოგჭამე! ჩემისთანა უბედური საქმე, ჭი! ჯერ ადამიანს, ქრისტიანის შვილს არ მოსვლია, ჭი! ცოტა ფულის მოსაგებათ გადმოვდგი; ჭი, ფეხი შინიდან და ერთი აღა-ხაზაინი ევიჩემე, თვეში თუმნათ, ჭი. ყოლიფერი თანამდებობა ჩემ ხელათ იყო ჭი: ლაქია-მსახური, პოვარ-მზარეული და ხაბაზიც სულ მე ვიყავი. გატყდებოდა რამე—მე გადამხდებოდა, ჭი, და თუ რამე დეიკარქებოდა—იმის მოპასუხეც მე ვიყავი. ერთ ღამეს ვინღაცა მგზავრები შემოვუშვი შინ, ღამე გავათევინე, იმათ კი გოუწყრათ ჩემი ბრავალძის პირ-ყვითელი და ხელებ-გაშლილი წმინდა გიორგი, ჭი! თურმე აკი, ბატონო, რაზმონიკები იყვენ! მე რას შევატყობდი? ცხვირპირზედ კი არ ეწერათ ჭი! იმ ღამეს ჩემი აღა-ხაზაინი სულ ერთიანათ გაქურდეს და მოორე დღეს მე მტაცეს ხელი: შენ თუ არ ერიეო, ქვე რატომ არ უყურეო, ჭი? რა რჯული სამართალია ეს, ჭირი მოგჭამე! რომელი ქურდი აყურებიებს სხვას ქურდობას?! თუ აყურებია, ქურდი ქვე კი აღარ იქნება ჭი, პატრონი იქნება! ქვე თუ რამეს მიშველით, ახლა თქვენ იცით ჭი...

ადვოკატი

არა გიშავს შენ. აბა ახლა შენ მოჰყევი! (მიუბრუნდება მესამეს)

ოსი

მე, სენი ჭილიმე, ოსი ხარ კუდალოელი. მე, სენი ჭილიმე, ელთი ბიწი მოკალი, ძალიან კაი ბიწი.

ადვოკატი

რათა? რა დანაშაული ჰქონდა?

ოსი

ლა დანასაული გექნებოდა, სენი ჭილიმე ისე მოკალი, ტყვილა. სეხედე, რომ სოლს მოდიოდა და ძალიან კაი ნისანსი ამოსაღები იყო; უნისნე ე ცემი სასხანა, სი წიპიგკარი! ძალიან, ბატონო, ეს ცემი პატალა სასხანა ნისანი გიყვარს: ბუზი არ აცილდება, მასინვე მოგკლიამს!

ადვოკატი

მაგ ერთის მეტი ხომ არავინ მოგიკლავს?

ოსი

რასა ბძანებ, ბატონო, ლამდენმა სხვებმაც სენი ჭილი წაიღეს! ოხ, ბევლი კაი ბიწობა ქენი! ბევლი მოვკოხწე თავი!

რაჭველი

იმე! ქვე რას ამბობს ეს ურჯულო?! შენ-კი გაგიწყრა ჩემი ყოლადწმინდა ხვთისმშობელი და დაგლახვროს ჩემმა სამას სამოცდა ხუთმაწმინდა გიორგიმ! ქვე რა გიქნია, შე ურჯულო?! ქრისტიანები მოგიკლავს თუ ურჯულოები?

ოსი

ალა, სენი ჭილიმე, სულ კაი-კაი სენისთანა იმელელი, კოლტოხელი დაგკოხწე თავი! აი ბეცა, ბევლი კაი ბიწობა ქენი ცემი ყმაწვილობა!

რაჭველი

ქვე არ შეგხვდენია, ჭი, ჩემისთანა ბიჭი, თვარა ის-კი მოგიგრეხდა მაგ ცოდვილ კისერს, ჭი, ღვლერჭივით... ბევრს არ გალაპარაკებდა!

ადვოკატი

კარგი, კარგი, კმარა! რადგანც გამოტეხილხარ, შენ აღარ გეჭირვება ადვოკატი. ტყვილა ნუ ამირჩევ. შენ ვინღა ხარ? (მიუბრუნდა სხვას)

მეგრელი

მე, პატონი? მერგელი გოხოლო, ხუხუა სულგავა.

ადვოკატი

უთუოთ ცხენის ქურდობაზე იქნები დაჭერილი, ამას კითხვა აღარ უნდა.

მეგრელი.

ვარ (არა) პატონი! მაგისთანა გაშლილ ქურდობაზე კაცი რავე დამიჭერდა? დიხაში მუდუსავით ჩავძვრები, წყალში ბატივით გავცურავ, ღობეს კატასავით გისხაპამ, ტყეში ტურასავით ვიძვრენ და გაქცეულს დადიანის წევარიც ვერ მომეწევა!

ადვოკატი.

აბა როგორ დაგიჭირეს?

მეგრელი

რავა, პატონი, და ერთ სომეხს დუქანი გოუხვრიტე და შევძვერი შიდ; რაც საშოვარი იყო მოვამგროვე, მარამ ამ დროს, პატონი, ხმაურობა მომესმა; დავაპირე გამოძრომა. მარამ ორივე ნახვრეტებთან კაცები იდგენ!... წინიდან აფხოტები მოდგომოდენ და უკანიდან სომეხი, და მე შუაში გამაკვეტეს... სად წევიდოდი, პატონი?

სომეხი

მახლას! რა გინდოდა სომეხის დუქანი?! ანგრე გირჩევნია, აი, ჩემმა მზემ!

მეგრელი

კი, პატონი, თუ მე ასთე მირჩევნია, არც შენ გაწ-
ყენს მასთე ყოფა, ჩემმა მთვარემ! შენც ჩემისთანა ტყვე
ხარ, გაბერილო სომეხო,

ადვოკატი

შენ რაღათა ხარ დაჭერილი?

სომეხი

პუსტოი, კნიაზ ჯან, სულ პუსტოი! სხვილ-სხვილი
ასიგნაცი წვრილზედ აბმენიატი ვქენი! და მითხრეს ყა-
ლბია! ვაი, კნიაზ ჯან, მე რა ვიცოდი თუ ყალბმა იყო,
მე ხომ არ მოვჭერი! მე ღეოღრაფია-ზოოლოოღიამ რა
ვიცი, რომ გამეკეთებია!

ადვოკატი

ადვოკატი გყავს?

სომეხი

გახლავსთ, კნიაზ!

ადვოკატი

ვინ არის? კარგია?

სომეხი

ძალიან, კნიაზის მზემ! როგორც უნდა, კანონი ისე
ათამაშებს. ისე ჭიკჭიკობს, როგორც ბულბულმა! მე სხვა
ავდოკატმა არ მინდა!

ადვოკატი

სადა გყავს ეგ ადვოკატი? ვინ არის?

სომეხი

აი აქ არი, კნიაზჯან! (ჯიბეზე იკრავს ხელს) აი, კნიაზ, სწორი ადვოკატი!

ადვოკატი.

კი, მაგრამ, თუ მაგ შენმა ადვოკატმა ჩემთან ბეჯითად არ მოილაპარაკა, ისე მარტო თავის თავათ ვერაფერს გაარიგებს!.. ებრალო, შენ რაღა გინდოდა აქა? ვინ ებრაელი და ვინ აქ ყოფა? რაზე მოუწვევიხართ?

ურია

ჩემი დაბადების მადლმა—ე სულ ტყვილა უბრალოთ დამიჭირეს—ე! ღორთა იცოდეს—ე, უსამართლობა მიყვეს—ე, რჯულის მადლმა—ე, არა დამეშავებიოს რა—ე: ერთ საღამოს—ე, კნეინებს დავებარებიე—ე; მეც ვიახელი—ე. მიბძანეს—ე. საქონელი გვიჩვენეო; ერთმა კნეინამაც—ე, თავისი საჯდომი დამითმო—ე, დაჯექი და ისე გაშალე საქონელი, გვიჩვენეო; მეც მადლი მოვახსენე—ე, დავჯექი და უჩვენე—ე. ბოლოს მიბძანეს—ე, თეთრი საქონელი—ე, მიტკალი გვიჩვენეო. მე მოვახსენე: თეთრი საქონელი ერთი კარგი შტუქა გახლავსთ—ე, ცოტა თავი კი აქვს—ე, წაჭრილითქო, თორემ სხვებ—ე, დასაწუნი არ იყოს—ე, რჯულის მადლმათქო. იმათაც ნახეს, მოეწონათ—ე, იყიდეს, მიმაზომინეს და გამომიშვეს—ე. თურმე ნუ ბძანებთ—ე, ზომა შემშლოდა—ე, და არშინზე თითო გოჯა დამეკლო—ე. მეორე დღეს—ე, მისმა ქმარმა მიჩივლა—ე: ცოლი გამიბრიყვა, არშინშიაც მოატყუა—ე, და საქონელიც დამპალი შამოაპარაო—ე. ამისთვინ დამიჭირეს შვიდი დღის ვადით—ე, რჯულის მადლმა, ღორთა იცოდეს, სულ უბრალოთ—ე!...

ადვოკატი.

მეორეზე ნული დააკლებ თითო გოჯას, თორემ უციმბიროთაც ვერ მორჩები! ახლა კი კიდევ კარგათ გადარჩენილხარ! შენ ვინღა ხარ? (სხვას).

იმერელი.

მე, შენი ჭირიმე, იმერელი გახლავარ, ივანიკა ხვლიკიაშვილი, ქვემოური ყაზახი!

ადვოკატი.

კაცი მოჰკალი შენცა?

იმერელი.

იმე! რას მიბძანებთ, ღმერთი გადღეგრძელებს ბატონო, კაცს ქე რავა მოვკლავდი, შე დალოცვილო, ქათამი ხომ არ იყო?! ფარსაგი სული, მონათლული ქრისტიანი კაცს რავა გამოიმეტებს სასიკვტილოთ? ეშმაკი, კუდიანი, ქაჯი და ჭინკაც არ მოკლავს კაცს, ისთე თუ გააფუჭებს თვარამ, და მე რავა გევიმეტეფ ადამიანს?! ჯვარი აქაურობას! (აფურთხებს). ჩვენს სოფელში ერთ წელიწადში დიდი სიკვტილიანობა გახდათ, ჩემო ბატონო. ისთე ეყრებოდა ხალხი პანტასავით!... ოჯახი არ დარჩენილა, რომ კვტარი არ ყოლოდეს ერთი მაინკ. ხოლვერა არ იყო, ბატონებს არა გავდა, ვენაცვალე მათ ძლიერებას, და ცივებ-ცხელების ნიშა-წყალი სულ არ ჰქონდა იმ ძალვან სნეულებას. დევებენით—შენი მტეი დაბნეულა!—უვეზდის დოქტური კი მოგვივიდა, მარამ მათი ამბავი თქვენც კი მოგეხსენებათ: თავი რომ ტკიოდეს კაცს, ფეხზე ადებენ წამალს და რომ მოკვტება,—პროჩაითო ეტყვიან. იმათი წამლობა ფორმაა და ჩესტი, სხვა არაფერი. თქვენი თავი ნუ მომიკვტება, მე თითვან ვნახე

ჩოლოქის ომში ერთი კაცი, ორივე ხელები გაგდებული ქონდა და, დოქტური რომ მოვიდა, მაჯის ნახვა მოუნდომა! ფორმა მათი, თვარა ისთე კი არა. არა, ბატონო, თუ კაცს თავი არ აქ გამომეტებული, იმათ რავა მიიკარებს საჭირ-ბოროტოთ! ჩვენ დავანებეთ თავი დოქტურს და დეეეკითხეთ მკითხავს. იმან, მოგეცა ღვთის წყალობა, მართალი გვითხრა: თქვენს სოფელში კუდიანები ყოფილან გახშირებული და ისინი ართმევენ კაცებს გულღვიძლს და ბრუსაბძელაზე მიაქვთ ზაკუშკათ როკაპთანაო; ისინი დადაღეთ და აღარავინ მოკვტებაო! დავბრუნდით ჩვენ სოფელში, მოვაგროვეთ, რაც იმ სოფელში ბებერი იყო, წევიყვანეთ წყალზე, შოუკარით ბაწრით ხელ-ფეხი და ისთე შევაცურეთ მორევში; რომელიც დაძირა, ის არ იყო კუდიანი და რომელიც კი ეიფირფიტა, ის კი სწორეთ, ბეჯითათ კუდიანობის ნიშანი იყო. ისინი გამოვიყვანეთ, გავახურვეთ რკინის ჯვარი და დავდაღეთ. ბევრი უძახეს თავის კუდიანებს, გვიშველეთო, მარა არა, ჯვარის ეშინიათ კუდიანებს!

ᲓᲔᲕᲝᲙᲐᲢᲘ.

სხვა რკინეულით რამეთი არ შეიძლებოდა დადაღვა?

ᲘᲛᲔᲠᲔᲚᲘ

ვეი პლაჩ! უჯვაროთ არ იქნება, მაშინვე კამბეჩის ტყავს გადააფარებდენ კუდიანები უხილავთ და როდი დეიწოდენ. ახლა, ბატონო, როცა დადაღვა გავათავეთ, გაუშვით ის კუდიანი ბებრები; მერე ისინიც გამოტყდენ და ახლა მკითხავები არიან. ამ საქმისთვის დამიჭირეს!... მართებლობამ იწყინა: შენ პუტოვჩიკი ხარო... ᲓᲒᲐᲜᲐ ქრისტიანული საქმე პუტოვჩიკობა ირი?! ახლა, შენ ჭირი შემეყაროს, თუ მიშველი — ყმათ დაგესახლები!...

ადვოკატი

კარგი! კარგი! შეგიძლია ამირჩიო. შენ ვინა ხარ? მეგრელი ხარ?

გურული

ვაი წავხდი, კილავ! რა მიგავს თხა პარია მეგრელს?

მეგრელი.

რა მოგპარა, წიე, მეგრელმა?

გურული

დედავ! რავა აბდლურათ ჩივი შენ! შენ სხვას მოპარავ, თვარა გურულს რავა გუუბედავ მოპარვას! ჩემ კონახში რომ შეხვიდე, იცი, რას გიზამ, ყაზილარო? ნიფხავს გაგხდი და მითი შეგიკოჭავ ხელებს!

მეგრელი

თუ მაგრე ვაშკაცები იყოთ, პატონი, დადიანი რათ ერეოდა გურიელს?

გურული

ვინ გითხრა მაი საჯაყი! იგი დაგავიწყდა, ოცდახუთმა გურულმა რომ ათასი მეგრელი დეიფრინა წინ, ისე რომ ერთი ყურშუმიც არ გაუსვრიათ?

იმერელი

ეს ისე მართალია, თქვენ ნუ მომიკვტებით, როგორც ალდგომა! მას აქეთ არის ჩვენში დარჩენილი სიმღერა: „ოცდა ხუთსა მეგრელ-კაცსა მაკე ტურა შეეყარათ, სანამ ტურათ გეიცნობდენ, სული ხორცათ გეეყარათ!...“

ქართველი

ეგ ყველა კარგი, გურიელო, მაგრამ ე თოკი რომ უკან ჩამოგიკიდებია მელის კუდივით, რათ გინდა ეგა?

გურული

რაიზა და მიზა, რომ, შენისთანა ყაზილარს თუ შე-ვხვდი, შევკოჭავ ამით და ქობულეთში ამოვაყოფიეფ თავს! და მაშინ მკითხე, თუ გულს გერჩის!

ქართველი

შენმა მზემა, ასეთი არა ჰქნა, ღომით არ მიმიტყუო!

გურული

ქართველმა რომ ღომის ჭამა არ იცოდეს, იგი ღომის რა ბრალია? მაჭუტაძეს ერთი ქართველი თავადი ესტუმრა, სადილათ ღომი მიართვეს; თურმე იმ აბდალამ ღომის ჭამა არ იცოდა, ჩაკრა ხელი ღომში—თითები დეეწვა, პირში ჩაიდვა—იგიც დეეწვა, გადაყლაპა—ყელი დეეწვა, კუჭში ჩაუვიდა—იგიც დაწვა და ბოლოს ქართველმა ნაბადი აიღო, რომელზედაც იჯდა: აგი ნაბადიც არ დემეწვასო! აგია თქვენი ცოდნა ა?!

იმერელი

მაგისთანები გურულებზედაც კია, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, ნათქვამი: გურული დაპატიჟა ქართველმა, მარხვა დღე იყო და მუხუდო მოუტანა; გურულმა დახედა ჯამზე, ნახა, რომ თურმე ცარიელი წვენია, ფოჩვი არსად არი; ერთი ორი მარცვალი კი დაცურამდა თურმე მუხუდოს კაკალი წვენში. წამოვარდა გურული, გეიკრა ფიშტოს ხელი და შეაყენა ჩახმახი! — „რათა მკლავო? — უთხრა მასინძელმა. შენ კი არა გკლავო, უთხრა გურულმა, აგი დედა გაგლეჯილი მუხუდოს მარცვალი ცურავს, ვერ დევიმორჩილე, და ეგება იგი მოვჰკლა ფიშტოთიო!

ქართველი

შენი კი რაღა მეცოდინება, კორტოხელო, შენა! შენ რომ ხიზილალას უწრუწუნებდი ქალაქშია, ის აღარ გახსომს?

ადვოკატი

კარგია, აწი კმარა! ღლაბუცს თავი დაანებეთ და საქმეს მიჰყავით ხელი. რათ დაუჭერიხართ, გურულო?

გურული

რაიზა და მიზა, იგი ყაზილარი რომ მოვკალი ქალაქში!

ადვოკატი

რათ მოკალი?

გურული

მე კი არ მოვკალი, მან მომაკვლევია თავი ტყვილათეი! ჩემდა მოვიდოდი გზაზე, დამხვდა ი ყაზილარი და დამიწყო ყვირილი: „გურულო უჰ! გურულო! ო, გურულო!“ და მანამდი მიყვირა, სანამდი კუჭი არ მომაყვანია; არ გევეცი ხმა! ვთქვი: აბდალეია—ვიცი, თავი რეზა გოუცვალო მეთქი? მარა ბოლოს ხელიც მიბიძგა! მაშინ მეც კუჭი მომივიდა: ბიძგება მასთე არ უნდა მეთქინ—უთხარი, ვბიძგე ჩემი მაჭახელა, ვრეხვე გაბერილ მუცელზე და ქეჩხოსავით გადავაგორე! ერთი ვაი-დედაც ველარ მოასწრო იმ ყაზილარმა და თუ მეტი არ შეეძლო, რეიზა მაკუჭიანებდა, ი დედა გაგლეჯილი!

ადვოკატი

ადვოკატი გყავს?

გურული

ადუკატი რაიზა მინდა! კი აღარ ვფიცავ მის სიკვდილს!

ადვოკატი

მაშ გაგგზავნრიან!

გურული

გამგზანიან ! ველარ გამოვბრუნდები? ისევ ჩამოვალ, რა!

ადვოკატი

ვინ გამოგიშვებს ნებით.

გურული

ძალით გავშპები!

ადვოკატი

მერე ყარაულები?

გურული

ყარაულები! მე კი გავშპები გზიდან და იქ კი აღარ დაუწყებ ყარაულებს ყუნცულს! სანამდი იგინი გეიმძრეოდენ, მაქამდი მე დავტრაკავ და ქობულეთში ამოვყოფ თავს! იქ კი ვირჩენ თავს. ფირალათ ერთი ბიჭი ვერ მაჯობებს და, მართალია, ჩემს სოფელს კი მოშორებული ვიქნები, მარა იმ დედაგაგლეჯილის სიკვდილს ჯიდე ჩემი ფირალობა აჯობებს!

ადვოკატი

რომ მოგეწიონ და დაგიჭირონ?

გურული

დედავ, რას ჩივი, კილავ! ჩემმა მტერმა თქვა მაი! თუ იგინიც მე დამიჭერენ და მთლათ პილწი და წამხთარი ვიქნები და იგი იქნება! მაშინ მეც აღარ ვიქნები შესაბრალი და ანასუნი ჩემ საქმეს!

ადვოკატის დილა.

ვდოკატი

(დადის გაჯავრებული)

— დალახვროს ღმერთმა ჩემი უხეიროობა... ეს რა მემართება!... როცა საჭირო არ არის საზოგადოთ, მაშინ-კი ეს ჩემი ენა ჩემ ნებაზე პირში ვეღარ დამიკავებია, წაღმაუკულმა, მინდა თუ არა მაინც, საათის გუგულივით, პირიდან მიხტება და როცა საჭიროა, მაშინ-კი სასას მიეკვრის ხოლმე!... ეს სულ მიუჩვევლობის ბრალია. გამიგონია, კარგი მონადირე ჯერ უბრალო ნიშანზე დაგეშავს ძაღლებს და მერე ნამდვილ მხეცებსაც მოუტევებსო; მოდი ერთი, მეც ისე მოვიქცევი. (სტოლის უკან დადგამს სამ კრესლას, შიგ მუთაქებს ჩააყუდებს, თვითონ წინ დაუდგება და მოჰყვება:) ბატონო მსაჯულებო! თქვენი გულმოდგინება და ბეჯითობა, როგორც საზოგადოთ ყოველ შემთხვევაში, ისე დღესაც ამ საქმეში მით უფრო მოსაწონი და შესანიშნავია, რომ დღევანდელი დღის გამოძიებას თქვენ გუშინდელი განჩინებითვე წინ უსწრობთ. უსწრობთ, მაგრამ მოთმინება-კი მაინც იმდენი გაქვთ, რომ დღესაც, თუმცა საჭირო-კი აღარ გახლავთ, მაგრამ მაინც კიდევ ყურს უგდებთ გამოძიებას და დიდი ფორმითა ასრულებთ ფორმებს. მეც ამ შემთხვევაში, თქვენი მიმბაძავი, ჩემი ჯიბის საწყლის ფულებით გამტენი და თანვე სრულად დარწმუნებული ჩემს „გინდ ვიყო-გინდ-არაკობაზე“ მაინც და მაინც „ვიტყიაპინ-

სიტყვაობებ“, რადგანაც მითი ნუგეში ეძლევა ჩემ კლიენტს. დეე, მოტყუვდეს ცოტა ხნით იმედით მაინც, რადგანაც საზოგადოთ ბედნიერება მომატყუებელი იმედია. მეც, ბატონო მსაჯულებო, იმედი მაქვს, რომ ამ ჩემ ლაპარაკს ყურს დაუგდებთ და ჩვეულებრივ არ მოინდომებთ დამ... (შემოდის მსახური).

მსახური

ბატონო! მთხოვნელები გიახლენ და დიდი ხანია იცდიან, მიიღებთ თუ დავითხოვო?

ადვოკატი

სულელო! დათხოვა როგორ შეიძლება! ჯერ ეს მუთაქები მიალაგე და მერე თვითო-თვითოთ შემომგვარე. წადი!..

მსახური

ერთის მეტი არავინ დარჩენილა, ბატონო! იცადეს, იცადეს და ბოლოს, რომ მოეწყინათ, გაუდგენ გზას შინისაკენ; ხვალ-კი გიახლებიან. ერთი ვილაც მღვდელიც გახლდათ, მაგრამ იუკადრისა: მეფურნე თათართან ერთად მოცდა არ მეკადრებაო და იმანაც გასწია. თათარსაც პურის ცხობა უგვიანდებოდა. ერთიც ქალი გახლდათ. ქალს, ბატონო, საყვარელი ჰყოლია, იმ საყვარელს კიდევ სხვა საყვარელი, იმ საყვარელსაც კიდევ სხვა და ამასაც კიდევ სხვა... გვიანობამდი ვერ შეუტყვიათ, დღეს-კი მოსვლიათ ერთმანეთში ხარხაზი და ერთმანეთი აუწიაქებიათ!... ახლა, ბატონო, იმ საწყალმა ქალმა ყველას დაასწრო თქვენთან ხლება, თორემ ხვალ ყველა ერთად აპირობს მოსვლას და თქვენ უნდა...

ადვოკ.

ოჰ! ოჰ! კარგი! კარგი! შენ თუ სალაპარაკო იშოვე, ხომ აღარ გაათავებ? გადი და შემოიყვანე ის ერთი ვილაც არის!

მსახური

ვინც-ღა-კი არა, ჩინებული აზნაურშვილია, შე დალოცვილო! ფულიც ბლომათ მოიტანა. მეო, ასე მოგახსენათ, ოღონდ-კი ნუ...

ადვოკ.

ოჰ! ოჰ! ოჰ! გაათავე! მორჩი! თვითონ მეტყვის, რაც უნდა.

მსახური

თქვენი ნება გახლდესთ! მე მხოლოთ იმას მოგახსენებ...

ადვოკ.

კაცო! ქრისტიანო! დამანებე თავი! არ გესმის?!...

მსახური

კი, ბატონო, გიახლებით, მაგრამ მე ვითომ მინდოდა ადრევე მომეხსენებია თქვენთვის, თორემ შე ხომ ჩემთვის...

ადვოკატი

აღარ მომშორდები?! ვერ ხედავ, რომ შენს გუნებაზე არა ვარ!...

მსახური (მიდის)

ეს დალოცვილი ხმას რომ არ ამოაღებიებს კაცს! სანამდი სიტვვას იტყოდე, მანამვე გაჩუმებს!...

ადვოკატი (მარტო)

ამდენი ლაპარაკი რომ კაცს არ მოწყინდეს, გაგონილა?! მთელი დღე მთხოვნელებთან ქაქანებს და მაინც ვერა ძღება ლაპარაკით, მოდის და აქაც მაწუხებს! ეს რა სნეულებაა?! ვგონებ სადღაც ქადაგათა მჯდარა... (შემოდის მოხუცებული აზნაური).

მოხუცი (მიწამდი თავს უკრავს)

ბატონი ჩემი აცოცხლა ღმერთმა!

ადვოკატი

გმადლობთ! ღმერთმა ნუ მოგვიშალოს თქვენი თავი! დაბძანდით!

მოხუცი

რატომ იკადრებთ, შენი ჭირიმე!... გიახლებით. (ჯდება. სიჩუმეა) როგორ მშვიდობით ბძანდებით, ჩემო ხელმწიფე, ბატონო?

ადვოკატი

გმადლობთ!... თქვენ ვინა ბრძანდებით?

მოხუცი

თქვენი მონა მოსამსახურე.—ბრეგვაძე გახლავართ, ჩემო ბატონო!

ადვოკატი

რა საქმე გაქვთ? ხომ საქმეზე ბრძანდებით?

მოხუცი

გახლავთ ცოტაოდენი საქმეც.—მე, ჩემო ბატონო, ისეც უნდა გხლებოდით თქვენი ბრწყინვალების სანახავათ, უსაქმურათაც, მაგრამ ღმერთმან ჰკითხოს ჩემს უძლურებას.... (ცოტა ხანს შემდეგ) დედა თქვენი და მამა თქვენი ხომ მშვიდობით სუფევენ?

ადვოკატი

გმადლობთ! გახლავან ისინიცა.

მოხუცი

კეთილი. თქვენი დები, თქვენი ძმები, როგორ ბძანდებიან?

ადვოკატი

გმადლობთ! ისინიც კარგათ გახლავან. თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, საქმე თუ რამე გაქვთ, მიბძანეთ, თორემ ამდენი დროც აღარა მაქვს.

მოხუცი

მოგახსენებთ კი, შენი ჭირიმე, მისი რიგიც ვიცით! (ცოტა ხნის შემდეგ) თქვენი ბატონი მეუღლე ჯ შვილებიც ხომ ღვთის მადლით ბედნიერათ სუფევენ?

ადვოკატი

გმადლობთ, უმადლობთ!...

მოხუცი

ხომ კი გყავსთ ბატონო, ცოლ-შვილი?

ადვოკატი (სიცილით)

როგორ არა!...

მოხუცი

კეთილი! ისემც კარგი დაგემართოსთ!... ბედნიერი ბძანდებით, კარგი ცოლ-შვილი გყავთ, ღმერთმა ნუ მოგიშალოს მათი თავი და...

ადვოკატი

ბატონო, თუ საქმე გაქვთ მიბძანეთ!...

მოხუცი

მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, იმასაც თავის დრო ექნება!

ადვოკატი (მარტო)

ამდენი ლაპარაკი რომ კაცს არ მოწყინდეს, გაგონილა?! მთელი დღე მთხოვნელებთან ქაქანებს და მაინც ვერა ძღება ლაპარაკით, მოდის და აქაც მაწუხებს! ეს რა სნეულებაა?! ვგონებ სადღაც ქადაგათა მჯდარა... (შემოდის მოხუცებული აზნაური).

მოხუცი (მიწამდი თავს უკრავს)

ბატონი ჩემი აცოცხლა ღმერთმა!

ადვოკატი

გმადლობთ! ღმერთმა ნუ მოგვიშალოს თქვენი თავი! დაბძანდით!

მოხუცი

რატომ იკადრებთ, შენი ჭირიმე!... გიახლებით. (ჯდება. სიჩუმეა) როგორ მშვიდობით ბძანდებით, ჩემო ხელმწიფე, ბატონო?

ადვოკატი

გმადლობთ!... თქვენ ვინა ბრძანდებით?

მოხუცი

თქვენი მონა მოსამსახურე.—ბრეგვაძე გახლავართ, ჩემო ბატონო!

ადვოკატი

რა საქმე გაქვთ? ხომ საქმეზე ბრძანდებით?

მოხუცი

გახლავთ ცოტაოდენი საქმეც.—მე, ჩემო ბატონო, ისეც უნდა გხლებოდით თქვენი ბრწყინვალების სანახავათ, უსაქმურათაც, მაგრამ ღმერთმან ჰკითხოს ჩემს უძლურებას.... (ცოტა ხანს შემდეგ) დედა თქვენი და მამა თქვენი ხომ მშვიდობით სუფევენ?

ადვოკატი

გმადლობთ! გახლავან ისინიცა.

მოხუცი

კეთილი. თქვენი დები, თქვენი ძმები, როგორ ბძანდებიან?

ადვოკატი

გმადლობთ! ისინიც კარგათ გახლავან. თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, საქმე თუ რამე გაქვთ, მიბძანეთ, თორემ ამდენი დროც აღარა მაქვს.

მოხუცი

მოგახსენებთ კი, შენი ჭირიმე, მისი რიგიც ვიცით! (ცოტა ხნის შემდეგ) თქვენი ბატონი მეუღლე ლ შვილებიც ხომ ღვთის მადლით ბედნიერათ სუფევენ?

ადვოკატი

გმადლობთ, გმადლობთ!...

მოხუცი

ხომ კი გყავსთ ბატონო, ცოლ-შვილი?

ადვოკატი (სიცილით)

როგორ არა!...

მოხუცი

კეთილი! ისემც კარგი დაგემართოსთ!... ბედნიერი ბძანდებით, კარგი ცოლ-შვილი გყავთ, ღმერთმა ნუ მოგიშალოს მათი თავი და...

ადვოკატი

ბატონო, თუ საქმე გაქვთ მიბძანეთ!...

მოხუცი

მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, იმასაც თავის დრო ექნება!

ადვოკატი

კი, ბატონო, მაგრამ მე არ მაქვს შაგოდენი დრო!

მოხუცი

მოგახსენებთ. ჯერ მინდა თავი გაგაცნოთ: მე თქვენ ვერ მიცნობთ, თორემ მამა თქვენი დიდი მწყალობელი გახლავთ ჩემი. იმდენი წელიწადი თქვენ გასძელით, რამდენი ყანწი ღვინო თქვენს ღამის თევაში ჩვენ სირისკუდზედ დავლიეთ! თხუთმეტი ღამე გავათენეთ მოლხენით!... იმდენი სიცოცხლე თქვენ, რამდენი ცხონებულმა თინათინ გამდელმა ჩვენ გვაცინა!... მან ხომ სახელის დამახსოვრება არ იცოდა და მე ბრეგვაძის მაგიერ ბრეხვაძეს მეძახდა და ვიხოცებოდით სიცილით!... ძალიან მოლხენაში გახლდით... ერთობ! ერთობ!

ადვოკ.

კარგია ძველი ამბების მოგონება, როცა კი უსაქმურათ არის და...

მოხუცი

ისემც კარგი დაგემართოს!... ცხონებული ბებია თქვენი რა გახარებული იყო, თავზე რომ დაგჩერებოდათ და კიდევაც ემართლებოდა: თქვენმა სიცოცხლემ, ბევრს მოვსწრებივარ და თქვენისთანა მშვენიერი ყმაწვილი ამ ჩემს თვალის კაკლებს არ უნახავს!... მაშინვე გეტყობოდათ, რომ დიდი კაცი შეიქნებოდით!... კი, ჭეშმარიტად!...

ადვოკატი (ვითომ იცინის)

ჰო! აწ სხვა შიბძანეთ რამე, რაღა მოსაგონია ეგეები?

მოხუცი

ოჰ, თქვენმა სიცოცხლემ, ღირს მოსაგონათ კი არა, დაუვიწყარი საქმეა! იმე, დიდება შენს სახელს ღმერთო!

ამ ხელა იყავი (ხელით აჩვენებს) და ყვიროდი: „აღუ, აღუ!“ ვინ იფიქრებდა, თუ ერთ დროს მე თქვენ მოგეხვევოდით მუხლებზე და თქვენი წყალობით საქმეს გავირიგებდი!..

ადვოკატი (სიცილით)

ჯერ რა იცით, გაგირიგებთ თუ არა? ეგება ვერ გაგირიგოთ!...

მოხუცი

აჰ, მაგას ნუ მიბრძანებთ, ღმერთი გადღეგრძელებსთ! რაკი ღმერთმა თქვენისთანა კაცი კი მომაგნებია...

ადვოკატი

მაშ მიბძანეთ, რაში მდგომარეობს თქვენი საქმე? რამ გაგსარჯათ?

მოხუცი (ახველებს)

მოგახსენებთ, შენი ჭირიმე. (ზეზე წამოდგება და ათვალიერებს იქით-აქეთ) თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, საიდუმლოა და მეორე ოთახში გავიდეთ.

ადვოკატი

რა საჭიროა, არც არავინ აქ არის ამ ოთახში და არც არავინ იქ, ორივე ცალიერია და სულ ერთი არ არის, სადაც უნდა მითხრათ? ვერავინ გაიგებს.

მოხუცი

კი, ბატონო, მაგრამ იმ ოთახში უფრო შოხერხებული იქნება!

ადვოკატი

უკაცრავათ, მაგრამ საქმის ოთახათ ესა მაქვს დანიშნული და აქ ბრძანეთ!

მოხუცი

რა გაეწყობა!... (მიხედ-მოიხედავს) თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, ეს ისეთი საიდუმლოა, რომ საჭიროა ჩვენს

მეტმა არ იცოდეს სხვამ და, თუ შეიძლებოდეს, ჯერ შემომფიცეთ!

ადვოკატი

როგორ თუ შემოგფიცოთ?! რაზე უნდა შემოგფიცოთ! ეგ სად გაგონილა?!

მოხუცი

უკაცრავათ ნუ ვიქნები და ხუთიც დამიფიცებია ადვოკატი ხატზე, მაგრამ თქვენ ვერ შემოგკადრებთ იმ ფიცს და იმ ხატს, ე. ი. წმიდა გიორგის! თქვენ სხვა ფიცსაც დაგჯერდებით, ე. ი. ჩესტნი სლოვას, ხატზე თუ სიტყვას მომცემთ...

ადვოკატი (იცინის)

თუმცა სხვას კი არ გავაბედვინებდი, მაგრამ, თქვენს მოხუცებულობას ვდებ პატივს და ამასთანაც, რადგანაც ჩემი ღამის მთეველი ბრძანებულხართ, გეთანხმებით: მე გამიწყრეს ჩესტნი სლოვას ხატის მადლი, თუ თქვენი საიდუმლო გაგამხილოთ!... ახლა ბრძანეთ.

მოხუცი

ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ, ჩემო დიდო ხელმწიფევ, ბატონო!... მე, ბატონო, ერთი გიჟი ძმა მყავდა, ეს თორმეტი წელიწადია, რაც რუსეთში იყო პოლკში; ჩვენ თითქმის გადავიწყებულიცა გვყავდა, შარშან ჩამოვიდა და ახლა მამულს მედავება!...

ადვოკატი

როგორ თუ გედავება? თორმეტი წლის შემოსავლის წილს თუ რას?

მოხუცი

არა, ბატონო, მაგას რავა მთხოვს! მამული გამიყავიო!

ადვოკატი

მერე რას ეუბნებით?

მოხუცი

არ მინდა რომ მივცე ღვთის და თქვენის წყალობით!

ადვოკატი

რათა? განა მკვიდრი ძმა არ არის?

მოხუცი

კი, ბატონო, მაგრამ მაინც არ მივცემ, თუ თქვენც მწყალობელი მეყოლეთ!

ადვოკატი

რას ემართლებით?

მოხუცი

როგორ რას ვემართლები, შენი ჭირიმე? თორმეტი წელიწადია ჩემი საკუთრება მეგონა, შევეჩვიე და ახლა კი გული როგორ დავიწყვიტო, ცოდვა ვარ!

ადვოკატი

ის კი განა არ არის საცოდავი?

მოხუცი

ის რათ იქნება, შენიჭირიმე, იმან რუსული ლაპარაკი იცის!

ადვოკატი

მერე რა გაარიგოს იმ რუსულით? შეწვას თუ მოხარშოს?

მოხუცი

მაგას ნუ ბრძანებთ!... ნეტარ, თქვენი კარგათ ყოფნით, ის ვიცოდე და კვირაში ერთი ჯერის მეტს არა ვჭამ!

ადვოკატი

იმასაც პარასკეობით მხოლოთ—განა?

მოხუცი

აგრე იქნება, შენ ჭირიმე!... ახლა რას ბძანებთ, შენი ჭირიმე?

ადვოკატი

იმას, რომ კანონის წინააღმდეგი საქმე გიფიქრიათ.

მოხუცი

კანონით რომ ის მართალია, ეგ მეც ვიცი, მაგრამ თქვენისთანა სწავლული ატუნკატი, როგორც იქნება მოაკვარაჭინებს საქმეს სხვებ...

ადვოკატი

ვერა, მგონია! ტყუილათ ნუ ჰფიქრობთ!... ძმას უფლება აქვს....

მოხუცი

კი, ბატონო, მაგრამ აი ახლა რა უნდა მოგახსენოთ (მიიწევს სკამს და საიდუმლო ხმით): იმ ჩემ ძმას მეტრიჩევი არა აქვს და მე ქალალდს შევიტან, რომ უკანონო შვილია-მეთქი და, თუ საჭირო იქნება ამის დამტკიცება, იმასაც მოვახერხებ.

ადვოკატი

როგორ?! როგორ?!

მოხუცი

• როგორ და ბარემ თორმეტი კაცი და ერთი მღვდელიც მზათა მყავს: დაიფიცებენ, რომ უკანონო შვილიაო და მაშინ ხომ მოვიგებ საქმეს?

ადვოკატი

უკაცრავათ, მაგრამ მაგგვარ საქმეს მე ხელს არ მოვკიდებ! ეგ ძალიან უკანონო და უსინდისო საქმეა!...

მოხუცი

კი, ბატონო, უკანონო რომ გახლავთ, მიტომაც გიახელით თქვენისთანა ატუკანტთან, თორემ მართალ საქმეზე რალა ატუნკატი მეჭირვება?

ადვოკატი

მე არ ავიღებ მაგ საქმეს!...

მოხუცი

რატომ, ჩემო ხელმწიფევ? ხელცალიერი კი ნუ გგონივართ, აი ესეც თქვენი გასამრჯელო ამ თავით და მერე სხვა იყოს, აქ ოცი თუმანია.

ადვოკატი

სხვასთან მიბრძანდით, მე კი არაფრის გულისათვის არ მოვკიდებ ხელს მაგგვარ საქმეს!...

მოხუცი

აბა, შე დალოცვილო, ტყვილათ გვიხარია თქვენი გამოზრდა?

ადვოკატი

ეგ თქვენ იცით, მაგრამ მე კი მაგგვარ საქმეში არ გავერევი.

მოხუცი

თქვენი ნება გახლავთ!... სხვები პირ აქეთაც შემეხვეწებიან. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! უკაცრავათ, რომ თავი შეგაწყინეთ!

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ.

მთა-წმინდა ჩათიქრებულა,
შეჭუურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჭვენს
თავდადებულის სთელავსა.

—

დადუმებულა მთა-წმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

—

მთა-წმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამა დავითსა ვეედრებს,
ანარებს ქვეყნის მოუვარეს...

—

მგოსანი გრძნობა მორევით
თვალს ავლებს არე-მარესა
და გულის ბასუხს ნარნარათ
უმღერის ტურფა მხარესა:

—

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალთ შემეყარეო!...

—

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვდვარეო,
წამძღია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუ ვუარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელ-ახლათ გამიხარეო!...

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკდები,
შენზედვე მგლოვიარეო!...

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ;
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!...“

ROSTOMI

(ზღაპარი, ხიზაბავრაში ნაამბობი ბერნადეთ სოლომანასაგან და ჩაწერილი მესხი კონსტანტინე გვარამაძისაგან).

ჩვენს ქვეყანაში ძველათ ბევრი მდევები გადმოცვინულან არაბეთიდან და კაცობრიობას ანელებდენ თურმე: ვინც კი შეხვდებოდათ,—ხოცდენ. ცოტა არ იყოს, ასეთი შემთხვევისაგან კაცობრიობა თხელდებოდა. ადამიანთა შორის, მართალია, კარგი, გამორჩეული ბიჭები იბრძოდენ მდევების წინაამღდეგ, რომელთაც ყაჭრიმები (მძლავრი) ერქვათ, მარა მდევების სიმრავლეს და სიძლიერეს თავს ვერ მოსდიოდენ და ამიტომაც დიდი შეწუხება ეყენათ ადამიანთა. აი, ამ დროებში დაიბადა და გაიზარდა როსტომი, რომლის სიძლიერეს ვერაფერი უდგებოდა წინ. ეს კაცი იყო მეტათ მაღალი და შეხედული, როგორც გოლიათი; იყო ძლიერი, როგორც მდევი,—მდევი რა უნდა ყოფილიყო მასთან?! რომელ მდევსაც კი ხელს მოჰკიდებდა, პანტასავით ისროდა ხოლმე. როსტომი სიარულის დროს მიწას ანძრევდა, სუნთქვის დროს მახლობელს ადამიანს ქარსავით დაუბერავდა ხოლმე, რო დაახველებდა, ახლო მდგომარე ადამიანს წააქცევდა ხოლმე.

გავიდა როსტომ ბრძოლის ველზე მარტოთ მარტო. ქაჭრიმები კი დაითხოვა. გაურია ჟიჟინა მდევებს! ასეთი დღე დაყენა, რო სულ ნაცარ-მტვრათ გახადა. მდევები უფრო და უფრო შეცხარდენ და, ერთი ორათ გაბრაზებულნი, თავ-განწირულნი, ეძლეოდენ როსტომის ხმალსა.

როსტომი შვიდ თვეს იყო ბრძოლის ველზე, შემდეგ-კი შეისვენა და წავიდა სახლში ახალ მოყვანილი ცოლის სანახავათ. ცოლი ორსულათ დახვდა. როსტომმა ბებია ქალებს უთხრა: „ჩემი შვილი როცა დაიბადება, აწონეთ, შვიდი ოყა თუ გამოვიდეს, კარგათ მოუარეთ და აზარდეთ, რადგანც როსტომის გვარისა იქნება ⸗ თუ შვიდ ოყას მოაკლდეს, ის ბუში იქნება ⸗ წყალში გადააგდეთო“. ამასაც გიბარებთ: იქნება დამაგვიანდეს რამდენიმე წელიწადსა და რო გაიზარდოს ⸗ შეიძლოს გამომიგზავნეთ ჩემი შვილი სანახავათო; შუბლზე წარწერით ქაღალდი მიაკარით, რო ვიცნა და არ შემომამარცხდესო“. რავდენიმე დღის შემდეგ გასწია საბრძოლელათ. როსტომს ვაჟი შვილი დაებადა. აწონეს ⸗ მართლაც შვიდი ოყა გამოვიდა. დაუწყეს როსტომის შვილს ზრდა. ის მამასავით ზორბა და საკვირველი მძლავრი რამ იყო. რომ გახდა თორმეტი წლის, როსტომისაებრ შეხედულობა და თითქმის ძალ-ღონე მიეცა. ყმაწვილმა მოინდომა მამის ნახვა. დედამაც არ დაუშალა. შეაბა შუბლზე წარწერილი ქაღალდი: „როსტომ ნიშანი“ და გაუშვა. ბევრი იარა, თუ ცოტა, ეს ყმაწვილი მიადგა ერთი დედაბერის სახლს. დედაბერი მდევებისა იყო. ეშმაკობით უთხრა დედაბერმა ამ ყმაწვილს: „შუბლიდან ქაღალდი აიძრე და მარჯვენა ღლიაში შეიკიდე, რომ მდევებმა არ გიცნონ ⸗ არ გაგაფუჭონო“. ყმაწვილი შეცდა, დაუჯერა, მოიხსნა როსტომ ნიშანი და მარჯვენა ღლიის ქვეშ დამალა.

რომ მივიდა ბრძოლის ველზედ, გაცხარებული იყო ბრძოლა. ყმაწვილმა დაინახა მძლავრი, გამარჯვებული როსტომი, რომელიც პანტასავით სროლილობდა მდევებსა. იფიქრა, ის იქნება მამაჩემიო და მიაშურა მას.

როსტომმა რა იცოდა, თუ მისი შვილი იყო და მისვლისა-
თანავე შეეჭიდა. იბრძოლეს ბევრი და ბოლოს შვილმა
მამა დასცა, მაგრამ როსტომს ხმალი ჰქონდა, იძრო
ქვევიდან და ბეჭებში გაუყარა. მაშინ შვილმა სიმწრით
წამოიძახა:

„შენ, ბერო კაცო, რათ მოგკალ,
ხმალი შემოგდე ვადამდი!
შენ, მამა ჩემსა როსტომსა
სად დაემალვი სადამდი?
ზღვას შეხვალ, ზღვას შემოგუვებს,
ხმელეთ სადღა დაემალვი?!“

მაშინ როსტომმა სასწრაფოთ მისძახა:

— „შე, კახპა დიაცის შვილო,
სად არის როსტომ ნიშანი?!“

მაშინ მომაკვდავმა ტირილით უპასუხა:

— „ასწიე მარჯვენა მხარი,
იქ არის როსტომ ნიშანი!“

მართლაც მკვდარსავით მიგდებულ შვილს როსტომ-
მა აუწია მარჯვენა მხარი და ნახა როსტომ ნიშანი.
მოერია თვალზე ცრემლი და დაიწყო ტირილი.

დაუძახა კაცებს და წააყვანინა შინ. რა მიიყვანეს
კარებზე,— დედას კაცი შეუვიდა და შესძახა:

„როსტომის ცოლო, ბარბალე,
ბერი კაქვს ჭინჭარისაო,
საუკარელ შვილი მოგიკლეს,
რათ არ ჩამოხვალ ძირსაო!“

ამის გამგონე დედა გამოვარდა კარში და, რა ნახა
მამა მისის კალთაში მიყრუდნული შვილი, იყვირა და
მივარდა, მაგრამ როსტომმა არ მიუშვა.

მომაკვდავმა დააპირა წამოდგომა და მისვლა დედისაკენ, მაგრამ მამამ მაგრათ მიიკრა გულზე. ეუბნება შვილი როსტომს:

— გამიშვი, შენსა მზესაო!
— „მე შენ ვერსად ვერ გაგიშვებ,
ვერ გავატინებ მტერსაო!
ერთმანეთის გადახვევით
სული შევსწიროთ დმერთსაო!“

როსტომმა მაშინათვე კაცი გაგზავნა უკვდავების წყლის მოსატანათ, რომლის გაბანით შვილი განიკურნებოდა. თვითონ-კი შვილი სახლში აიყვანა და დააწვინა სარეცელზე.

უკვდავების წყალი რომ მოჰქონდათ, გზაში ერთი დედაბერი დახვდა და უთხრა მომტანსა: „როსტომმა ქვეყანა დააქცია და გინდათ, რომ დაქცეულიც მის შვილს დარჩეს და დაიპყრას?!“ გამოართვა ბოთლი და დაუქცია. ამასობაში როსტომს შეუწუხდა მომაკვდავი შვილი. მოიკითხა წამალი, მაგრამ წამალი დაქცეული იყო და იმედი-კი არსაიდან ჩნდა. მომაკვდავმა მალე დალია სული მამის გულზე.

როსტომი შვილის სიკვდილის შემდეგ მოტყდა. უწინდელი ძალ-ღონე აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც-კი გამარჯვებული იყო ხოლმე მტერზე.

როსტომი მესამეთ წავიდა ბრძოლის ველზე. თუმცა უწინდურებ არა, მაგრამ არც ახლა იყო სუსტათ.

ერთხელ როსტომმა ჩვეულებრივათ გასწია მთაზე დასაძინებლათ. მდევებმა მოიალაპარაკეს: „როსტომი მგლოვიარეა შვილზე, ძილი ღრმა ექნება. დავიდეთ და მძინარე მოვკლათო“. ამ აზრით დარჩეული მდევები მიადგენ მთასა, რომ დაუახლოვდენ, შორით დაინახეს ნასუნთქი, რომელიც

ჰაერში შადრევანივით ადიოდა. ამან ძალიან დააფიქრა მოღალატე მტრები: ამას ძალა კიდევ ჰქონია, რომ ცოცხლათ და ძლიერათ სუნთქავსო. დაბრუნდენ უკან და მოილაპარაკეს, რომ მთა ავთხაროთ, ავიღოთ და კლდეზე გადავაგდოთო. მართლაც დაესივნენ ათასობით, საჩქაროთ ათხარეს და გაიდვეს მხრებზე და გასწიეს კლდისკენ გადასაგდებათ. როსტომს გამოელვიძა, რომ მიჰყავდათ, მიხვდა, რომ კლდეზე უნდა გადაეგდოთ და დაიძახა:

„კლდეზე თუ გადამაგდეს,
სულიმ მეკეთების,
და თუ ზღვაში ჩამაგდეს,
სულიმ წამიწუდების“.

მდევებმა გაიგონეს ეს და კლდიდან შეუქციეს გზა და ზღვისკენ წაიყვანეს. როსტომს ძალიან გაეხარდა ზღვაში ჩაგდება. სანამდინ მიიყვანდენ, ტანისამოსი გაიძრო, პერანგზე ხმალი ფადიკიდა და მოემზადა ზღვაში შესაცურებლათ. მიიყვანეს, გადააგდეს და გახარებულნი დაბრუნდენ. როსტომ შეუერთდა ზღვას.

დიდება და მადლი ღმერთსა,
როსტომ გადაჯდეს ზღვასა,
ცალი ხელით მოცურავდა,
ცალი ხელით იქნევს ხმალსა.
ზღვაში ცურვით გამოვიდა,
ხმელეთს გადაავლებს თვალსა,
სადაც დუშმანსა შეხვდება,
მუშტით უმტვრევს უფალსა თავსა.

ადგა და ბრძოლის ველისკენ გასწია სიკვდილს გადარჩენილმა როსტომმა. მივიდა ჩუმათ და ნახა, რომ მრავალ ჟამიერს იძახიან მდევები, რომელთაც ზღვას შეერთეს როსტომი და თავიანთ აზრში დაახრჩვეს და სი-

ცოცხლე შეისვენეს. „როსტომის სუნთქვაზე ზოგიერთი მიხვდა, რომ აქ როსტომი უნდა იყოსო. ზოგი შექეიფრანებულები-კი დასცინოდენ: რა სულ როსტომი გეზმანებათო!?

როსტომმა მიუგზავნა წვეულთ: პური მაჭამეთო, პური მოუტანეს. როსტომმა იცოტავა და შემდეგ გოდრიც მიუტანეს. რა კაციაო,— იკითხეს დაცინვით და გაუგზავნეს კაცი. როსტომმა კი შემუთვალა: „სომეხი პეტროსა ვარ, ვირები დავკარგე ⸗ ვეძებო“. ამაზე წამოცვინდენ ყველანი — ვნახოთ რა ნაირი პეტროსა არისო. რომ გამოვიდენ სამასხაროთ, როსტომმა გაშალა ხელი და ელეთ-მელეთი მიჰგვარა წვეულებს, რომელნიც სულ გადაიკარგენ.

მდევები შეგროვდენ ერთად, გაგზავნეს გამოცდილი და ნასწავლი მდევი შემდეგი სიტყვებით: „დაგვეხსენი ბრძოლასა, ჩვენც დაგეხსნებით ადამიანთა ხოცვასა; რა პირობაც გსურდეს, იმ პირობით ჩვენც დაგემონებითო“.

როსტომმა ამის პასუხათ შეუთვალა: „თუ გსურთ მოსვენება, წადით თქვენ ყველანი შავი ზღვის კუნძულზე საცხოვრებლათ, ოღონდ აქ არვინ დარჩეთ, მე მაშინ აღარ გერჩით; ისიც უნდა იცოდეთ, რომ ხარჯი მე უნდა მაძლიოთო.“ მდევები დათანხმდენ როსტომს ასეთ პირობაზე, სიჩქარითვე გადასახლდენ ნაჩვენებ ადგილზე და ხარჯსაც აძლევდენ.

ამის შემდეგ როსტომი დაბრუნდა შინ შესასვენებლათ. ამბობდა თავისთვის: „ღმერთმა ახლა მომცა დრო შესვენების ამ სიბერის დროსა და მადლი ჩემ გამჩენსაო.“

როსტომს მეტათ ანჩხლი ცოლი ჰყავდა, და მისმა სიანჩხლემ ერთიანათ დააბერა გმირი როსტომი. ეტყოდა საყვედურით ცოლი ქმარსა: „შენს სიცოცხლეში რა

ჰქენი? ამოდენა სიცოცხლე მდევების ხოცვას მოანდომე
და ნეტავი რა ბატონობა მიიღეო?“.

როსტომ თქვა: როსტომ არა ვარ,
არცა როსტომის გვარისა,—
ერთი მოდაშკრე კაცი ვარ,
უკან მდევნელი ჯარისა.
როსტომ თქვა: დედა-კაცისა,
ჭკუა არა მექებისა:
ცხრა ნაწნავ ჯაჭვით დავაბა,
ასწუვეტს და გაიქცევისა,
დღეს შენია და ხვალ სხვისი.
ბირში მოგეფერებისა

ხალხური ლექსები

ადამ და ევა.

(ხიზაბავრაში ჩაწერილი კ. გვარამაძისაგან).

პირველ გამჩენელმა ღმერთმა
ადამ, ევა გააჩინა,
უკდავების ბაღი მისცა,
ორნივ ერთათ დაადგინა.
ყოვლად ერთი სიტყვა ჰკადრა,
ადვილი შესაძლებელი:
„ერთი ხიდან იშლებოდეთ,
ჭამეთ დანარჩენი ხილი;
თუ გატეხეთ ეს ბძანება,
შევიქმნები თქვენთვის ძნელი“.
დაუშვენა ეს ქვეყანა
მზე, მთვარე, ვარსკვლავებითა,
დაუმონა ყველა მხეცნი,
პირთა ულოკეს ფეხები:
გველმა ლაპარაკი უწყო,
ეშმაკი ეტყვის ლექსებსა.
ევას უთხრა: „ხილი ჭამე,
შენც უფალთან დაბძანდები“.
ადამს შეთხოვა ევამა:
„მოდი ეს, ხილი ვჭამოთო,
აგვეხილება თვალები“
— არ შემიძლიან—მან უთხრა,
ვერ შევეხები მაგ ხილსა.

ევა ამაზე დაღონდა,
ცრემლი მოედინა პირსა.
— შენი სიყვარული ჩემთან
ცუდი ყოფილა ამ წამსა!...
ადამმა ხათრის გულისთვის
კრეფა დაუწყო ამ ხილსა.
ეს რომ ჭამეს, გაეხადათ
დარჩენ უპერანგ ტიტვლები;
ზეცით ღმერთი მოევლინა:
— ადამ, ადამ, სად იქნები?
—ტიტველი დავრჩი, უფალო,
ბალახებში ვიმალები!
— არ იქნას, თუ გატეხილი
ყოველი ჩემი ბძანება!
— ამ ცუდმა ქალმა მაცდინა,
გამატეხინა ბძანება.
ევა გადგა ჰინქერზეა (უარზეა),
მე სულ არა მაქვს ბრალები:
გველმა გვაცდინა, ეშმაკმა,
ის იყო შურის ჩამგდები.
დასწყევლა გველ, მიწას აგდო:
„არ აგეხილოს თვალები,
რა ცხოველმაც დაგინახოს,
სულ თვალებში ემკვლელები,
შავი ქვითა და ლოდითა
გიმუსრონ ყველამ თავები,
მიწა იყოს შენ საჭმელი
და ვერც იმით გაძღებოდე!“
გაბრუნდა და ევას უთხრა:
„ბრალიერად ისახები;

შენი ქმარის ხელ ქვეითმ
სიკვდილამდი იწერები.
ზედ დაგიყენამ სიკვდილსა,
სადაც რომ იყო, მოკვდები.
თუ გინდა იყვე მზის შუქი,
შავი მიწის ქვეშ იქცევი,
მიწიდან ხარ გაჩენილი,
ისევ მიწათ გადიქცევი!“
მობრუნდა და ადამს უთხრა:
„გაგიფუჭდა სალმობანი,
კუროს თავი და ეკალი
ამოგივიდეს ყანებში!
სიმწუხრითა პური ჭამო,
ბოლოს სიმწარით მოკვდები!“
დაუძახა ქერაბინთა,
ხელში მისცა მახვილები:
„ადამს ნული შემოუშვებთ,
არ ანახოთ მდინარები;
ველარ ნახოს უკდავება,
ვერცა უკდავი ბაღები;
შეეხვეწეთ უფალს ღმერთსა,
ადამს აჩუქოს ბრალები“.

(ველიჯანათ მართას ნაამბობი)

— იგი მთით გადმამათხოვეს
პატარა პატარ-ქალაო;
მზითევი გამომატანეს:
მაღლა ტყე, დაბლა ჭალაო.
დეთი, დეთი, არა დეთი,

რუისი და შაქარეთი,
ატენს წყალი, გორს წისქვილი,
ქალაქს სამი პირი ცხვარი.
თან მეცხვარე გამატანეს,
ულვაშ კოკობი ვაჟია,
მოახლეთ გამოატანეს
ძუძუ კოკობა ქალია;
მუშათ გამგზანეს ჭალაში,
ჩამიწყეს ოქროს ჯამია;
ლერწამს წამოვკარ ფეხია,
გავტეხე ოქროს ჯამია.
ყველას მივართვი, მოვართვი,
ქმარსა მიმიკლდა ჯამია,
საქრმეული დამბლვერისა:
შენ მომითხარე გვარია!
ამოიღო და გალესა
ორპირი გველის ფხანია,
დაჯდა და ისე ამკეპა,
როგორც ხორაშნის ხმალია,
წამიღო და იქ დამკიდა,
სადაც რომ საყდრის კარია.
ატირა ცხრა რძალ-მძიებსა,
მეათე ბერსა ბერ-ძმასა.

—

სიკვდილსა ქრთამი ვაძლიე
თვალ-მარგალიტი, ლალია,—
არ დაიშალა მე მომკლა,
დაიდვა ჩემი ბრალია.
—სიკვდილო ჯერეთ ნუ მომკლამ,
ახალი ვარ და გენჯია!

სიკვდილს ვერსად ვერ გადვურჩი,
ცხენი არა მყავს ჩქარიო.

—

წამომყე, ლამაზო, წავიდეთ შთასა!
სევდა-სიყვარული დავწეროთ ქვასა.

—

ქართლელი ქალი მოტირის,
ქართლისა შუა გზასაო:
დავზარდე ბევრი წვრილ შვილი,
ველარ გამისხამს ზღვასაო.
იმისი სული კრულია,
რაც ქალი ენდოს ქმარსაო,
კოხტას და ამპარტავანსა,
უწვეროთ ვაჟი-კაცსაო.
წუხელი ლაშქრით მოვიდა
განთიადისა ხანსაო,
ერდოდან ჩამოძახოდა
„რათ არ გამიღებ კარსაო?“
ავდექ, ავანთე სანთელი,
ფიცხლავ მივვარდი კარსაო,
ოქროსა სკამი ვუბოძე:
„დაბძანდი შენსა მზესაო!“
ჩექმის სახდელათ დავუჩოქ,
მუშტი მიღერა ყბასაო!
—„ადე, შე კახპა დიაცო,
რატო გაივლი კარსაო!“
ავდექ და გამოვიარე,
შავათ გევეგზენ კარსაო.
უკუ ვიხედე მომდევდა,
მოაელვებდა ხმალსაო:
—„დაიცა, სად გარბი, ახლავ
თათრულებ მოგჭრი თავსაო!“.

(შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან)

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:
„რა ხელს მოგცემს ჩემი ბრძოლა?
იმისთანა ქამანდს გესვრი,
მოგეწყინოს გვერდზე წოლა.
ისეთ მიჯნურს მოგაშორებ,
ვით შეკრული ვარდის კონა.“

—

კამბეჩის მეხრე ვიყავი,
მეში მეცვა და მეხვია;
ასი მომიკლავს თათარი,
ორასი დამიჩეხია,
არსად რა მითქვამს აქამდინ,
არსად რა დამიკვეხია;
ვაჟკაცს ქალებში მკვეხარსა
თავში დაეცა მეხია!

—

ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ფრანგულზე ხელი გაიკრა,
ჯარი შვიდ პირად დახია.

—

ვერ გაიგევით, ქართველნო,
შეგვეხსნა რკინის კარია!...
მზე გაგვიბრუნდა უკულმა,
ჩავარდა შუა ზღვაშია,
მთვარე დაბნელდა, გაშავდა,
აღარ გვინათებს ცაშია...
ატირდენ წვრილნი ვარსკვლავნი,

ცამაც დაშალა ნამია.
არ გვიფრიალებს დროშები,
არცა ჭექს ზარბაზანია...
— ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა?
გაუხმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არი წილ-ნაყარია.
შვილებს დაუგდო ბეგთარი—
ფხა სისხლიანი ხმალია.

—

ეთერაანთ ქალი ვიყავ,
ჯერეთაანთ პატარძალი;
ჯორის საძებნელათ წაველ,
ხელში დავიჭირე ტარი;
ვენახის ბოლოს ჩავედი,
იქ დამიხვდა რუსის ჯარი;
ერთმა რუსმა დამიჭირა,
მოიხმარა თვისი ძალი,
დავკარ კეტი, გავაგორე—
თურმე იყო „აფიცარი“!

—

მეც ვიცი შევარდენი ხარ,
მაგრამ რომელი ბუდისა?
ნეტა რა დედამ გაგზარდა
ეგრე ფოლადი გულისა?

—

უნდა წავიდე, გავთათრდე,
შენ მენანები, მამულო,
აოხრებულო მტრისაგან,
შვილთაგან დაობლებულო!

იარე, ბიჭო, წავიდეთ,
გზა შევჰკრათ ჩვენი მტრისაო!
ჩამოიევლიან თარეშნი
ურჯულო სხვათა მხრისაო!
ხელთა უჭირავთ თოფები,
თოფები ხვარასნისაო.
დავაყრევინოთ ტყვეები,
მადლიც მოგვხვდება ღვთისაო.

—

ძმაო, მაგ შენსა მომკვლელსა
ირმულად მივეპარები,
თოფსა ვჰკრავ, რხმალსა შემოვჰკრავ,
არც ერთს არ დავემალები!

—

მამულო, შენთვის მოვკვდები,
შენთვის ჩავიცვამ შავსაო,
შენ შამოგწირავ სიცოცხლეს,
შამოგევლები თავსაო!

—

ვაჟკაცსა გული რკინისა,
ხანჯალი თუნდა ხისაო,
მტრებსა უწყვეტდეს სინსილას,
მოყვრებს უწევდეს ლხინსაო!

—

ამილახვრიანთ ბიჭს გავხარ,
შენ, ქალაჩუნა ფხვენელო,
მტერს ვერ დაუხვდი გულადათ,
შენ, გვარის შემარცხვენელო!

—

ეჰი, სესია, სესია,
ხმალი ვერ გაგილესია,

შენ რომ მყუდროდ წამოხვედი,
მე—ჭალა-ჭულა ტყეშია.
მტრის ბელადს წამოვეწიე
იმ ჭალა ეკლიანშია,
დავუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი მარჯვნივ ბეჭშია.
დანარჩენს ხმლითა გადვუხტი,
დავაყრევინე ლეშია.

—

კაცი, ამ ქვეყნათ დევნილი,
ყველგან იშოვნის ბინასო,
უჯობს არაფერს შეუდრკეს,
გული უგავდეს რკინასო!

—

ჩვენი და თქვენი ბიჭობა
უნდა გამოჩნდეს დღესაო,
გათავდეს საქმე იმითი,
რომ სისხლი დაიქცესაო!
ნუ მოგაქვთ თავი მრავლობით,
ზურგზედ აგადენთ მტვერსაო,
რაც რომ თქვენ ჩვენგან წაიღოთ
შინ დააქადეთ ძმებსაო,
ქათიბები დაუცვალეთ
დებსა და პატარძლებსაო!

—

ბატონიშვილო ლევანო,
მარგალიტისა მტევანო!
მად რომ ბიჭი დავიკარგე,
აქ აზრუმს თათარს ვყევარო.
დღისით მიყრია ბორკილი,
ღამით ჯინჯილით ვყევარო...

ლამაზ ლამაზნო ვაჟკაცნო,
სულ ჩემო მოსადევარნო,
შეგროვდით ერთად, წამოდით,
დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო!

—

ჩვენ შვიდთა ძმათა ფშაველთა
მთას ვეფხვი გამოგვეკიდა,
შვიდთა ვესროლეთ თოფები,
მას ერთიც არ მოეკიდა!
ტყორცნა ბიძიამ ისარი,
ვეფხვი კლდეს გადმოეკიდა.

—

რაჯაბარი შეიკაზმა
ჯაჭვითა და ჯინჯილითა:
—„უნდა ქალაქს შემოვერტყა,
ამოვწყვიტო შიმშილითა.“
ეს რომ ერეკლემ გაიგო,
გადაბრუნდა სიცილითა:
—„შენი ერეკლე მოგიკვდეს,
ვერ გაგხეთქო სირბილითა,
განჯა შამოგარბენინო,
დაღისტანი ტირილითა!“
ისე გაუწყვიტა ჯარი,
ერთი მორბის წინწილითა,
შეჭამადი შეუნელა
კოჭითა და პილპილითა.
—„დაჯე, რაჯაბ, პური ჭამე,
არ მომიკვდე შიმშილითა“.
—„რა პურისა მენაღვლება,
კუჭი მტკივა სირბილითა!“

—

ემგის მთა გადმოვიარე,
ხმალი მოვიმარჯვიანე,
ასე ჩამოველ სოფელსა,
ძაღლიც არ შევეხმიანე,
ასე გავაღე ცხრა კლიტე,
ერთიც არ დავაჩხრიალე,
გავსწყვიტე მტერი ქართლისა,
ხანჯალი ავაპრიალე,
არ გამიშვია მოამბე,
სულ ისე გავატიალე!

—

ყარს-აზრუმისა ფაშასა
შემოუთვლია მუქარა.
წავიდეთ, ბიჭო, საომრად,
არვინ დაბრუნდეთ უკანა!
ასე ჩავჩეხოთ თათრები,
როგორც რო მომკილი ყანა!

—

ბარელმა უთხრა მთიულსა:
—„გიძახდით მამლის ყიულსა,
მტერები შემოგვეხვია,
მარტვა ვებრძოდით წყეულსა!
—„გავიგეთ თქვენი ყივილი,
ქვე გავექანეთ ხვეულსა,
გადავუჭერით ყელები
მტრებსა, გაქცეულ-ძლეულსა,
გავჰკაფ-გავმუსრეთ სუყველა,
სისხლში ვახჩობდით წყეულსა!

—

ბარხუდაშვილი გოგია
მტრის დამწურავი ლონეა,
ორშაბათ დილა გათენდა,
მუშა შეჰყარა ბევრია,
წავიდა ყანის სამკალათ,
ძნა დააყუდა სველია;
მხარზე ჰკიდია სიათა,
თავით ბოლომდის ჭრელია,
დაჯდა, ნამგალი გალესა,
ფხაზე აუსვა ცერია,
ტახტის გორს შემოუარა,
იქ შველი შემოჩვევია,
დიდ გუბის ტბაზე მივიდა,
წამოეშალა მტერია!...
მიკუწ-მოკუწა ლეკები,
როგორც წალამი, წკნელია.
ლეკებში ერთი ნაიბი
კოხტა ბელადი ერია,
გოგიას დასცა დამბაჩა,
ზედ მოეკიდა გენია...
გოგიას ასე ჰგონია,
ვითომ რწყილს არ უკბენია!
გოგია დაუტრიალდა,
ვით შევარდენი, ფერია,
გადუდვა თავის სიათა,
ცივათ მოსწყვიტა წელია,
მოუსპო კოხტა-ბელადსა
თავის გმირობის დღენია,
მაგრამ გოგიას ულვაშიც
იმ არე-მარეს ჰფენია...

—

ავდექ და წაველ ტეშია —
სანადიროთა ტყეშია;
ხან მყუდრო-მყუდრო ვიარე,
ხან ჭალა-ჭულა ტყეშია.
მოვიხედე ღორი იწვა,
კუდა იყო და მრეშია;
ჯოხი მხარზე მივიყუდე,
თოფი ავიღე ხელშია,
დავუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი ორივ მხრებშია.
მოშვარდა, კბილი ჩამავლო,
ამ სისქე ბარძაყებშია,
მიველ და დედას შევჩივლე:
— „დედავ, წყლული მაქვს ფეხშია“.
— „შვილო, დედამ რა გიშველოს,
მონადირისა წესია!
ისე მოგქონდა ნადირი,
როგორც მებაღეს ნესვია,
ახლა-კი შენც ჩავარდნილხარ
ნანადირევის ხელშია!...“

—

შამელი გადმოერევა
პირველ მკათათვის დღესაო,
სახლებსა სწვავენ და დაგვენ,
ვაჟკაცებს სჭრიან ყელსაო,
ქალი და რძალი წაასხეს,
გადაუყენეს მთებსაო!...
შერეკენ ერსა საყდარში,
გამოუკეტენ კარსაო.
ბელადი ეუბნებოდა:

„მე გიბელადეთ დღესაო,
საბელადოს გამოგართმევთ,
შიგ ამოვარჩევ ერთსაო“.
შევიდა, გამოარჩია,
ლამეს ანათებს ბნელსაო!
—შენი ჭირიმე, ლამაზო,
ნუ მოიგონებ ძმებსაო,
ყელთამდინ ფულით აგავსებ,
გარს შამოგაყრი ვერცხლსაო!
—შე წყეულო ლეკის შვილო,
ეგ რა სიტყვა მითხარიო?!
აღარ დაინდე ქვეყანა,
არც ბავშვი არცა ქალიო,
ძმებსა დამიჭერ ყელები,
მამას დამიკარ ხმალიო...
როგორ არ მამაგონდება
ვაჟკაცი ჩემი ქმარიო?!

—

წუხელი ვნახე სიზმარი
შენი ვაჟიკაცობისა:
ალის ახალუხი გეცვა,
შიგნით მოვი პერანგისა,
ლამაზათ ცხენზე იჯედი,
მუხლი გქონდა შევარდნისა,
თოფი გეკიდა სიათა,
ტუჩი ქონდა ხორასნისა,
სანადიროთ გასულიყავ,
მტრები გეხოცა ქართლისა.
საყდარში მიბძანდებოდი,
მთებმა დაიწყეს ზიზინი,

მაღალმა ღმერთმა გვიჩვენოს
შენი წითელი გვირგვინი.

იმერული სიმღერა

ნეტა რა დედამ გაგზარდა
ეგეთი მშვენიერიო?
ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი,
ბრძენი და გონიერიო!
გიხდება პტყელი მხარ-ბეჭი,
წვრილი, წერწეტა წელიო,
ტურფა სახეზე თვალ-წარბი,
შავი ულვაში, წვერიო,
მოძმისთვის თავის გაწირვა,
საჭირნახულო დღენიო,
იარალთ ჩაკიპულობა,
ცქვიტი, მფრინავი ცხენიო,
გული ამაყი, ფოლადი,
მკლავი მტრებისა მსვრელიო!
ქვეყნის ორგულის დამსჯელო,
ხარ მათი სისხლის მსმელიო!
ნეტა რა დედამ გაგზარდა
ეგეთი მშვენიერიო?
მოყვარე ღმერთმა გიცოცხლოს
და გაგიწყვიტოს მტერიო!

(გრიგოლ მერკვილაძის ნაამბობი ს. ჭალატყეს—შორაპნის მაზრაში)

ათასი კაცით რეჯება
დაებარგა ნებოს ძირსა.
ციხეს ჯარი შემოადგა,
ბაირაღებს უსკმენ ძირსა;
მეფესთან ჩაფარი მირბის:
„მოგვეხმარე გასაჭირსა“
—„ძმაო არჩილ, მოვეხმაროთ;
ჯერ ძმაა და მერე თვისი“.
არჩილმა წამოიძახა:
„შემიკაზმეთ ბერი კვიცი,
შინაყმებს გადამიძახეთ,
ვინც რომ მყავდეს მარჯვე ბიჭი“.
ერთი გადაჰკრა არჩილმა,
მიეწია ჭარტლის*) ძირში.
ლეკებმა ჟღურტული შეჰქნეს:
„მოგვეწია არჩილ გიჟი,
ყველამ მიწა გავითხაროთ,
ვისაცა გვაქვს დანის ღინწი!“
აწი არჩირმა შესძახა:
—„თქვენი რჯულის საქმე ვიცი!
ზოგს მოგკლავ და ზოგს დაგარჩენ,
ზოგს ღორის ქონს გასხამ ყელში!“
რეჯებამ შამოაგინა
ბატონიშვილს დედა პირში;
ამაზე სროლა შეიქნა,
არჩილ ჩაჯდა შეტათ ფიქრში.

---

*) სოფელია.

ხოსიჯ მაჭავარიანი
შორს დაესწრო გასაჭირში.
აწი ხოსიაც მოვიდა,
მიუხოხდა მუხლის ძირში.
— არ გებრალები, სოსიკო,
დამიკოდეს ბერი კვიცი?
— ნუ გეშინია, ბატონო,
თოფის სროლა მარჯვეთ ვიცი!
გამოუშვა და ესროლა,
შეამტვრია ოქროს ბუშტი.
ბერმა კვიცმა თქვა საბრალომ:
ჯრა იმედს მეუბნებოდი?
აღმართში ვიყავ მერანი,
დაღმართში — დავგოგდებოდი,
ასი ზარბაზნის სროლაზე
მე გეტყვი, შეგიფთხებოდი!
სადაც თოფის სროლა იყო,
მე შენი შიშით ვქრებოდი,
ათას მხარ თხრილზე მიგეგდე,
რწყილივით გაგიხტებოდი,
სიპ ქვაზე გეჭენებიე,
შუბივით დავმაგრდებოდი,
ჩირგვნარში გეჭენებიე,
ხეს წვერზე მოვევლებოდი,
თუნდ რომ ავად ვყოფილიყავ,
გვერდზე არ დაგიწვებოდი,
გინდ ზეცას ასულიყავი,
მე იქაც წამოგყვებოდი,
თავ მოძულებით ქვესკნელში
შენზე წინ ჩავვარდებოდი,

სადაც ბრძოლის ველი იყო,—
სულ წინ მე გაგიძღვებოდი.
აწი ნუ ელი ტყუილად
ჩემ სიკვდილიდან შველასო!
მე ვკვდები, ჩემო პატრონო,
აქ გეთხოვები ყველასო.“
არჩილს შეეტყო ცრემლები,
რომ გადმოჩქეფდა თვალსაო.
ტიროდა: „ველარ ვიხილავ
ამ ბერი კვიცის კვალსაო!...
ომში ის უფრო მაძლევდა
მე ხმალ-ჭურჭელზე ძალსაო.
რავარც მე ვივავ, ვერც იმ კვიცს
ვერვინ ნახავდა ფრთხალსაო!...
ახლაც ისე ქნა საბრალომ,
ფარათ მეფარა თავსაო!“
უბრძანე ბიჭებს, ხოსიავ,
ჩემთვის შეკერდენ შავსაო,
მე შავს ჩავიცვამ და იმას
დავმარხავ ახოს ფავსაო.

—

გამარჯვებულსა ციციანს
ერთი რამე ფიქრი აქო,
„ყარსის ციხე არ მინახავს,
მინდა თვალით დავინახო“
ყველმა შემოუთვალა:
„შენ ჩემთან რა ხელი გაქო?!
თუ ჩხუბი არ მოგიშლია,
ტყვია წამალი მრავალი,
ზარბაზნებიც ბევრი მაქო!“

— „მოგიკვდეს შენი ციციანა,
თუ ვერ ნახოს ყარსის ციხე,
მუქარა ვერ შეგანანო,
თუ ვერ დაგაყენოს სიცხე,
მაგ შენი ციხის კარები
შენვე ვერ ჩაგაღებინო,
ღორის ქონით ვერ გაგაძღო,
რჯულიც ვერ დაგაგმობინო,
მაგ შენი ბარგი-ბარხანა
ლაშქარს არ წავაღებინო,
ტახტიდგან არ გადმოგიღო,
თავიც არ გაგაგდებინო!“

მათუსალა

ნუ ეძიებ წელსა ჩემსა,
ვერ მიხდები ანგარიშსა!
თავად მათეს მეძახიან,
მათუსალას ძმასა თვისსა,
ემბროსს ვახდი განუყრელათ,
არ ვნატრიდდი სხვისა ბედსა;
ადამ იყო პაპა ჩემი,
მასა დავრჩი სამი წლისა,
ენუქას და ელიასი
მარწებელ ვიყავ აკვნისა,
ნოეს ხელში ხურო ვიყავ,
მაშენებელ კიდობნისა,
სოდომს ცეცხლი წაეკიდა,
დამსწრე ვიყავ იმ დილისა,
ვინც რომ იქ მიჯნური მყავდა,
ვწუხდი მისთვის — დაიწვისა.

წყლისა რღვნასა მოვესწარი,
წვერი მქონდა გარნა ხისა,
ქრისტეს მოსვლის უწინარეს
ვიყავ სამჯს სამი წლისა.

—

ცა მტკავლით, ციდით ქვეყანა
ნახეთ, თუ გაიზომება?
ზღვა თუ აირწყვის პეშვითა,
ცანიცა განიწონება;
უკლისად ქვიშის აღრიცხვა
მომცემს თუ მოიგონება?
შვიდი ცა მქონდეს ქაღალდათ,
ზღვაც მელნათ, ხენი კალამათ,
ათას წელს გავძლო და მქონდეს
ცა ქუდათ მიწა ქალამნათ,
მზის შუქზე ვრბოდე უდრეკლათ,
ჰაერზე ხელი მეკიდოს,
ლომს ვძლიო—მაინც არ ძალმიძს,
ღვთის საქმეს ხელი მეკიდოს.

—

მეცნიერები გამოჩნდენ,
ცნობას კრიფავდენ ცისასა;
იძიეს, გამოიძიეს:
„დაღამდეს შუა დღისასა“
—ქალებო, ნუ გეშინიათ,
თავი ვიფაროთ მღვდლისასა,
ტაბლებით დასუქებულან,
სათბილოს ჰამენ ცხვრისასა.

—

ხახულმა ჯარი შეჰყარა
მეფე სოლომნის გულისთვის:
— „ვისაც ღმერთი გრწამს, აქ მოდით
ჩვენი სამშობლოს გულისთვის!
ვინცა მოვკვდებით — ვცხონდებით
ჩვენი მამულის გულისთვის.
მეფე მობრძანდა მთაშია,
ხახულს იამა თვალშია,
ფიცხლავ ხმალს ხელი გაიკრა,
შევარდა მტრების ჯარშია.
ხახულს თოფი დაუშინეს,
ვერ მოაწყინეს წარბშია,
მერე შუბებზე ააგეს,
არ ეტეოდა ტანშია...
ერთი ბატონსა შესძახა,
როგორც რომ ლომი მთაშია!
— „მე წავხდი — მტერი წაგიხდეს —
ამ შენს ერთგულობაშია!..
ტკბილია მისთვის სიკვდილი,
ვინც მამულს არ ცვლის სხვაშია!...“
— ვაიმე, ძმაო ხახულო,
ბიჭად ნაქებო ჯარშია...
შენისთანას ვერ ვიშოვნი
აწ ჩემს დროსა და ჟამშია!...

—

კაცი დიდი ლიახვისა,
თოფები აქვსთ ხორასნისა,
მტერს მტრულად დაუხვდებიან,
მოყვარეში ნახვენ ლხინსა.

—

შენ კაი ბიჭს გეძახიან,
მე მეძახიან ლაჩარსა,
შენ გაგვიძეხი სარდლათა,
ჩვენც უკან ვიწყებთ ჩანჩალსა.

—

საქაშეთი რომ აიღეს, —
იყო ორშაბათ დილაო,
ქალები ბევრი წაასხეს
მარიამი და თინაო.
ახალციხეს რომ გავიდენ,
მტრის სარდლებს ჩაეძინაო,
ტყვესა კაცია გმირიძეს
ულვაშში ჩაეცინაო:
მიგლიჯ-მოგლიჯა ჯაჭვები,
ყველა ტყვეს მოელხინაო,
მისცვინდეენ მტრების იარაღს
ერიში მიიტანაო,
თითო მოქნევით სამ-სამსა
კუწავდა, როგორც ჩალაო!
რაც უწინ იმათ დღე ადგათ,
ის მათ მტერს დააყენაო!

—

ჰოი, შენ კი გენაცვალე,
შენი ბასრი ხანჯალ-ხმლისა!
წვერ ულვაში ამოგსვლია,
ჯერ არა ხარ ოცი წლისა!
გიყვარს სამშობლოს მოყვრები,
გამწყვეტი ხარ მათი მტრისა!

—

ვაჟკაცსა ქალაჩუნასა
ქალი სჯობია თმიანი:
მტერსა ვერ უზამს მტრობასა,
ძმას—ძმობას ვაგლახიანი,
გონჯათ იქნება ყველასთან
თავ-ცხვირ-პირ ტალახიანი.

—

ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერია,
არ შეფრთხეს, თუნდა ბუზივით
ეხვიოს თავზედ მტერია,
არ გადიწყვიტოს იმედი,
არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაგმობს და დასწყევლის
მოძმე ერი და ბერია.

—

ვაჟკაცს არ გამოადგება
სოფელ შვენება თავისა,
უნდა მას ხმალი უჭრიდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა.

—

ზოგიერთი ბრიყვი კაცი
ცოლით გაეყრება ძმასა,
ძმა მაშინ მოაგონდება,
როცა ყანას უწყებს მკასა.
როცა თვითონ წყალზე წავა,
ხელაური მიაქვს ქარსა;
უწმაწური მისი ცოლი
კოპით დაიხურავს თავსა,
გაივლის და გამოივლის,
ბიჭებს მოაწონებს თავსა.

ხორველის ლექსი

დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა
ხორველა რომ გააჩინა,
უწინ ქვევიდან შემოჰყვა,
ერთი აღარ დაარჩინა:
ბაყლებს დედა აუტირა,
სასწორში მომტყუებლებსა,
ველარ ნახავდით სოფლებში
ჩვენ მცარცველ კარაპეტებსა.
ერთმა გეურქამ ასე თქვა:
ვიქ ისეთს ოსტატობასო,
ხორველამ ველარ მომაგნოს,
რა გინდ მიწევდეს მტრობასო:
ისეთს ქარვასლას ავაგებ,
ქალაქათ დაფასდესაო,
შვიდი წლის სარჩოს შევიტან
ნუშს, ქიშმიშს, შაქარს ბევრსაო,
ჩავალ და ჩავიკეტები,
ავქოლავ კარს და გზებსაო,
სარკე-ფანჯარას გავაღებ
და დავინახავ მზესაო.
ხორველამ შემოუთვალა:
„აბა მოვდივარ დღესაო!“
მიუხტა შუა ღამისას,
ფანჯარას ჩაუმტვრევსაო,
კისერში ხელსა დასტაცებს,
თხასავით აჩხავლებსაო.
კარგი ამიდი დაუდგათ
ამ მუშა იმერლებსაო,

ისე მოედვენ ვაჭრებსა,
ვით შევარდენი მტრედსაო,
იმათი სახლი, ქონება
სულ შუა გაიყვესაო.

ლექსი საიქიოზე

წაგვიყვანეს საიქიოს
ივანე და ორი სხვანი;
ბეწვის ხიდს რომ მივატანეთ,
შევდექი და შევყოყმავდი,
ბუნებასა დავეკითხე,
მუხლსა მივეც დიდი ძალი,
სამოთხეში გადვიხედე,
ტურფათ ისხდა ქალის ჯარი.
სამი ქალი მომეგება,
სამნივ იყვენ ჩემი დანი,
თასით ღვინო მომაძლიეს:
—„დალიე და ჩქარა წადი!
ქრისტე ღმერთი რომ მობძანდეს,
შენ მიართვი ოქროს სკამი,
ხელის საბანათ აახელ
შვიდ მინა ვარდის წყალი.
ნუ ხარ კაცის მშურებელი,
ნურცა მოძმის მბეზღებელი,
თორემ იქ წაგიყვანებენ,
იქ არიან გამმართლენი“.
მდიდარსა და ცუდის მთქმელსა
შემოარტყეს ცეცხლის ალი,
მალი-მალ წამოიძახებს:

„ვაი, დედა, მომწყდა წელი!“
ვინც გაივლის, ამას ამბობს:
. ვაი შენი სულის ბრალი,
რატომ ღარიბს არ მიეცი
შენი სიყმით მონაგარი?!“
წამოდგა პილწი ეშმაკი,
სატანა და სამყეული:
— „ალაგი შიყავით მეცა,
კუპრით ავადინო ცეცხლი!“
დედ-მამის მეუდიარეს
შიგ წაეყო ენის წვერი,
ამხანაგის მოღალატეს
ყელზე შემოჰკვრია გველი,
მამულისა მოღალატეს
პირში უზის მორიელი!..

—

ორთავ თვალით ბრმა სჯობია,
გრწამდეს ბუნებით ბრმასაო, —
ვით გაზდილი გონებითა —
უსუსურ ქორფა ყრმასაო.

—

ენითა მუნჯი სჯობია
ცუდ მეტყველ-მოუბარსაო,
ათასი მტერი სჯობია
ერთ სულელ მეგობარსაო.

—

იცოდე, კუტი სჯობია
ცუდ გზაზე კაცსა მავალსო,
ქვე მძრომი გველი სჯობია
სამშობლო ქვეყნის მცარავსო.

—

ხმლით დაკოდილი სჯობია
ცუდი ენით დაკოდილსო,
ხალხს ჯალათი ურჩევნია,
დამბეზღებელ, წამხდარს შვილსო.

—

ერის კაცი ბევრათა სჯობს
ზანტსა, ზარმაცსა ხუცესსა,
ნამუსიანი გონჯი სჯობს
ტურფას, ურცხვსა ⁄ უგმეხსა.

—

ჭადის ჭამა გირჩევნოდეს
საყვედურით პურის ჭამას,
მათხოვრისგან გირჩევნოდეს
მდიდრისგან ფეშქაშ-თავაზს.

—

ვითა ნალვლის სმა სჯობია
შხამიან თაფლის სმასაო,
დედ-მამამ შობოს ლეკვები—
სჯობს უნამუსო ქალსაო.

—

ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა
ცოლსა ყბედსა და მძინარეს,
ის მოკლავს ის დააბერებს,
ის შეყრის წყალსა, მდინარეს!

დაბა ხონი

(მასალა შ—სი)

ხონი ერთი უკეთესი დაბათაგანია იმერეთში და არაფრით ჩამოუვარდება ქუთაისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებს. ბუნებისაგან უხვათ დაჯილდოვებული მიწის ნოყიერებით, ცივი და მჩატე წყლით და ჰაერით, ხონი არც ადგილის მდებარეობით ჩამორჩება იმათ. ის მდებარეობს ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრივ ქ. ქუთაისიდან, ოცდა ხუთი ვერსის მანძილზე.

ძველადანვე ზემოხსენებული დაბა წარმოადგენდა ერთად ერთ გზას ზემო სამეგრელოისა და უმეტესი ნაწილი რაჭის სამთავროისათვის. კარგი მდებარეობის შედეგი უნდა იყოს, რომ ხონი გადურჩა ბევრ აოხრებას და მისი სახელი არ აღგვილა დედამიწის ზურგიდან, როგორც ზოგიერთ ჩვენებურ დაბა-ქალაქებს დაემართა. აი, რას წერს ხონის დაარსებაზე და სიძველეზე ბ. ზ. ჭიჭინაძე:

„პროკოპი წერს შემდეგს: ლაზები მხნე, მოგზაურნი, ვაჭარნი და მეომარი ხალხია; ამათ ხშირათ ესხმოდათ მტერები, მაგრამ ესენიც მტერებს კარგათ უხვდებოდენ. ერთხელ ამ ხალხს ეომებოდენ გუნები, ბრძოლა სასტიკი ჰქონდათ, მაგრამ ბოლოს ლაზებმა გაიმარჯვეს. ამ გამარჯვების სამახსოვროთ ლაზებმა ააშენეს კარგი ეკკლესია, წმიდა სტეფანეს სახელობაზე, და ამავე ალაგას დააფუძნეს ქალაქი, რომელსაც სახელათ „ხონო გურისი“ უწოდეს. ზოგიერთი ძველი მემატიანენი ქართველთა და მათ შორის პ. იოსელიანიც წერს, რომ „ხონგურისი“ ხონი უნდა იყო-

სო, რომელსაც სახელი შემდეგ შეეცვალა და დღეს ხონათ იწოდებაო“.

ხონის მნიშვნელოვან ქალაქათ დაარსებას, ბ. ჭიჭინაძე აკუთვნებს 820 წელს.

ჩრდილოეთით ხონს საზღვრავს ს. ს. კონტუათი და საწულუკიძო, სამხრეთით ს. ივანდიდი; აღმოსავლეთით ს. კუხი ⁄ დასავლეთით მდინარე ცხენის-წყალი, თუ არ ჩავთვლით პატარა სოფელ ქარჩხაბს, რომელსაც უფრო მართალი იქნება, რომ ვუწოდოთ ხონის გარეთ უბანი. დაბა შეიცავს ოთხასამდე დუქანს. დუქნები თითქმის ყველა ქვისაა. წინეთ კი აქ სულ ხის დუქნები იყო და ცეცხლი ჩნდებოდა ხშირათ. უკანასკნელათ გადაიწვა ხონის უმეტესი ნაწილი რამდენისამე წლის წინეთ *), რის შემდეგ ხალხი დაშინდა და ხის დუქანს არავინ დგამს. ქუჩები ყველა სწორი და წმინდაა. შენობების წინ გაღმა-გამოღმა გაყვანილია არხები, რომლებშიაც მიჩუხჩუხებს წმინდა და ანკარა წყალი, წოდებული „ცხენის-წყლის შტოთ“. ამ პატარა მდინარის წყალობით ხონელები სასურველ სისუფთავეს იცავენ. ზაფხულში აქ დიდი მტვერი არ იცის, არც ზამთარში ნახავთ დიდ ტალახს. ზემოხსენებული შტო გამოყვანილი იქმნა ეხლანდელი მირაბი ბ. ი. შარაშიძის შრომით და მეცადინეობით, დამთავრდა იგი 1892 წელს ბ. ნ. ნიკოლაძის მონაწილეობით. პარასკეობით ხონში იმართება ბაზრობა, ანუ, როგორც აქ ეძახიან, პარასკეობა. ბაზრობას ესწრებიან ახლო მაზრების და სოფლების მცხოვრებლები. გარეშემო სოფ-

---

*) 1891 წელს 1 იანვარს.

ლებიდან შემოაქვთ გასაყიდათ სოფლის ყოველ გვარი ნაწარმოები: სიმინდი, ფქვილი, ღომი, ყველი, კვერცხი, ხილი და ყოველ გვარი შინაური ფრინველები; შემოჰყავთ აგრეთვე: ცხენი, ძროხა, ხარი, თხა, ცხვარი და ღორი; შემოაქვთ ძაგარი, აბრეშუმი, წინდები, თმა, და სხვა და სხვა გვარი ტანისამოსი. პარასკეობას ესწრება საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენელი. აქ ნახავთ: მეგრელს, გურულს, ქართლელს, ლეჩხუმელს, სვანს და ქობულეთლებს. ბაზრობის ერთ განსაკუთრებულობას ქალების პირის ახვევა შედგენს. რამოდენიმე წელიწადია, რაც ეს ჩვეულება მიატოვეს, მაგრამ უმეტესობა კიდევ იხვევს პირს. ხონის მცხოვრებთათვის პირის ახვევას წმინდა ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, ჩვენი თავად-აზნაურობა რა თვალით უყურებდა ვაჭრობას და ბევრი ეხლაც უყურებს. ბევრ იმათთაგანს შეგნებული არ ჰქონდა, თუ რა ადგილი უჭირავს ცხოვრების წინსვლაში საერთოდ მრეწველობის გაძლიერებას. პირის ახვევა კი ყველას საშუალებას აძლევდა მოძმის გაუკიცხავათ გაეყიდა თავისი ნაწარმოები, ეყიდა საჭირო ნივთი და თვითონ წამოელო სახლში. ამის შედეგი ის არის, რომ ხონის აზნაურობა სხვა იმერელ აზნაურსავით არ დაცემულა ნივთიერათ. ბაზრობას ესწრება ათასიდან სამი ათასამდე შემოსული ხალხი.

ხონში შემდეგი სასწავლებლებია: საოსტატო სემინარია, სახელოსნო სასწავლებელი (ადგილი ნაყიდია და შენობა ჯერ არ აუშენებიათ), ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, ქალთა უფასო ორკლასიანი სკოლა, ქალ-ვაჟთა სამინისტრო სკოლა, სამრევლო ერთკლასიანი, წმიდა გიორგის ტაძართან, სასწავლებელი და სამრევლო

ერთკლასიანი, მაცხოვრის ტაძართან, სკოლა. ზემოხსენებულ სასწავლებლების რიცხვს თუ დააკვირდებით, დარწმუნდებით, რომ ხონი სხვა დაბა-ქალაქებს არ ჩამორჩენია სწავლა-განათლების სიყვარულში. ეხლა განძრახვა აქვთ ორკლასიანი სასწავლებელი ოთხკლასიანათ გადააკეთონ და კერძო გიმნაზია გახსნან, რომლის შესასრულებლათ აქაურ ამორჩეულ პირთა დაადგინეს განაჩენი 1897 წელს და ამორჩეულ კომისიის წევრებს დაავალეს წყაროს და საშუალების გამონახვა. შეიგნეს რა, რომ ბავშვს ხვდება სკოლაში სიარული იმ დროს, როდესაც მთელი მისი აგებულება სუსტია და დაუმაგრებელი და მას არ ძალ უძს გაუძლოს ბუნების ზეგავლენას ისე, როგორც შემდეგ წლებში, ხონელებმა ააშენეს თავის შვილთათვის შვენიერი სკოლის შენობები სანიტარული და ჰიგიენური პირობათა დაცვით. აქ აგერ თექვსმეტი წელიწადია არსებობს წიგნის მაღაზია ბ. ნ. წერეთლისა:

სახლები აქეთ მეტი ნაწილი ხისაა, მაგრამ თბილი და ნათელი. სახლები დახურულია კრამიტით და ყავრით; აქა-იქ შეხვდებით ისლით დახურულსაც. სახლები აშენებულია ეზოს შუა ადგილას და გარს შემოვლებულია ბოსტნით და ბაღით. ეზოს ერთიდან ორ დღიურამდე და მეტი მიწაც უკავია. ის სავსეა ყოველ გვარი ხეხილით. აქ მოიპოვება შემდეგი ნაყოფიერი ხეები: მსხალი, ვაშლი, ბია, ნიგოზი, ატამი, ბროწეული, ქლიავი, ლეღვი, სხმარტლი, ტყემალი, წაბლი, ხურმა, ოღნაშო, კორკიმელი, შინდი, ურნაბი, ბეოლა (თუთის ხე), ალუჩა, შაქარ-ვაშლა, გარგარი და კიდევ სხვანი.

ხონში ათასზე მეტი კომლია. ყველა შრომის მოყვარე და თავის გამომდები ხალხია. ისინი მისდევენ ვაჭრობას,

მიწის მუშაობას, ღვინის დაყენებას და აბრეშუმის მოყვანას; დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე შინაური ფრინველების გამრავლებას. საერთოდ მრეწველობა აქ კარგ დონეზეა დაყენებული. მის ერთ უმთავრეს საგანს შეადგენს მეაბრეშუმეობა. ის, როგორც სხვა დარგი მრეწველობისა, იყო წინეთ პირველ ყოფილ მდგომარეობაში: ხალხმა არ იცოდა მისი ხეირიანათ მოვლა, საღ თესლს ვერ იცნობდა და ხშირათ ავადმყოფი ჭიის თესლს ინახავდა. აქედან თანდათან გაძლიერდა აბრეშუმის სნეულება და ხალხსაც აუცრუვდა გული აბრეშუმის მოვლა-მოშენებაზე; თუ კი ვინმე მოკიდებდა მას ჩვენში ხელს, — ისევ ქალები, რადგანაც იმათ აბრეშუმის ჭიის მოვლისათვის საჭირო თვეებში საქმე მაინც და მაინც ბევრი არ აქვთ, ნათქვამია „ტყვილა ჯდომას, ტყვილა შრომა სჯობიაო“. თუ მეტს ვერა, ოჯახში სახმარ ძაფს მაინც მოიწევდენ. დღეს კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ. აბრეშუმის მოვლას ეწევიან: ქალი, კაცი, დიდი, პატარა, თავადი და გლეხი, განურჩევლათ წოდებისა და სქესისა. ეს გაძლიერება აბრეშუმის წარმოებისა ნაყოფია მეცნიერებისა, რომელმაც დაწვრილებით გამოიკვლია აბრეშუმის ჭიის ანატომიური და ფიზიოლოგიური აგებულობა, შეიგნო მისი ყოველ გვარი სნეულება და მისი მიზეზი, შეუძლია გაარჩიოს სნეული ჭია მთელისაგან. ამ ბოლო დროს კარგი თესლი გავრცელდა ხონშიც. მცხოვრებლები დარწმუნდენ, რომ მთელი თესლით და გონივრული მოვლით დიდ სარგებლობას იძლევა აბრეშუმი. მაგრამ, როგორც ყველა სხვა საქმეს ჩვენში, ამასაც აუჩნდენ მტრები. ხალხს საშუალება არ ჰქონდა თავისი ნაწარმოებისათვის ბაზარი გაეხსნა. ამით სარგებლობდნენ ჩარჩები და მცირე ფასში ყიდულობდენ ხალხის ნაოფ-

ლარს. ხალხმა მაინც ვერ ნახა დიდი სარგებლობა. მართალია, ბევრი მოსდიოდათ, მაგრამ მუქთად კარგავდენ. ამ გარემოებამ გამოიწვია „პირველი მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში“. იგი დაარსდა 1895 წელს ბ. ნ. წერეთლის თაოსნობით. მიზანი ამხანაგობისა ჯრის ხალხში საღი თესლის გამრავლება, მცხოვრებლების გონივრულათ მოვლის სწავლება, მოსავლისათვის ბაზარის გაჩენა და ჩარჩებთან გამკლავება. პირველი წლიდან თავის მოღვაწეობისა ამხანაგობამ აუწია გირვანქა პარკს ფასი სამი შაურიდან-ექვსამდე, რითაც ხალხის შემოსავალმა ერთი ორათ იმატა და არც ამხანაგობას წაუგია: ყოველი ხარჯი დაფარა და თუმანზე კიდევ სამ-სამი მანათი მოიგო. ხალხი, ფასის მომატებით წაქეზებული, გულ მოდგინეთ შეუდგა აბრეშუმის მოვლა-მოშენებას. ოჯახს ძვირათ ნახავთ, რომ სამი-ოთხი თუმნის მაინც არ გაჰყიდოს. მოგეხსენებათ, თუ რა დიდი ფულია სამი ოთხი თუმანი უადგილობით შევიწროებული ჩვენებური გლეხისათვის. წინეთ თუ აქა-იქ ნახავდი თუთის ხეს, დღეს ქცეობით აშენებენ თუთის პლანტაციებს და ერთი ათად გაამრავლეს აბრეშუმის რაოდენობა. ამხანაგობა ამასაც არ დაჯერდა ჯ უფრო გააძლიერა თვისი მოქმედება. მან თვითონ გამართა საფეიქრო: ძაფს იღებს, რთავს და კიდეც ქსოვს. ამით მას სურს ხალხი შეაჩვიოს თავისი ნაოფლარის დამუშავებას. ზემოხსენებული მოქმედებით ამხანაგობამ დიდი თანაგრძნობა მოიპოვა ხალხში. ასე, რომ დღეს სამი ათასამდე წევრი ჰყავს და შემდეგშიაც დიდი მერმისი მოელის.

ღვინის მოყვანას წინეთ უფრო მეტი ხალხი ეტანებოდა, ვინემ ეხლა. აქეთ ცნობილია შემდეგი ყურძნები: აკიდო,

წვანე, კაბისთონა (საადრიო) ⁄ ჭითაში. მიწის მუშაობასაც ბევრი არ მისდევს; ისევ მას ეკიდება გლეხ-კაცობა. მიწა ნოყიერია. მოჰყავთ: სიმინდი, ღომი, და პური. საყანე ადგილები ცნობილია შემდეგი სახელებით: გოგიტოურალი, ტაბოური, ნაბოგირევი, ეწერი, ჯანელი, ნათხარა, ახალი ტყე, ნაბჟოლარი, გვაზოური, კოდარა, ჭალა, რიყე და ბევრი სხვანი.

ვაჭრობა ხონელებმა დიდი ხანია დაიწყეს; ისინი ცნობილი არიან საქართველოში, როგორც გამოცდილი ვაჭრები. თვითონ ხონში მოვაჭრეები აქაური მკვიდრი მცხოვრებელი ძლიერ ცოტაა. მთელი აქაური ახალგაზდობა გაბნეულია რუსეთის სახელმწიფოს ყოველ კუთხეში და შეხვდებით აგრეთვე აზიის ზოგიერთ სახელმწიფოებშიაც. ხონში მოვაჭრეები სულ ქართველებია. უცხო ტომის ხალხს აქ არ აბოგინებენ. ძველადანვე ხონელი მოვაჭრეები დადიოდენ სტამბოლში საქონლის მოსატანათ და ცნობილი იყვენ სათათრეთში. აქაური ვაჭრები თითქმის ყველა ქართულათ არის ჩაცმული. იმათ ჩაცმულობას შეადგენს: შალის ან მატლის ჩოხა, მეგრული, ვერცხლის სარტყელი (ქამარი), ვერცხლის საათი, ცხვრის ტყავის ქუდი (ბუხრის ქუდი), ყაბალახი, ნაბადი და წუღა-მესტი ანუ იშვიათად წაღები. არქეოლოგიურ ნაშთთა შორის საყურადღებოა აქაური წმიდა გიორგის ტაძარი და სამრეკლო, აშენებულნი მეთოთხმეტე საუკუნეში. მას შერჩენია დღეს მარტო ძველი წმიდა გიორგის ხატი და მხატვრობა, რომელიც დროთა ვითარებისაგან ბევრი წაშლილია. სასურველი იქნება, რომელიმე ჩვენი მხატვარი აღადგენდეს ამ ძველ მხატვრობას. აქ წინეთ იყო საეპისკოპოსო კათედრა და აქაური ეპისკოპოსები ცნობილ იყვენ „ვაკის

ეპისკოპოსის“ სახელით. კათედრა რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმებულ იქმნა. ეკლესიის ეზო, ანუ ბალავანი, შემოვლებულია ქვის კედლით, რომელსაც შიგნით ბევრჯერ ამოფარებია აქაური მცხოვრებლები მტრებისა დასხმის დროს. იგი დღეს დანგრეულია. ლაპარაკობენ, ვითომ ამ ტაძრის აშენების დროს უნდა მომხდარიყოს სურამის ციხის შესახებ თქმულება და ვითომ ბალავერში დაატანიეს აქაური გლეხის — ბახტაძის შვილი. მეორე თქმულებით ორმა მოხუცმა: ბახტაძემ და სანოძემ თვითონ მოისურვეს ბალავერში დატანიება და იმათი სურვილი შესრულებულ იქმნაო. ბახტაძეებს და სანოძეებს დღესაც უძახიან წმიდა გიორგის ტაძრის ბალავერს. ზემოხსენებული საყდრის შესახებ ბევრი თქმულობა დარჩენილა ხალხში, რომელთაგან მოვიყვან მხოლოთ ორს:

პირველი თქმულება.

ხარება იყო. ერთი, ეკლესიის ახლო მცხოვრები, გლეხის ცოლი არ მოერიდა უქმე დღეს და საქსოვს მოუჯდა; ქალი დარაიას ქსოვდა და თანაც მღეროდა:

ხარება-ხარხარება,
ჩემ ქმარ-შვილის გახარება...

წმიდა გიორგიმ დასაჯა უგნური დედაკაცი და ქვათ აქცია. დღესაც ამ ქვას აჩვენებენ ვ. ბახტაძის ეზოში დ ლაპარმკობენ, ვითომც კვირიკობისა და მარიამობის თვეში ქვას ნოტიო ეკიდებაო ანუ ოფლი დისო.

მეორე თქმულება.

წმიდა გიორგი ქრისტეს სჯულის აღსრულებისათვის ჯერ აწვალა დიოკლიტიანემ და შემდეგ ბრძანა მისი მოკვლა. იქაურმა ქრისტიანებმა წაასვენეს მისი პატიოსანი გვამი და შეინახეს ერთ თავიანთ თავშესაფარში. შემ-

დეგ იგი დანაწილებულ იქმნა 365 ნაწილათ. ხელები შეხვდა: მარჯვენა—ილორის (სამურზაყანოშია) ტაძარს და მარცხენა—ხონის წმიდა გიორგის ეკკლესიას. ამას შემდეგ ამ ორ ტაძართა შორის დამკვიდრებულ იქმნა სულიერი კავშირი. 22 აპრილს, ე. ი. გიორგობის წინა დღეს, ილორის წმიდა გიორგი უგზავნიდა ხონისას რქა მოჭედილ ხარს, რომელსაც ეკკლესიის კრებული იჭირავდა გიორგობას, დაკლავდა და დაუნაწილებდა საზოგადოებას. ერთხელ ხარს დააგვიანდა და იმ დროს მოვიდა, როდესაც ცისკარი გამოსული იყო და ხალხიც წასული. დარჩენილიყო მხოლოთ ერთი მონაზონი, რომელიც ყველას შემდეგ მიდიოდა ხოლმე თავის სენაკში. ბურიანი დილა იყო, ხარმა ვერ გაარჩია მონაზონი, დაფრთხა და რქა მოუქნია. მონაზონი შეშინდა და წამოიძახა: „უი, დაწყევლოს ღმერთმა, ეს რა არის?!“ წმიდა გიორგი განრისხდა ხარის დაწყევლისათვის და იმისავე პირით დაწყევლა იგი: „შენი მოგვარე ამ დაბაში არც შოშენდეს და არც გადაშენდესო“. მონაზონი იქავე ქვათ იქცა. ამის შემდეგ ხარი არ მოსულა ილორიდან.

ხონში მცხოვრებლები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანვა; იმათში შეხვდებით ყველა წოდების კაცს. თავადი აქ მხოლოთ ორი გვარია: წულუკიძეები და ერთი მოსახლე მიქელაძე. წულუკიძეები მეფე სოლომონის გამოჩენილი სარდლის—ბერი წულუკიძის შთამომავალნი არიან. აქაური მკვიდრი აზნაურები ქუთათელაძეებია და ჩამოსახლებულები: მდივანი, ქავთარაძე, ქორქაშვილი, აბაშიძე, იოსელიანი, კარტოზია, გეგელაშვილი, ჩერქეზია, ლორთქიფანიძე, გეგეჭკორი, ხინტკირია, კლდიაშვილი, ჩიქოვანი, შავდია, მესხი და სხვანი. გლეხები: ბახტაძე, სანოძე, ჩხენკელი, კოტიშა-

ძე, წივწივაძე, კეთილაძე, ჭიჭალუა, კენჯერაძე, ლომიძე, ჭავჭანიძე, სალარაძე, საღარეიშვილი, ნადარეიშვილი, კობახიძე, ჭანტურიშვილი, ძაძამია, ბარქაია, მშველიძე, წვერავა, გენელიძე, კაკურიძე, რატიანი, რუხაძე, ფარაძე, არძიანი, მებუკე, კაკაბაძე, ინჯია, ძიძიგური, თარგამაძე, კირთაძე, სვანიძე, ფაღავა წოწონავა, ლეჟავა, ცაგერეიშვილი, ქაბძინაძე, აბზიანიძე, სიმონიძე, სურმავა, გარდავაძე, მაჭარაძე, ჩხიკვაძე, ფარცხალაძე, ბაკურაძე, ხმელიძე, ჯღარკავა, ჭანიშვილი, გოფოძე, ლოჩოშვილი, ხაჭაპურიძე, ბესელია, ხაინდრავა, სინაურიძე, ჩაკვეტაძე, გენძეხაძე, ფურცელაძე, სულავა, გეგოჭკორი, გორდაძე, ბალანჩივაძე, თავართქილაძე, კიკალიშვილი, მამფორია, გვახარია, ქაცარავა და სხვანი.

დავით ალმაშენებელის ჯორი. *)

(ლეგენდა)

დავით ალმაშენებელმა ერთად ჩაყარა სამი ეკკლესიის ბალავერი: გელათში, მარტვილში, და სუჯუნაში. მან დაიწყო ტაძრის შენება, მაგრამ ეშმაკი ყოველთვის უნგრევდა. ერთხელ დავით ალმაშენებელი თვითონ გაუდარაჯდა, აცალა ეშმაკს ტაძრის დანგრევა და, როდესაც ეშმაკი ჩავარდა წყალში დასაძირავათ, ესროლა ბადე და დაიჭირა. გაუკეთა რკინის ლაგამი ეშმაკს, რომელიც ჯორათ იქცა მაშინვე. შეჯდებოდა ჯორზე დავითი ერთ ქვას გელათის ტაძარს დაადებდა, მეოთეს მარტვილისას და მესამეს სუჯუნისას. ერთხელ გელათიდან

*) მეორე ვარიანტი

მარტვილს მიმავალ დავითს ჩუნეშში გარება შეექნა. ერთ კლდეზე ჯორს გაუწყდა აბჟანდი. დავითი ჩამოხტა, თავისი ხელით გაკერა იგი და სამახსოვროთ ბრძანა იმ ადგილს ტაძრის აშენება. ეს ტაძარი დღეს დანგრეულია, მაგრამ იმ ადგილს კიდევ შერჩენია „აბჟანდ-ნაკერის“ სახელი. როდესაც ყველა ტაძრები ააშენა დავითმა, უბრძანა დიაკონს: „წაიყვანე ჯორი, ლაგამი არ მოხსნა, ისე დაბანე, წყალი დაალევიე და მოიყვანეო“. დიაკონმა ბრძანებისამებრ წაიყვანა წყაროზე ჯორი. ჯორმა წყალი დასუნა, მაგრამ არ დალია; დიაკონმა იფიქრა: ნამდვილათ ლაგამი უშლისო და მოაძრო. მაშინ ჯორმა დაიყურყუმალა და დაიკარგა.

ეთერი

(ფშავში ჩაწერილი გრ. აფშინაშვილისაგან)

ყოფილა ერთი ძალიან ლამაზი ქალი, სახელათ ეთერი. ეთერი გლეხთაგანი ყოფილა, ობლათ დარჩენილა, მისი მფარველი და პატრონი მარტო ღმერთი-ღა ყოფილა. ეთერის სილამაზე თურმე ბევრს ვაჟსა ჰრევდა, ჰბნედდა, ახელებდა! ამ ახალგაზდებში აბესალომ უფრო ჩინებული გვარისა და კაცის შვილი იყო. აბესალომმა ეთერს სიყვარული გამოუცხადა:

—ზეცას რო ოქროს ყანა დგა,
ბრინჯაოს ადგა ნათელი,
ქარით უბრუნავს წისქვილი,
მესაფქვედ ჰყავ ეთერი...
გადმამიქნიე, ეთერო,
შენის ქათიბის სახელი!
—დამეხსენ, აბესალომო,
არა ვარ შენი საფერი:
შენ დიდი ხარ, დიდებული,
დედმამისაგანც ქებული,
მე გლეხი ვარ, გლეხის შვილი,
გლეხურათ თავ-დადებული;
გაჰ, თუ თავისა იკეთო,
გამწირო წყალ-წაღებული!...

აბესალომმა ეთერს დიდი ღვთის ფიცი მისცა, არ გილალატებო:

არა! მამამ ძისამ,
ნაწილმა ბარძიმისამ,
ამ წყალმა და ამ წისქვილმა,
აქ მოფენილმა ქვიშამ!

აბესალომსა ჰყვანდა თავისთან შეზრდილი შინაყმა, სახელათ შერელომი, რომელსაც ძალიან უყვარდა ეთერი და ენატრებოდა მისი შერთვა. იმისი გული შურით ივსებოდა, არა ღონეს არა ზოგავდა, რომ აბესალომისთვის ეთერი შაეძულებინა. ბოლოს ეშმაკმა უთხრა: „თუ შენს სულს მე მამცემ, მაგ საქმეში მე დაგეხმარები და თავსაც გავიტანო. შერელომმა სიხარულით მისცა ეშმაკს თავის სული. ქორწილის დრომაც მოაწია. ნეფე-დედოფალი ჯარაზე რომ დასხეს, ეშმაკმა შერელომს ერთი მუჭა ფეტვი მისცა: ეს ეთერს გადააშალეო. შერელომისაგან გადაშლილი ფეტვი ეთერს სულ კბენარად და ჭია-ღუად გადაექცა! უვლიან, აყრევინებენ, სწმენდენ, ჰბანენ, მაგრამ, არაფერი ეშველა, უფრო და უფრო გაუმრავლდა! აბესალომს შაეზიზღა, გული აჰყარა ეთერს, ადგა და წამოიძახა:

—ვის გინდათ ქალი ეთერი,
მე ნადირობა წავალო?

შერელომსაც ეს უნდოდა:

—მე მინდა ქალი ეთერი,
მე ხომ ადარსად წავალო!

გადახდა და აბესალომის ადგილზე დაჯდა. ეთერს მკბენარი მოშორდა და ისევ ისეთი ტურფა გამოჩნდა, როგორიც წინად იყო. ქორწილი რო გათავდა, შერელომმა ეთერი სწრაფად მოაშორა. ეთერმა დედამთილ-მამათილს ერთი ოთახი გამოსთხოვა, შიგ ერთი ქვა შეატანინა, თავით დაიდო და დაწვა. იმ ოთახში ცხრა დღეს ნება არავისა ჰქონდა შესვლისა.

აბესალომიც სწრაფად დანაღვლიანდა. ძალიან უნდოდა ეთერის ამბის გაგება. რამდენისამე დღის შემდეგ შეხვდა შერელომას და ჰკითხა:

— შერელომო, შენსა მზესა,
შენი ცოლი როგორია?
— რას იკითხავ, ცათა სწორო.
ცოლის ქება აუგია!...
შენც ხო იცი, ბროლის ციხე
როგორ ცამდე მაღალია?
შიგა ზის ქალი ეთერი,
ული მოუღერებია!
ულ-ური მძივით სავსე აქვს,
შიგ კიშერი ურევია;
შუბლი ბტუელი, წარბი წვრილი,
საფეთქელი მწუაზარია;
ცხვირი სტვირი, კბილი მძივი,
ბაგე ხახვის ფურცელია;
წარბისა და წამწამ შუა
ბადი გაუშენებია,
მოუთესავ სურვილები,
ვაჟებ მოუღორებია!...
ბანზე უდგა მამამთილი,
გველ-ვეშაპის მომკვლავია,
კარზე უდგან ცხრანი მაზლნი,
დალესილნი ათთარნია;
თავით უზის დედამთილი,
კიშრისა თმის დამწყვია;
გვერდთ უსხედან სამნი მულნი,
ცით მოსულნი მასკვლავნია!...

შერელომმა ეს ყველაფერი მეტათ გააზვიადა, ბევრი იცრუა აბესალომის დასალონებლათ. აბესალომი ეთერის სურვილმა გააბეჩავა, დააჭლექა და სიკვდილის პირათ მიაგდო. მისი დედა, ნათელი, ძალიან დალონდა,

მიზეზსა ჰკითხავდა, მაგრამ შვილი არ ეუბნებოდა, სიყვარულსა მალავდა. ბოლოს დედამ მისანს მიჰმართა. მისანმა უთხრა: მსუქანი ხორცის ქადა გამოაცხვე, პურს რო მოიკითხავს, ის მიუტანე, შენ შორიახლოდან დაუგდე ყური და მაშინ გაიგებ შენი შვილის ავადობის მიზეზსაო. დედა ასე მოიქცა. ქადა რომ მიუტანა და ყური დაუგდო,— აბესალომმა ამოოხვრითა თქვა:

„კარგი ხარ, ხორცის ქადაო,
წვენ გიდგა წურვილივითა, [1])
შაგეჭამო, გულზე, მამემბი
ეთერის სურვილივითა!“ [2])

დედა

შვილო, ვისი გკლავს სურვილი,
ვისი გაღვიძებს მძინარსა?
წავალ და ეთერს აქ მოგგვრი,
გულზე ჩამოგხვევ მძინარსა!

შვილი

წადი, უშტარო [3]) დედაო,
ეთერსა კარსა უარე!
ჯერ-კი ატირდი ბრალადა,
მემრ თავი შაამჴუარე! [4])

აბესალომის დედა წავა ეთერთან და მივა იმ დროს, რომ ეთერის კარ-ჩაკეტილობას კიდევ ორი დღე ვადა აქვს.

ნათელი

ჩამოგიარე, ეთერო,
მაგ შენის კარის არესა!
გადმოგიხედე, გეძინა,

1) გამდნარი ერბო. 2) სიყვარული. 3) ბრმა. 4) მოაბეზრე.

შუქი დაგედგა მთვარესა;
გეძახენ, ვერ გაგაგონე,
ქვა გამოვსწვადე ორესა!...

ეთერი

რა იყო, რად დამიწუნეთ,
რა წუნი ნახეთ ჩემშია?
ზეცით ნაკურთხი გვირგვინი
გარიეთ ჩალა-ბზეშია?
რად გამიწბილეთ მაურები
უცხო თემ-ქვეყანაშია?
ე თქვენი დაწუნებული
ქალი არ დავრჩი სახლშია!

ნათელი

ჩვენი სახლი ადარ გინდა,
მასკვლავებით მოჭედილი?
ჩვენი ციხე ადარ გინდა,
ბრონლისა ქვით აგებული?
ჩვენი ქოში ადარ გინდა,
ინდუეთით მოდებული?
ჩვენი ფალასი ადარ გინდა,
წიგნებურათ დაწერილი?
ჩვენი ცხენი ადარ გინდა,
ძუა-ფაფარ დაწმენდილი?
ზედ შამჯდარი აბესალომ,
თავადურათ მოკმაზული?

ეთერი

ადარც თქვენი სახლი მინდა,
მასკვლავებით მოჭედილი;
ადარც თქვენი ციხე მინდა,
ბრილიანსა ქვით აგებული;
ადარც თქვენი ქოში მინდა,
იონდუეთით მოდებული;
ადარც თქვენი ფლასი მინდა,
წიგნებურათ დაწერილი;
ადარც თქვენი ცხენი მინდა,
ძუა-ფაფარ დაწმენდილი;
ადარც აბესალომ მინდა,
თავადურად მოკმაზული!

ნათელი

გამამეევა ქალო ეთერო,
გადაგსომ ცხენსა ნიშასა,
ისე გაგავლევ ჭალასა,—
ფეხი არ მაჭკრა ქვიშასა;
ფეხშიშველს გადმამივლია
მარტი, აბრილი, მაისი,
ეთერო, შენის მოსვლითა
შვილ მამირჩება მე ისი!

ახლა კი გაჰყვება ეთერი ნათელს, აბესალომის დედას.

ნათელი

შვილო, მოვიდა ეთერი,
თვალებში თუ გაქვ ნათელი!

ანესალომი

ვინა თქვა, ეთერ მოვიდა,
მზე დილა კორსა მავალი?
შამოხდა დარიფანზედა,
ბანი შაძრა და უავარი?

ეთერი (გარედან)

რად არ კარჩიაც გამოხვალ,
ვინ ხარ სულ-ამამავალი?

ანესალომი

მე კარჩი ვერას გამუალ,
წავიდა სული მთავარი!...
თუ მოხვედ, შინაც შამოდი,
მოკლე გაქვს შამოსავალი!...

ეთერი

მე შინ ვედარას შამუალ,
ძმათ დამაბარეს მრავალი.

ანესალომი

ი ძმანიც დმერთმა გიტოტხლნეს,
შენც დდენი მოგტნეს მთავარნი!
ეთერსა აქ მოსვლისადა
ტხენი მიეტით სადარი.

ეთერი

ეთერსა ცხენი არ უნდა,
დანა წელთა ჭბავ ჯავარი:
მამიკლავ დედის ერთაი,
ახალ წვერ შამამავალი!

აბესალომი (კვდება)

ეთერო, დასხენ ძუძუნი,
ჩემთან შენც დასთმე თავია!...
ტოტხალსა შერელომასა
მე გირჩევნიეო მკვდარია!

ეთერი (დანას იცემს)

ერთადამც დავიხოტებით,
ერთადამც დაკვმარხიანო...
კზის ძირსამც დაკვაღირებენ,
კზის თავსამც დაკვმარხიანო...
ფოთოლთამც მოკვაღირებენ,
მიწათამც მოკვაურიანო!...
ჩვენ თავით წეარო ამოხდეს,
შიკ ოქრო თასნიმც დკიანო;
კამდინარ-კამომდინარნი
შანდობას კვეტეოდიანო!...

—

ეთერ და აბესალომი
ჭიშვლივ ერთადა წვანანო,
ეთერს რო წელული არ სჭირდეს,
ნამძინარევთა ჭკვანანო!

რა მონდაურნი [5]) ყოფილან,
ისევამც ადგებიანო;
ადგომა წესიც არ არის,
სულითამც ცხონდებიანო!

—

შერელომის საფლავზედა
ნარ-ეკალნ ამოდიანო,
ეშმაკნ ფერხისას [6]) უგლიან,
ვირნი საძოვრად დიანო,
აბესალომზე—იანი,
დილის ნიავნი ჭშლიანო!

—

ხალხური ლექსები.

(ქართლში გაგონილი და ჩაწერილი ივ. გომელაურისაგან).

მაღალმა ღმერთმა დასწყევლოს
ახლანდელი ქალის რჯული!...
სანამდის გათხოვდებოდეს,
გარეთ დადის გაბუტული;
როდესაც გაათხოვებენ,
მაშინა აქვს დიდი გული,
მაზლებს გარეთ გამორეკამს:
„სულ ჩემ ქმარსა მოჰყავს პური,
ჩემი ქმარი ყველასა გჯობთ,
ყველამ გაიბერტყეთ ყური!
დედამთილს დაჰკრავს კისერში,
ფიცხლავ ამოუვა სული,
მამამთილს წიხლი წამოჰკრა,
ტახტ ქვეშ მიდის გაფაფხული...

—

მაღალი ღმერთი გაუწყრა
ახლანდელ გოგოებსაო!...
დედ-მამას აღარ ჰკითხამენ,
თითონ ირთამენ ქმრებსაო;
ორ თვეს კარგათ იქცევიან,
მერე გაშლიან ფრთებსაო,
ჯერ რომ მზე არ ჩასულიყოს—
ჩაუწვებიან ქმრებსაო.

„შე საწყალო, საცოდაო,
რათ არ ეყრები ძმებსაო?
სახლში საკლავი დაიკვლის,
თვალით ვერ ნახამ წვენსაო;
სამუშაოთ რომ გაგგზავნი,
მოგიტან კაი ჯერსაო.“

—

მე ხომ არა ვარ სვენელი,
წვენი დავისხა ჯამზედა?
მე ბერშუელი არა ვარ,
კაცები ვხოცო გზაზედა!...
არცა ვარ მეჯვრიხეველი,
ჩავიდე მეჯუდაზედა, *)
არცა ვარ ჯარიაშნელი
ძეძვი დავყარო გზაზედა;
მე ხომ კარბელი არა ვარ,
კბილი ვიტკინო მჭადზედა?
მე ტირძნიელი არა ვარ,
ცერცვი დავთესო გზაზედა!...
მე ხომ არა ვარ ბრონლელი,
კობალი მედოს მხარზედა?
მე მელვრეკელი არა ვარ,
კომბოსტო ვხარშო გზაზედა!...
მე ცხინვალელი არა ვარ,
ჩავიდე დიდ ლიახვზედა,
არცა ვარ მე მაჩაბელი,
თოფი გავიდო მხარზედა.

—

.....

*) ხევია.

ოსი ქორჯინით მაძღარა
და იმერელი ღომითა.
ქართლელი კაცი თუ დღს სჭამს,
რითი სჯობიან ღონითა?

—

ქალმა პერანგი გარეცხა,
გაჰკიდა ეზოს კარზედა;
ისიც ბიჭებმა მოჰპარეს,
გადაიკიდეს მხარზედა
—ვაიმე, ჩემო პერანგო,
მეტად ნაყიდო სხვაზედა!...
მასწავლა შენი წამღები,
გადავიწვინო მკლავზედა,
ახალუხი შავუკერო,
დაუჭრა თავის ტანზედა,
ყარაულად დავაყენო
ი მამა ჩემის ბანზედა:
გამიარ-გამომიაროს
დილა-საღამოთ კარზედა.

დამატებითი სია ხელის მომწერთა *)

დ. ახალ-სენაკი

19 პაატკორია, მიხეილ ბურდღუს ძე
20 შუშანია ესტატე (ს. ხეთა)
21 ვოლსკისა, ვენერა სპირდონის ასული (ძველი-სენაკი)
22 ნიჟარაძე, თავ. რაჟდენ ფარნაოზის ძე
23 გამზარდია გრიგოლ
24 მხეიძისა, კნ. სალომე ალექსანდრეს ასული

ახალციხე

6 თაქთაქიშვილი, თ. ვასილ საჩინოს ძე
7 დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი
8 მღვდ. სიმონ ჭუჭულაშვილი

სად. აჯიკაბული

9 კოდოლაშვილი, იოსებ ნიკოლოზის ძე

ალექსანდროპოლი

3 გველესიანი, გიორგი ილიას ძე

არდაჰანი

1 მაღლაკელიძე, ილია ლევანის ძე
2 ჯვარიძე, ვასილ ანდრიას ძე

ბაქო

10 თოროშელიძე, ნესტორ ივანეს ძე
11 ჭანიშვილი, ილარიონ გიტოს ძე

ბათუმი

58 დუმბაძე, ნიკოლოზ ანტონის ძე
59 მალაკატია, ბესარიონ ნიკოლოზის ძე

---

*) ნახეთ „კრებული“ № 5.

60 ბეთანიშვილი, მიხეილ სტეფანეს ძე
61 ლაზაშვილი ივანე
62 ნიკოლაძე მინადორა
63 ურუშაძე, მოსე ოქროპირის ძე
64 ჯაყელი, თეოფილე ვახტანგის ძე

სად. ბოლმი

7 ფალავანდიშვილი დუშიკო
8 მგალობლიშვილი სიმონ

ბოლრი

28 მეჯვრის ხევის სახალხო ბიბლიოთეკა

დუშეთი

3 დაფქვიაშვილი, ვლადიმერ გიორგის ძე

სად. ელისავეტოპოლი

33 პანჯავიძე, ვასილ სპირდონის ძე
34 ყანჩაველი, ალექსანდრე ივანეს ძე
35 კალანდაძე, სიმონ გიორგის ძე
36 წერეთელი, ილია სპირდონის ძე

ეგოორლიკი (სტავროპ. გუბერნ.)

1 მაყაშვილი, თ. რევაზ გრიგოლის ძე

კავკავი

15 გუბნელოვი, იოსებ ივანეს ძე
16 გოთუა, პართენ ალექსანდრეს ძე
17 სარაჯიშვილი, ალექსანდრე პეტრეს ძე

ზუგდიდი

8 პრინცესა ანტუანეტა მიურატ

თელავი

22 ცისკარიშვილი, მიხეილ დავითის ძე
23 სვიმონიშვილი, ვლადიმერ აგათონის ძე
24 ჯორჯაძე, თ. დავით ვახტანგის ძე

თბილისი

211 ნასიძე, თომა ზაქარიას ძე
212 ორბელიანი. თ. გიორგი ივანეს ძე
213 დავიდოვი კონსტანტინე
214 ფარსადანიშვილისა, კნ. დესპინე დავითის ასული
215 რატიანი გარსევან
216 გუგუშვილი, ელიზბარ დავითის ძე
217 ჭავჭანიძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
218 იაკობაშვილი მათე
219 ზაზიაშვილი გიგო
220 არდაზიანისა, ანნა ნიკოლოზის ასული
221 სამადაშვილი, შაქრო ზაქარიას ძე
222 ხოჯაშვილი, გრიგოლ ნიკოლოზის ძე
223 რცხილაძე, ვანო დავითის ძე
224 კლდიაშვილი, ივანე სოლომონის ძე
225 გაბრუაშვილი, დავით ილარიონის ძე
226 გულისაშვილი საზონა
227 პატრი პავლე ყალაიჯაშვილი
228 მღვდ. იოსებ ილიას ძე ბერიძე
229 ქსოვრის ბიბლიოთეკა
230 თარხნიშვილი, ივანე თედორეს ძე
231 კობერიძე, ექვთიმე ქიტესას ძე
232 პარკაძე ერასტი
233 თავართქილაძე გერასიმე
234 მამინაიშვილი, ნიკიფორე იესეს ძე
235 ბერეჟიანი ბესარიონ
236 ბარათაშვილი, ივანე ზაალის ძე
237 განძიელი (პოლკოვნიკი)
238 იაშვილი, ალექსანდრე ზაქარიას ძე

239 ტყეშელაშვილი, ილარიონ ექვთიმეს ძე
240 ჯანაშვილი, მოსე გიორგის ძე
241 ჩოლაყაშვილისა, კნ. დარია ზაქარიას ასული
242 მიქაძე ივანე
243 ავლაბრის სახალხო ბიბლიოთეკა
244 გვათუა, გიორგი თეიმურაზის ძე
245 მღვდ. ვასილ კარბელაშვილი
246 ხარაევი ილია
247 გ. ხუციევი
248 გ. არობელიძე
249 თ. ს.
250 „განდეგილი"
251 ხელაძე, ექვთიმე ივანეს ძე

ირკუტსკი

11 ყრუაშვილი გიორგი

კარაკლისი (ერევ. გუბ.)

1 მაჭავარიანი, ჭროკოპი ბიჭიას ძე

კრასნოვოდსკი

3 ერქომაიშვილისა, მარიამ სიმონის ასული

სად. კაჭარეთი

1 მღვდ. გიორგი ღვინიაშვილი

კალიზმანი

1 გუბელაძისა, ოლღა კოსტანტინეს ასული

დ. ლანჩხუთი

5 წილოსანი კირილე

სად. მიხაილოვო

22 ხიდურელი, სპირდონ ბეკოს ძე

სად. მუკუზანი

4 მამისოვი ზაქარია

5 ჯაფარიძე, ვასილ ნიკოლოზის ძე

სად. მისოვსკაია (ზაბაიკალ. მხარე)

1 რჩეულოვი, ივანე მიხეილის ძე

ოზნი

6 ოზნის სახალხო ბიბლიოთეკა

7 გაბეჩია მელიტონ

8 ს. ამბროლაურის სახალხო ბიბლიოთეკა

ოზურგეთი

17 დემუროვი ნიკო

ოჩემჩირე

2 აბაშიძე, თ'დი კონსტანტინე მიხეილის ძე

3 კაჭარავა, ტრიფონ იესეს ძე

პეტერბურლი

5 მეპარიშვილი, პორფილე ნიკოლოზის ძე

როსტოვი

1 კალანდაძე მიტროფანე

სოხუმი

4 ჩიქოვანი, გიორგი სიმონის ძე

სილნალი

20 მონაზონი თამარი

21 ბაგაევი, კონსტანტინე ტიმოთეს ძე

დ. საჩხერე

ლორთქიფანიძე, მიხეილ ლევანის ძე

სად. სართიჭალა

3 გიგინიეიშვილი, სოლომონ იოთამის ძე

ტაშკენტი

კაკაურიძე, გრიგოლ დიმიტრის ძე

ფოთი

75 ხუმარაძე, ქრისტეფორე პეტრეს ძე
76 ჭუბაბრია ალექსანდრე
77 ონოსარიძისა ნინო
78 მახარაძე, კონსტანტინე ხარიტონის ძე

ქუთაისი

74 კვირკელია, დავით ბესარიონის ძე
75 კვირკელიასი, ბარბალე ივანეს ასული
76 ქუთაისის სააზნაურო სკოლა
77 არჯევანიძისა მარგარიტა
78 ხაინდრავა, ივანე ტარიელის ძე
79 კანდელაკი, ზაქარია გრიგოლის ძე
80 ჩარკვიანისა, ეკატერინე ნიკოლოზის ასული
81 მელიქოვი, თავ. ილია ზაქარიას ძე
82 ერისთავი, თავ. კონსტანტინე დავითის ძე
83 ბარათაშვილი, გრიგოლ საჩინოს ძე
84 მაჭავარიანი, ზაქარია კონსტანტინეს ძე
85 მესხი, თედორე ისმაილის ძე
86 ავალიანი დ.
87 ბექაია, ივანე ლუკას ძე
88 კაკაბაძე, დავით მოსეს ძე
89 მატარაძე, ილარიონ ანდრიას ძე
90 კაჩახიძე, კონსტანტინე ფირანის ძე
91 ხეთერელი, ივლიანე მალხაზის ძე

სად. ქსანი

4 კანდელაკი, გიორგი ნიკოლოზის ძე

დ. ყვირილა

31 კალატოზოვი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე
32 ზენაიშვილი, გიორგი მაქსიმეს ძე

ყაზანი

1 ქართველი სტუდენტები

ყაზახი

1 ჩინიჯევი, ივანე სტეფანეს ძე

სად. ყარაიაზი

1 ჯავოშვილი, ირაკლი ბესოს ძე

სად. შოკრაპანი

5 ცქიტიშვილი, გიორგი პავლეს ძე

ცხინვალი

1 მაჩაბელი, თ-დი ალექსანდრე დავითის ძე

სად. ჭიათურა

14 შავდია ვლადიმერ
15 დეისაძე, გიორგი პავლეს ძე
16 ჩხეიძე, ალექსანდრე
17 ბებიაშვილი, დავით გრიგოლის ძე

ხოლნი

11 ჩხიკვიშვილი, პოლიკარპე ივანეს ძე
12 მელაძე ილარიონ
13 ჩიმაკაძე ლავრენტი
14 თავ. გრიგოლ ნაკაშიძე

სულ—1025

Ъ 8250
1898

ამაკის

თვიური „კრებული“

გამოვა ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

წელიწადი ითვლება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე.

„კრებული“ ცალკე ნომრობით არ გაიყიდება.

რედაქცია ილებს დასაბეჭდათ კერძო განცხადებებს.

წლიური ფასი თბილისში მცხოვრებთათვის 6 მანეთია, ხოლო კავკასიის და რუსეთის სხვა ქალაქებში გაგზავნით — 7 მან. ნახევარი წლით 4 მან.

ხელის მომწერლების საყურადღებოთ:

ზოგიერთი ჩვენი ხელის მომწერლები ხშირათ გვწერენ ხოლმე ნომრის მიუღებლობის შესახებ და მეორე და მესამეჯერ თხოულობენ ერთსა და იმავე ნომერს. ჩვენ ყველას თავის დროზე ვუგზავნით, მაგრამ უმეტეს ნაწილათ ფოსტაში მიუკითხველობის და უყურადღებობის გამო ეკარგებათ ხოლმე. „პირველი ნომერი არ მიგვიღია“ — იწერებიან მეექვსე ნომერის მიღების შემდეგ!...

ვთხოვთ ყველას თავ-თავის დროზე მოიკითხონ ფოსტაში და საზოგადოთ ყურადღებით მოეპყრონ, თორემ, სხვა არა იყოს რა, მარტო მარკების ფასს ვერ აუვა რედაქცია.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 10 საათიდან მეორე საათამდის.

რედაქცია არის მთაწმინდაში „მალაია სუდებნაია“ ქუჩაზე, სახლი № 4.

ადრესი: Тифлисъ „Кребули“. Малая Судебная, № 4